

ISSN 1987-6890

განმარტობის

EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
International Scientific - Analytical Journal

1

2 0 0 9

UDC 33
ე-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

იანვარი
თებერვალი

1

2009

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიავილი, როზა ასათიანი, კლიმენტი ანელაშვილი, თემურ ბერიძე, ბიორგი ბერუღაძე, ვახტანგ ბურღული, ვახტანგ ბურკაძე, მიხეილ თოქმაჯიანი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მენსია, ელგუჯა მემვაბიშვილი, ბიორგი პაპავა, უზანტი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, მიხეილ ჯიბუტი.

აკადემიური დოქტორები:

ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, ნოდარ ხაღუტი, მამუკა ხუსკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უსწორელი წევრები:

ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ანტანას მაქსტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), სლავომირ პატრიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი ჰერმანი (კოლონეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხვედრება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

Paata Gugushvili Institute of Economics

ECONOMISTI

International Scientific-analytical Journal
Published from January 2009

January
February

1

2009

Editor-in-chief **Ramaz Abesadze**

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Vakhtang Burkadze, Tina Chkheidze, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili (executive secretary), Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Michaul Jibuti, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief)

FOREIGN MEMBERS:

Eldar Ismailov (Azerbaijan), Antanas Mackstius (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patritski (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაბან	5
მილოცვები	8
ინტერვიუ	10

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკა

რამაზ აბესაძე – საქართველოს ეკონომიკა XX – XXI საუკუნეების მიჯნაზე	16
ვლადიმერ პაპავა, თამარ თაფლაძე – “ლიბერალური იმპერიის” რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება	23
როზეტა ასათიანი – საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო კაპიტალიზმის ჩიხში	27
რევაზ ჯავახიშვილი – საქართველოს სატრანზიტო-სერვისული ფუნქცია	43
ნოდარ ხადური – საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები	50

ეკონომიკური თეორია

გიორგი პაპავა – საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციის საფუძვლები და დემოკრატია	57
Alfred Kuratashvili – Theory of Balance of Rights and Responsibility of Officials – Essential Political-Legal Basis of Development Economic.	66
Giorgi Berulava – The Theoretical Review of Microeconomic Determinants of Economic Growth.	69

ბიზნესი

თემურ შენგელია – ბიზნესის ეთიკის ფილოსოფიური საფუძვლები	74
--------------------------------------------------------------------------	----

პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა

Фархад Пюста Орудж кызы – О регулировании интеграционных процессов между производственными и перерабатывающими предприятиями	79
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

ეკონომიკის რეგიონული პრობლემები

Вахтанг Бурдули – Региональные факторы роста уровня занятости	84
--------------------------------------------------------------------------------	----

ეკონომიკის მათემატიკური მოდელირება

იური ანანიაშვილი – ფისკალური პარამეტრების შეფასების მოდელები	91
-------------------------------------------------------------------------------	----

მენეჯმენტი

აზიკო სისვაძე, ლიდა ოქროპირიძე – მოტივაცია – წარმატებული მენეჯმენტის საფუძველი	108
-------------------------------------------------------------------------------------------------	-----

აბრარული პრობლემები

ვახტანგ ბურკაძე – წერილი ფერმერული მეურნეობების კოოპერირება მსხვილი სასაქონლო მეწარმეობის განვითარების საფუძველია	118
მონობრაფია აბთუაღურ პრობლემმატიკაზე	123
საჯირო ნაშრომი ეკონომიკის ღარბში	125
მნიშვნელოვანი ღონისძიება	126
ინფორმაცია	127

C O N T E N T S

FROM EDITOR-IN-CHIEF	5
CONGRATULATIONS.	8
INTERVIEW.	10

ECONOMY OF POSTCOMMUNIST GEORGIA

Ramaz Abesadze – Economy of Georgia on the Verge of the XX and XXI Centuries	16
Vladimer Papava, Tamar Tapladze – Russian Model of the “Liberal Empire” and Experience of Postrevolutionary Georgia	23
Rozeta Asatiani – Economy of Georgia in the Deadlock of Nonmarket Capitalism	27
Revaz Javakhishvili – Transit-Service Function of Georgia.	43
Nodar Khaduri – Macroeconomic Aspects of Economic Deregulation in Georgia	50

ECONOMIC THEORY

Giorgi Papava – The Principles of Market Economy Normalization and Democracy	57
Alfred Kuratashvili – Theory of Balance of Rights and Responsibility of Officials – Essential Political-Legal Basis of Economic Development.	66
Giorgi Berulava – The Theoretical Review of Microeconomic Determinants of Economic Growth	69

BUSINESS

Temur Shengelia – Fundamentals of Business Ethics	74
--------------------------------------------------------------------	----

ECONOMY OF POSTCOMMUNIST COUNTRIES

Pharhadi Piusta Orudge Khizi – On the Regulation of Integrational Processes of Production and Processing Enterprises	79
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

REGIONAL PROBLEMS OF ECONOMY

Vakhtang Burduli – Regional Factors of Growth of Employment Level	84
------------------------------------------------------------------------------------	----

MATHEMATICAL MODELING OF ECONOMY

Iuri Ananiashvili – Models of Estimation of Fiscal Parametres.	91
-------------------------------------------------------------------------------	----

MANAGEMENT

Aziko Sisvadze, Lida Okropiridze – Motivation – the Basis of Successful Management	108
-----------------------------------------------------------------------------------------------------	-----

AGRARIAN PROBLEMS

Vakhtang Burkadze – Cooperating of Small Farms is the Basement for the Development of Large Scale Production	118
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

MONOGRAPH ON ACTUAL PROBLEMS.	1123
------------------------------------------------	------

NECESSARY WORK IN ECONOMIC SECTOR.	125
-----------------------------------------------------	-----

SIGNIFICANT MEASURE.	126
---------------------------------------	-----

INFORMATION.	127
-------------------------------	-----

რედაქტორისაბან

1918 წლის 13 სექტემბერს გამოვიდა ჟურნალ “საქართველოს ეკონომისტის” პირველი ნომერი. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ეკონომიკური აზრის განვითარებასა და ეკონომიკური ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებაში. მაგრამ მას დიდხანს არსებობა არ ეწერა. ბუნებრივია, მისი გამოცემა შეწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისთანავე.

1958 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და მთავარი რედაქტორობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ჟურნალი იმავე სახელწოდებით – “საქართველოს ეკონომისტი”, რომელიც მისი წინამორბედის მემკვიდრედ მოიაზრებოდა. მან 1967 წლამდე იარსება. შემდეგ შეიცვალა მისი ადგილსამყოფელი, სახელწოდება, სარედაქციო კოლეგია, მთავარი რედაქტორიც და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეგიდით და დასახელებით გამოდიოდა. ამჟამად იგი წარმატებით გამოიცემა სახელწოდებით – “ეკონომიკა”.

2008 წელს კვლავ იმავე – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა წინამდებარე ჟურნალი “ეკონომისტი”, რომელიც პირველად იხილავს დღის სინათლეს და რომელიც სწორედ ზემოთ დასახელებული ორივე ჟურნალის მემკვიდრეა. ეს კი მას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

“ეკონომისტი” საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალია, რომელიც გამოიცემა ორ თვეში ერთხელ (თუმცა მასზე მოთხოვნის მიხედვით პერიოდულობა შეიძლება შეიცვალოს). ჟურნალში სამეცნიერო და ანალიტიკური სტატიების გამოქვეყნება შეუძლიათ არა მხოლოდ ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, არამედ ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ნებისმიერ მეცნიერ ეკონომისტს.

ჟურნალის მთავარი მიზანია ეკონომიკური მეცნიერებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშეწყობა, ეკონომისტის, როგორც პროფესიის, პოპულარიზაცია, მონაწილეობის მიღება ქვეყანაში სამეცნიერო კადრების აღზრდაში და სხვ.

ჟურნალი ასევე მიზნად ისახავს ინსტიტუტის საქმიანობის გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის. პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებისათვის, წარსულის გათვალისწინებით, მთავარი მეცნიერული მიღწევები სწორედ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთანაა დაკავშირებული. დღესაც ქვეყნის ძირითადი სამეცნიერო პოტენციალი ამ ორგანიზაციებშია თავმოყრილი, რომელსაც არა დაქსაქსვა, არამედ გაძლიერება და გამოყენება სჭირდება.

სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების მიზნით, ინსტიტუტში დავაარსეთ ჩვენს სახელოვან მეცნიერთა: აკადემიკოს პაატა გუგუშვილის, აკადემიკოს ავთანდილ გუნიასა და პროფესორ გიორგი წერეთლის სახელობის პრემიები, რომლებიც მიენიჭება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს საუკეთესო მონოგრაფიის, სტატიისა და გეგმური ნაშრომისათვის. სამეცნიერო დონის ამადლებების მიზნით, ჩვენ ასევე დავაარსეთ პერიოდული გამოცემა: “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული”, რომლის პირველი ტომი უკვე გამოვიდა. დავაფუძნეთ სადისკუსიო დარბაზი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ- და პრაქტიკოს ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენლები. ინსტიტუტში ყოველწლიურად ჩატარდება ეკონომისტთა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ სრულყოფილი სამეცნიერო კადრების აღზრდა სწორედ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში უნდა ხდებოდეს, უნდა აღდგეს სამეცნიერო ხარისხების მინიჭების დიდი ტრადიცია, რასაკვირველია, იმ აკადემიური ხარისხების (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) პარალელურად, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლებში სამსაფეხურიანი სწავლება ითვალისწინებს. ამით მოიგებს როგორც მეცნიერება, ისე ქვეყანა.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო მთლიანად ვერ დააფინანსებს მეცნიერებას, მეცნიერებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა (როგორც საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა) თავადაც უნდა იზრუნონ დამატებითი შემოსავლების მიღებაზე. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ინსტიტუტში დავაარსეთ გამომცემლობა, სადაც დასაქმებულნი არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც შესწავთ უნარი, გასწიონ ნებისმიერი საგამომცემლო საქმიანობა. დავაფუძნეთ არაფორმალური სწავლების ცენტრი, რომელიც ასევე მაღალკვალიფიციური პედაგოგებით დაგაკომპლექტეთ და ამჟამად ვიწყებთ მსმენელთა შერჩევას. მოკლე დროში ჩამოვაყალიბებთ საკონსულტაციო ცენტრს, რომელიც ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებში კვალიფიციურ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს, ფირმებს, სახელმწიფო მოხელეებსა და სხვა. ჩვენ შევქმენით შესაბამისი სამსახური, რომელიც პროექტებს შესთავაზებს ბიზნესს, სახელმწიფო ორგანოებს, უმაღლეს სასწავლებლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ა.შ. მაგალითად, გადავწყვიტეთ, მოვამზადოთ და გამოვცეთ “დიდი ეკონომიკური ენციკლოპედია”. იმედი გვაქვს, ამ საშუარი საქმის შესრულებაში დახმარებას გაგვიწევს როგორც ბიზნესსტრუქტურები, ისე სახელმწიფო. ჩვენ მზად ვართ შევასრულოთ მათი ნებისმიერი დაკვეთა.

მიუხედავად ამისა, ვთვლით, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის (მათ შორის მორალურის) გარეშე, წარმატებები უფერული იქნება. ამ დაწესებულებებში ხომ ჩვენი საზოგადოების ის მოწინავე ნაწილია დასაქმებული, რომელთაც, ხშირად, ეთუზიზაზმზე დაყრდნობით იშრომეს და მოწინავე სამეცნიერო ტრადიციები შეგვინარჩუნეს, ის მოწინავე ნაწილი, რომელთაც, სათანადო პირობებში, საზოგადოებისთვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვინაიდან მეცნიერებაა ქვეყნის დამოუკიდებლობის და ნებისმიერი პროგრესის საფუძველი, მათ შორის, ეკონომიკური მეცნიერება. ამდენად საზოგადოება უნდა ზრუნავდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის, მეცნიერთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და ა.შ.

ჟურნალში დაიბეჭდება სათანადო მეცნიერული დონის ყველა მასალა, რომელიც ეხება ეკონომიკური მეცნიერების ან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს. არ დაიბეჭდება მხოლოდ აშკარა პოლიტიკური შეფერილობის მასალები. რადგანაც შევდივართ მასმედიის სივრცეში, ვაღდებულნი ვართ, ვიყოთ ობიექტურნი და, ამავე დროს, დავიცვათ შესაბამისი ეთიკის ნორმები. ამავე დროს, დავძენთ, რომ რედაქცია პასუხს არ ავებს სტატიებში გამოთქმულ მოსაზრებებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე.

ჟურნალის რუბრიკები წინასწარ არ განისაზღვრება, იგი დამოკიდებულია გამოსაქვეყნებელ ნაშრომთა თემატიკაზე.

ჟურნალ “ეკონომისტის” სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიისა და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთელი კოლექტივის სახელით მაღლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ხელი გაგვიმართა ჟურნალის დაარსების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერა და ობიექტური დამოკიდებულება ინსტიტუტისადმი. მაღლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც გულწრფელად მოგვილოცა ჟურნალის დაარსება: საქართველოს ეკონომიკის მინისტრს ბატონ ლაშა შვანიას, აკადემიკოს როინ მეტრეველს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს: ლეო ჩიქავას, ვლადიმერ პაპავასა და ავთანდილ სილაგაძეს. წარმატებასა და ნაყოფიერ საქმიანობას ვუსურვებ მათ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სიმბოლურია, რომ ჟურნალ “ეკონომისტის” დაფუძნება დაემთხვა ჩვენი ინსტიტუტის დაარსების 65 წლისთავს, რასაც ჟურნალის სპეციალური ნომერი მიეძღვნება.

დასასრულ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივის, რედაქციისა და პირადად ჩემი სახელით ეკონომისტთა საზოგადოებას, საერთოდ ჩვენს საზოგადოებას ვულოცავ ჟურნალ “ეკონომისტის” პირველი ნომრის გამოსვლას, ხოლო თავად ჟურნალს ვუსურვებ, გახდეს მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა.

რამაზ აბესაძე

მილოცვები

**ჟურნალ “ეკონომისტის” რედაქციას და მთავარ რედაქტორს,
ბატონ რამაზ აბესაძეს**

გულითადად გილოცავთ ახალი ჟურნალის დაარსებას და პირველი ნომრის გამოცემას. ჩემთვის, როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრისათვის, ძალიან საინტერესოა ის სამეცნიერო-ანალიტიკური პროფილი, რომელიც აირჩიეთ “ეკონომისტის” დამფუძნებლებმა. დღეს არსებული პრობლემების გადაწყვეტას, განსაკუთრებით მსოფლიო კრიზისის ფონზე, აუცილებლად სჭირდება მეცნიერული მიდგომა და იმედი მაქვს, თქვენი შეფასებები და დასკვნები ძალიან დაგვეხმარება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტების სწორად განხორციელებაში. ვისურვებდი, რომ ჟურნალი საინტერესო იყოს არა მარტო სპეციალისტებისთვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვის, რათა ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს ზუსტი, ობიექტური და კომპეტენტური ინფორმაცია ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე. ამ კუთხით ძალიან ვაფასებ ეკონომიკის ინსტიტუტის თაოსნობით გამოცემული ახალი ჟურნალის გამოჩენას იმ მედიასივრცეში, რომელიც არცთუ ისე მდიდარია ეკონომიკური მიმართულების ჟურნალ-გაზეთებით. მზად ვარ, აქტიურად ვითანამშრომლო თქვენთან და პასუხი გავცე თქვენთვის საინტერესო ყველა შეკითხვას.

ვისურვებთ წარმატებას.

პატივისცემით,

ლაშა ჟვანია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

წარმატებებს გისურვებთ

ფრიად მისასალმებელია პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ჟურნალ “ეკონომისტის” გამოცემა. ეკონომიკური პრობლემების კვლევას საქართველოში ძველი, მდიდარი ტრადიციები აქვს. იმედია, ჟურნალი ნათლად წარმოაჩენს ეკონომიკური მეცნიერების დღევანდელ დონეს და მკითხველი საზოგადოებისათვის სანუკვარ გამოცემად გადაიქცევა.

გულწრფელად გულოცავ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, მთელ კოლექტივს, ქართველ ეკონომისტებს “ეკონომისტის” გამოცემას. ვუსურვებ ჟურნალს მწვანე გზასა და ზურგის ქარს.

როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი

ჟურნალ “ეკონომისტის” რედაქციას

მივესალმები საქართველოში ეკონომიკური პროფილის კიდევ ერთი ახალი სამეცნიერო ჟურნალის – “ეკონომისტის” დაარსებას. მის მესვეურთ, ალბათ, კარგად აქვთ გაცნობიერებული ის, რომ იგი ეფუძნება წარსულში ამ მიმართულებით დაგროვილ მდიდარ ტრადიციებსა და ნოყიერ ფესვებს. ამის შემოქმედებითად გათვალისწინება დიდად შეუწყობს ხელს ჟურნალის ნაყოფიერ საქმიანობას.

როგორც ცნობილია, დღეისთვის ეკონომიკური პრობლემატიკა უაღრესად გართულებული და მრავალფეროვანია, რაც განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ჟურნალის სარედაქციო კოლექციას. თანაც, ამ ამოცანების გადაწყვეტისთვის ძალისხმევის მიმართვა მას ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური პროფილის ათზე მეტი ჟურნალის ფუნქციონირებით შექმნილ კონკურენტულ გარემოში მოუწევს.

ვუსურვებ ამ სიძნელეების წარმატებით დაძლევას და მოწინავე პოზიციების დაკავებას.

ლეო ჩიქავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ძვირფასო მკითხველო

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პერიოდული გამოცემა იყო ჟურნალი “ეკონომისტი”, რომლის პირველი ნომერი 1918 წლის 13 სექტემბერს გამოიცა. ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ ამ ჟურნალის გამოცემა დროებით შეწყდა და მისი გამოცემის განახლება დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან და მის დამაარსებელთან, აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან.

XXI საუკუნეში ამ ჟურნალის აღდგენა, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის მიერ, დიდად საშური საქმეა.

ვულოცავ ქართველ ეკონომისტებს ჟურნალ “ეკონომისტის” გამოცემის განახლებას, ხოლო ჟურნალის რედაქციასა და რედაქციას ვუსურვებ წარმატებებს.

ვლადიმერ პაპავა
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჟურნალ “ეკონომისტის” რედაქციას

პირველ ყოვლისა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ ახალი ჟურნალის დაარსება მთლიანად რედაქციას და თავად ეკონომიკის ინსტიტუტს, რომელსაც უდიდესი ტრადიცია გააჩნია. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში ეკონომიკაში მეცნიერულ კვლევებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამორჩეული როლი და მისი ცნობილი მეცნიერების დამსახურებები. ამ ინსტიტუტის ტრადიციები ძალიან დიდია და მე მივესალმები ამ დიდი ტრადიციების გაგრძელებას – ახალი ჟურნალის დაარსებას, რომლითაც მისი ხელმძღვანელობა ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მტკიცე მხარეების გაჯანსაღებას.

პატივისცემით ავთანდილ სილაგაძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

ინტერვიუ

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რომელსაც მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაერთო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ახალი ეტაპი დაიწყო. ბუნებრივია, ორივე ეს უაღრესად მასშტაბური მოვლენა დიდ გავლენას მოახდენდა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს ეკონომიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ორივე დარტყმას ძირითადად გაუძლო, იგი არ გადაიზარდა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში. თუმცა გავლენის შედეგები მაინც სახეზეა: ომმა, დაუზუსტებელი მონაცემებით, 1 მილიარდი დოლარის ზარალი მაინც მიაყენა საქართველოს; სახეზეა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციების შეკვეცის შედეგად; დაიწყო ლარის კურსის ვარდნა, რამაც გამოიწვია ფასების ზრდა იმპორტულ საქონელზე; თითქმის გაკოტრების პირასაა მისული სამშენებლო ბიზნესი; გაუარესდა ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაცია; მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა საკურორტო მეურნეობამ და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ მოსაზრებები საზოგადოებაში არაერთგვაროვანია. საინტერესოა ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემაზე ცნობილ მეცნიერთა შეხედულებები.

ვლადიმერ პაპავა

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, გლობალური ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, საქართველოს წინაშე ახალი ეკონომიკური პრობლემები დადგა. კერძოდ, ესენია – ომით მიყენებული ეკონომიკური ზარალის ლიკვიდაცია, საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, ინფლაციის შედარებით მაღალი დონის შემდგომი ზრდის პრევენცია, ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება. ომის შემდგომი საქართველოსათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლა.

2008 წლის ოქტომბერში მსოფლიო ბანკის ეგიდით ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე გადაწყდა ომის შემდგომი საქართველოსათვის 4,5 მლრდ დოლარის დახმარების გამოყოფა, საიდანაც 2 მლრდ გრანტია, ხოლო 2,5 მლრდ კი კრედიტი. საქართველო ამ დახმარებას 2008-2010 წლებში მიიღებს და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი წავა იმ უშუალო ეკონომიკური ზარალის აღმოსაფხვრელად, რაც საქართველოს რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად მიადგა.

ომის შემდგომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღობვა შემცირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, ინვესტორები ცდილობენ, უფრო მეტად უსაფრთხო ქვეყნებში განახორციელონ ინვესტიციები ვიდრე ეს რუსული აგრესიის ქვეშ მყოფი საქართველოა. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მნიშვნელოვან შემცირდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ თავის ნათესავებთან გადმორიცხული ფულადი გზავნილები. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უკიდურესად უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი აქვს, სადაც იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ აღემატება, გასაკვირი არ უნდა იყოს ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას საფრთხე რომ დაემუქრა.

ავისტოს ომის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, Stand-By-ს პროგრამით 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო, რომლიდანაც 250 მლნ უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა ეროვნული ბანკის რეზერვებში. საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია, რეზერვების ხარჯვით თანდათანობით უზრუნველყოს ლარის მცოცავი გაუფასურება.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლა დაკავშირებულია იმ პირობების შესრულებასთან, რასაც ევროკავშირი საქართველოსაგან ითხოვს ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფორმატში. კერძოდ, ესენია ისეთი შრომის კოდექსის მიღება, სადაც, ისევე, როგორც ევროკავშირშია, დაცული იქნება დაქირავებულთა უფლებები, აგრეთვე, ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღება.

ზემოხსენებული დახმარება არის იმის ობიექტური საფუძველი, რომ საქართველომ თავიდან აიცილოს საბანკო და სავალუტო კრიზისები.

ლეო ჩიქავა

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

თუ კვლავაც არ გაგრძელდება ჩვენი პასიურობა და მოწყალეების მისაღებად სხვის ხელში შემყურეობა, ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით, შეიძლება რამდენადმე მსუბუქადაც კი დაეძლიოთ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური შედეგები საქართველოში. ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს: ფრიად სოლიდური, მაგრამ მეტწილად გამოუყენებელი წარმოებრივი პოტენციალი (ადამიანისეული კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები, ტექნოლოგიური ცოდნა და ა.შ.); ეკონომიკური ზრდის XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის მიღწეული საკმაოდ მაღალი, მაგრამ დღეისთვის ძალიან დაქვეითებული დონე, რომლის აღდგენა და შემდგომი წინსვლის მიღწევა უფრო ადვილია, ვინემ ცარიელ ადგილზე განვითარების უზრუნველყოფა; რუსეთის არმიის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილობრივ ოკუპაციისა და ეკონომიკისთვის უზარმაზარი ზარალის მიყენებასთან დაკავშირებით, მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახმარებისა და შედავათიანი კრედიტის სახით ჩვენთვის გამოყოფილი 4,5 მლრდ დოლარი; საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში საქართველოს აქტიურად ჩართვის პერსპექტივები და სხვა.

გამოუყენებელ შესაძლებლობათა რეალიზაცია, ცხადია, თავისთავად არ მოხდება. რეალობად მისი გადაქცევისათვის აუცილებელია ყოველმხრივ გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის (სწავლულ ეკონომისტთა აქტიური მონაწილეობით) შემუშავება და მიზანმიმართული განხორციელება. ხელისუფლების ეკონომიკურმა გუნდმა, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ მომენტებს, როგორიცაა:

– მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახმარებისა და შედავათიანი კრედიტის სახით გამოყოფილი დიდი ოდენობის სახსრების, უწინარეს ყოვლისა და მნიშვნელოვანწილად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-განვითარებისათვის გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულ ჩვენს თანამოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნებას და უმუშევრობის მწვავე სოციალური პრობლემის აღმოფხვრას;

– ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მეცნიერებატევადი დარგების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების, საერთოდ ცოდნაზე დამყარებული, ანუ ინოვაციური ეკონომი-

მიკის დაჩქარებული განვითარება, კონკურენტუნარიანი (ეკოლოგიურად სუფთა) საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის უპირატესობის მინიჭება;

– ეკონომიკური ზრდის უპირატესად ინტენსიურ ტიპზე დაჩქარებული ტემპებით გადასვლა;

– კონტრაბანდის აღმოფხვრა, ანტიდემპინგურ ქმედით ღონისძიებათა განხორციელება და, სახელმწიფოს მხრივ დროებითი მფარველობითი პოლიტიკის გატარებით, ეროვნული წარმოების შემაფერხებელ გარემოებათა თავიდან აცილება;

– ადგილობრივთან ერთად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა;

– ბიზნესსაქმიანობის მატერიალური სტიმულირება, საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, მცირე ბიზნესის წახალისება;

– სიღარიბის დაძლევა, ჯანდაცვა, განათლების მიღება და მეცნიერების განვითარება სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით;

– გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მაღალმთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის შემცველი კანონის მიღება და მისი მოთხოვნების რეალიზაცია;

– ქვეყანაში მწვავე დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზების ისეთ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომელიც ავტოქტონური ქართული ეთნოსის გენოფონდს ფიზიკური გადაშენების რეალურ საფრთხეს მოუხსნის.

თუ ამ ამოცანების გადაჭრას ენერგიულად, მაქსიმალური გულისხმიერებითა და საქმის ღრმა ცოდნით არ შევეჭიდებით, ქვეყანას ვერ ამოვიყვანთ მუდმივი ჩამორჩენის ჭაობიდან.

იაშა მესხია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკა უმძიმეს კრიზისში ჩაეფლო. ჯერ კიდევ 2007 წლის აგვისტოში აშშ-ს იპოთეკური დაკრედიტების ბაზარზე წარმოშობილმა კრიზისმა შეარყია საბანკო სექტორის სტაბილურობა, სამშენებლო ინდუსტრია და მისი მომიჯნავე დარგები. ფინანსურმა კრიზისმა სწრაფად გადაინაცვლა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და 2008 წლის ბოლოსათვის თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. საბანკო კრიზისს მოჰყვა საფონდო ბაზრის კრიზისი, ხოლო შემდეგ ბანკებისა და კორპორაციების გაკოტრება, რეცესია და უმუშევრობის ზრდა. დეფოლტის წინაშე აღმოჩნდა აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის მრავალი ქვეყანა. ზოგიერთ მათგანში სოციალური ბუნტიც კი დაფიქსირდა. კრიზისმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო იმ ქვეყნებში, სადაც ვირტუალური, „ინდექსებით გაბერილი“ ეკონომიკა დომინირებს. მსოფლიოს მსხვილ ქვეყნებში დღემდე გატარებულმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა ჯერჯერობით პოზიტიური შედეგები ვერ გამოიღო.

საქართველომ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს თავისი შიდა კრიზისი შეაგება. უკანასკნელ წლებში საქართველოს კომერციული ბანკების მიერ განხორციელებულმა ლიბერალურმა საკრედიტო ანექსიამ, რომლის მიზანი იყო უცხოეთიდან იაფად მიღებული ფულით ზემოგების მიღება, ბიზნესი და გადატაკებული მოსახლეობა „კრედიტებზე დასვა“. ეროვნულმა ბანკმა ვერ დააპროგნოზა ამის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები და არც არანაირი პრევენციული ზომები არ გაატარა. უფრო მეტიც, მან მხარი დაუჭირა ხელისუფლებას, მსოფლიო კრიზისის გაღრმავების პირობებში, მიეღო კანონი გლობალური ფინანსური ცენტრის შექმნის შესახებ.

რუსეთ-საქართველოს ომმა დააჩქარა და გააღრმავა დაწყებული ენდოგენური კრიზისი. საბანკო სისტემამ დაკარგა ლიკვიდობა, შესაბამისად შეიზღუდა დაკრედიტება, კრიზისში მოექცა სამშენებლო სექტორი, შეირყა ბიზნესი, მკვეთრად იკლო უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ, გაიზარდა უმუშევრობა, რეცესიამ აშკარად გამოკვეთილი სახე მიიღო.

ქვეყანაში შექმნილ შიდა ეკონომიკურ რყევებს თანდათანობით უფრო მკვეთრად დაემატება გლობალური კრიზისის გავლენა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მისი გაღრმავება. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ჩვენი სამომხმარებლო კალათის 70–80% იმპორტირებულ პროდუქტიაზე მოდის. საქართველოს ხელისუფლებამ დაგვიანებით აღიარა კრიზისის არსებობა, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური, ერთიანი პროგრამა არ შეუქმნა. მთელი იმედები დამყარებულია უცხოეთიდან სესხისა და გრანტის სახით მისაღებ 4,5 მლრდ აშშ დოლარზე. შიდა რეზერვების ამოქმედების გარეშე მარტო საგარეო წყაროებზე დაფუძნებული ანტიკრიზისული ორიენტაცია მაღალი რისკის შემცველია, რადგან უცხოეთიდან მისაღები “თანხა” გაწერილია 3 წელზე და მისი მიღების გარანტია ბევრადაა დამოკიდებული მრავალი შიდა და გარე განუსაზღვრელი ფაქტორების მოქმედებაზე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, აუცილებელია კომპლექსური, მიზნობრივი ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავება, რომელშიც, საგარეო ფინანსურ დახმარებასთან ერთად, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს შიდა რესურსები. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა მიიღოს ანტიკრიზისული სახე, შემცირდეს მიმდინარე და არაფინანსურ აქტივებზე მიმართული კორუფციული რისკის შემცველი ხარჯები, გადაისინჯოს მოძველებული პრიორიტეტები. გამოთავისუფლდეს მინიმუმ 2 მლრდ ლარი, შეიქმნას „ანტიკრიზისული ფონდი“, განისაზღვროს ის დარგები და სფეროები, რომლებსაც სახელმწიფო პრიორიტეტულად აღმოუჩენს საბიუჯეტო ანტიკრიზისულ მხარდაჭერას.

როზეტა ასათიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მართალია, ამ ომით რუსეთის აგრესიული სახე მსოფლიომ დაინახა, მაგრამ ჩვენ ეს დიდი ზარალის ფასად დაგვიჯდა. დავიწყეთ იმით, რომ საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის 20%. რამდენი ხალხი დაიხოცა და უსახლკაროდ დარჩა? დევნილთა იმ უზარმაზარ არმიას (აფხაზეთიდან 250 ათასი დევნილი, სამხრეთ ოსეთიდან - 20 ათასი) კიდევ 20 ათასზე მეტი დაემატა. ასეთი ტვირთი ჩვენისთანა პატარა და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნისათვის კი არა, დიდი და ძლიერი სახელმწიფოსათვისაც მიძიმეა. რა თქმა უნდა, რუსეთს თავისი პოლიტიკური მიზნები აქვს და ცდილობს, გავლენის ქვეშ მოაქციოს საქართველო. თუნდ ის რად უღირს, რომ აღმოსავლეთის დასავლეთთან დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფანი ჩაიგდოს ხელში! რუსეთი ყოველთვის შეეცდება საქართველოს ოკუპირებას და ამის მისაღწევად ძალისმიერ მეთოდებზე არ იტყვის უარს. ეს მისი ბუნებაა, მაგრამ ჩვენ არ უნდა ავეყოლოდით რუსეთის პროვოკაციას. ასეთ არაპარიტეტულ ომში, როგორც წესი, პატარა ქვეყნები არ ებმებიან. დღეს, როდესაც ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, სამოქალაქო საზოგადოებისა და ინოვაციური ეკონომიკის შექმნა უმთავრესი პრიორიტეტებია. ნებისმიერი, მითუმეტეს უთანასწორო ომი ქვეყნისთვის დამანგრეველია. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. საგულისხმოა პროფ. ლადო პაპავას შეფასება, რომ არა აგვისტოს ომი, ბრიუსელში კონფერენცია არ შედგებოდა და 4,5 მლრდ დოლარს არავინ გამოუყოფდა საქართველოს. ამის გარეშე კი ქვეყანა ნამდვილად კატასტროფის წინაშე დადგებოდა. მართლაც, საქართველო ვერ გაუძლებდა დაგროვილ (ძველ გადაუჭრელ და მცდარი ეკონომიკური პოლიტიკით შექმნილ ახალ) პრობლემებს. ასე რომ, თითქმის 18-წლიანი ეკონომიკური რეფორმის შემდეგ ხელგაწვდილობის სინდრომი საქართველომ თავიდან ვერ მოიცილა. სამწუხაროდ, ქვეყანას დღესაც სხვისი დახმარებით უდგას სული. ეს სამარცხვინოა!

რაც შეეხება მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე, ამის შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

გამომდინარე იქიდან, რომ დღეს საქართველოს ეკონომიკა არ არის ჩაკეტილი, რკინის ფარდით გამოყოფილი გარე სამყაროდან და უკვე საკმაო ხანია ღია

ეკონომიკაზე გადავედით, ბუნებრივია, მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი გავხდით და მსოფლიო ფინანსური კრიზისი გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენს გარეთ მიმდინარე პროცესები ჩვენ არ შეგვეხება. მითუმეტეს დღეს ფინანსური კაპიტალი გაცილებით მობილურია, ვიდრე ოდესმე იყო და მსოფლიო ფინანსური ბაზრები დიდ გავლენას ახდენენ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაზე. მიუხედავად ამისა, ყველა იმ ნეგატიურ მოვლენასა და პროცესს, რაც საქართველოს ეკონომიკაში ხდება, ფინანსურ კრიზისს ნუ დავაბრალებთ. ვაღიაროთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ეროვნული ეკონომიკა ნაკლებ სიცოცხლისუნარიანია, ვერ შევქელით მშპ-ის წარმოების მხრივ 1990 წლის დონისთვის მაინც მიგვეღწია, მაშინ, როდესაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან უმრავლესობამ დაძლია ეს ბარიერი და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. დღეს, სამწუხაროდ, მომხმარებელი და არა მწარმოებელი საზოგადოება ვართ. იმპორტი 4-ჯერ აღემატება ექსპორტს და ვერ დავძლიეთ საგადასახდელო ბალანსის პერმანენტული დეფიციტი. ამიტომ საქართველოში სირთულეები და გადაუჭრელი მწვავე ეკონომიკური პრობლემები მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდეც საკმაოდ იყო. თუმცა რუსეთის სამხედრო ოკუპაციამ და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გააღრმავა ისინი. დღეს აშკარაა რეალური ეკონომიკური კრიზისი და მართლაც, იმ 4,5 მლრდ დოლარის იმედი რომ არ გექონდეს, მაშინ გვენახა რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქვეყანა.

ასე რომ, პროგნოზი უახლოეს მომავალში ნამდვილად არ არის ოპტიმისტური. ქვეყანას მასშტაბური უმუშევრობა ემუქრება, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დაეცემა ერთობლივი მოთხოვნა, გამწვავდება კრიმინოგენული ვითარება, გაღრმავდება მწვავე სოციალური პრობლემები, გაიზრდება სოციალური რისკები, გაუარესდება საგადასახდელო ბალანსი, შემცირდება ისედაც მწირი ექსპორტი და ა.შ.

რაც შეეხება ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას, მართალია, დღეს საქართველოში მოქმედებს ლაგის ფაქტორი და, აქედან გამომდინარე, ზოგიერთი პრობლემის გადაჭრა საკმაოდ რთულია, ზოგი შეცდომის გამოსწორება შეუძლებელიც კია, მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყანაში შეჩერდეს ნეგატიური ეკონომიკური პროცესები და გამოსწორდეს მდგომარეობა, აუცილებელია მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავება, სახელისუფლებო სტრუქტურებში ეკონომიკური აზროვნების ამაღლება, საბაზრო და არასაბაზრო ინსტიტუტების თანაფარდობის ოპტიმიზაცია, ეროვნული თავისებურებებისა და ქვეყნის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა.

***ელგუჯა მექვაბიშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

დასმული საკითხი ორი ნაწილისაგან შედგება და შევეცდები ორივეს ვუპასუხო. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკაზე აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების და მსოფლიო კრიზისის გავლენას, მე ყოველთვის ვწერდი და ახლაც მინდა გავიმეორო მოსაზრება, რომ საქართველოს ეკონომიკაში სერიოზული სირთულეები აღნიშნულ მოვლენებამდე დაიწყო. ომმა და ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია სიტუაციის დამძიმება. კონკრეტულად კი ეს შემდეგში გამოიხატება: ომმა უკიდურესად შელახა საქართველოს, როგორც სტაბილური ქვეყნის იმიჯი, რის გამოც ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება ფაქტობრივად შეწყდა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ინვესტირების შიდა წყაროები უკიდურესად შეზღუდულია, სიტუაციის დრამატიზმი კიდევ უფრო ცხადი გახდება. ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების გზავნილების არსებითი შემცირება, რასაც განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა აგვისტოს ომის შემდეგ. ვალუტის შემოდინების შემცირება იწვევს დოლარის კურ-

სის ზრდას, რომლის დასარეგულირებლად სებ-ი სავალუტო რეზერვებიდან დიდ რესურსებს ხარჯავს. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა განაპირობა ფულის გაძვირება მთელს მსოფლიოში და შესაბამისად გაძვირდა ქართული კომერციული ბანკების იპოთეკური კრედიტები. ლიკვიდობაში შექმნილი პრობლემების გამო ბევრმა ბანკმა საერთოდ შეწყვიტა სამომხმარებლო კრედიტების გაცემა.

საბანკო ოპერაციების შეკვეცამ განაპირობა ბანკის მუშაკთა მასობრივი დათხოვნები, რომლებიც უმუშევართა არმიას შეუერთდნენ. ბანკებში შექმნილმა პრობლემებმა მნიშვნელოვანი სირთულეები წარმოქმნა მშენებლობის სფეროში, ვინაიდან ეს უკანასკნელი პირდაპირ იყო მიბმული საბანკო სექტორზე და საბანკო კრედიტებით “იკვებებოდა”.

რაც შეეხება მოვლენათა შემდგომი განვითარების ჩვენეულ შეფასებას, ვფიქრობთ, რომ მოსალოდნელია ეკონომიკური კრიზისის შემდგომი გაღრმავება, რომელიც პიკს ალბათ მიმდინარე წლის გვიან გაზაფხულზე მიაღწევს. მთავრობა ცდილობს ამ კრიზისის შერბილებას და აცხადებს ეკონომიკაში სოლიდური ინვესტირებების დაწყებას, კრიზისული პროცესების შესუსტებას ასევე შეუწყობს ხელს ის დახმარება, რაც ჩვენმა ქვეყანამ საზღვარგარეთიდან უნდა მიიღოს. მასთანავე, ჯერჯერობით ყველაფერი ეს არის მხოლოდ შესაძლებლობა, რომელიც რეალობად რომ იქცეს, ამისათვის ხელისუფლების დიდი ძალისხმევაა საჭირო.

*ავთანდილ სილაგაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რა თქმა უნდა, შეეხო საქართველოს. ეს გამოიხატა მთლიანობაში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებაში, საბანკო სისტემის გარკვეულწილად რყევაში. ცალკეულ სექტორებში, კერძოდ მშენებლობის შეჩერებაში დიდ წილად და თანამშრომლების გათავისუფლებაში როგორც სამშენებლო სექტორში, ასევე საბანკო სექტორში. გარდა ამისა, იმატა უარყოფითმა საღლომ ექსპორტსა და იმპორტს შორის – თითქმის 6 მლრდ დოლარის ფარგლებში, ეს ძალიან მძიმედ აწევს ჩვენს ეკონომიკას. 7 ნოემბერს ერთბაშად გაუფასურდა ლარი დოლართან მიმართებაში კურსი 1,4-დან 1,65-მდე. შემდეგ უკვე მიღებული კურსი – 1,65 შენარჩუნებული რომ ყოფილიყო, დღემდე დაგვიჭირდა დიდი რაოდენობით სავალუტო რეზერვების დახარჯვა. ამ მხრივ მეტად ფრთხილი მიდგომები გვჭირდება უახლოეს პერსპექტივაში. რომ არა უცხოეთის დახმარებები, რომლებიც ომის შემდეგ იყო გაცემული რამდენიმე მილიარდიანი პაკეტი, რომ არა ეს ფინანსური დახმარება ჩვენთვის ფინანსური კრიზისი იქნებოდა უმძიმესი. მე ვფიქრობ, რომ ეს დახმარებები თუ გამოყენებული იქნება მიზნობრივად, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ფინანსური კრიზისის უფრო მძიმე შედეგებს თავიდან ავიცილებთ. რაც შეეხება პერსპექტივას, უკვე აღვნიშნეთ, რომ წლის ბოლოსათვის შეიძლება ვარდნის ეკონომიკური პროცესები შედარებით შეჩერდეს.

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკა

რამაზ აბესაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ეკონომიკა XX – XXI საუკუნეების მიჯნაზე

საქართველომ, თავისი ისტორიული ხვედრიდან გამომდინარე, არაერთხელ მოიპოვა და დაკარგა დამოუკიდებლობა, რასაც, ხშირად, სახელმწიფო სისტემისა და ეკონომიკური წყობის შეცვლაც მოჰყვებოდა ხოლმე. იგივე განმეორდა XX საუკუნეში – 1918 წლის 26 მაისს მან მოიპოვა დამოუკიდებლობა, აღადგინა სახელმწიფოებრიობა და დაადგა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზას. მაგრამ სულ მალე, 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, სახელმწიფოებრიობაც და, რაც ყველაზე მთავარია, აქ დამყარდა კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა, რომლის ანალოგიც მსოფლიო ისტორიაში არ არსებობდა და რომელიც ცნობილია სახელწოდებით – “მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა”, “მბრძანებლური ეკონომიკა”, “სოციალიზმი” და ა.შ. მაშასადამე, საქართველო, რასაკვირველია იძულებით, მაგრამ მაინც, დაადგა ახალი ეკონომიკური წყობილების – სოციალიზმის მშენებლობის გზას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან ერთად და 70 წელი იმყოფებოდა მსოფლიოს ერთიან სოციალისტურ ბანაკში. ამ დროის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა არაერთგვაროვნად ვითარდებოდა. მასზე შემდეგი ციფრებიც მეტყველებს: მაგალითად, სამრეწველო პროდუქცია 1922–1940 წლებში 17-ჯერ, 1940–1960, 1960–1985 წლებში 4-ჯერ გაიზარდა [15, გვ.17; 16, გვ. 10]. როგორც ჩანს, თანდათან ადგილი აქვს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპების შემცირებას. 1985-1990 წლებში კი ადგილი ჰქონდა წარმოების მოცულობის არა ზრდას, არამედ კლებას (3,1%-ით) [17, გვ. 357].

მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკაში დამოუკიდებლობის აღდგენის წინა პერიოდში სერიოზული სიძნელეები არსებობდა. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობისათვის სათანადოდ არ ემზადებოდა, რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, სადაც წარმოების მოცულობა აღნიშნულ პერიოდში არათუ ეცემა, არამედ მნიშვნელოვნად იზრდება.

დღეისათვის საზოგადოების მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენად პროგრესული იყო სოციალისტური სისტემა, ორად იყოფა. უმრავლესობა თვლის, რომ ასეთი სისტემა იყო საზოგადოების ბუნებრივი განვითარებიდან გადახრა და მისი შეცვლა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა. არცთუ მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ იგი იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე პროგრესული წყობა და მისი დამარცხება მხოლოდ სუბიექტური მიზეზების გამო მოხდა. ალბათ, ამ საკითხის სრულყოფილი შესწავლა და ყველა უარყოფითი და დადებითი მხარის გამოვლენა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მაგრამ ისიც ნათელია, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა არსებით ნაკლოვანებებს ფლობდა, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელი იყო.

რა იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის ძირითადი ნაკლოვანებები, რომელიც ხელს უშლიდა ეკონომიკის შემდგომ განვითარებას? ამ კითხვაზე პასუხი დამაჯერებლადაა მოცემული ეკონომიკური მეცნიერების ცნობილ წარმომადგენელთა ნაშრომებში [10; 11; 12; 13; 14 და სხვ.], რომლის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს.

1. რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ცვლის საბაზრო მექანიზმს, ერთიანი ცენტრი იძულებულია, გადაამუშაოს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია, რათა შემდეგ გასცეს ბრძანება თითოეული ეკონომიკური აგენტისადმი. მაგრამ, ერთ ორგანიზაციას, როგორი უნიკალური შესაძლებლობებიც არ უნდა ჰქონ-

დეს მას, დანაკარგების გარეშე ამის გაკეთება არ შეუძლია, ვინაიდან გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს ეკონომიკა, მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რის გამოც, გამუდმებით იცვლება მასზე მოქმედი ფაქტორები. ბუნებრივია, ამის გამო გეგმები ვერ სრულდება და იწყება ქაოსი – შეზღუდული ეკონომიკური რესურსები მეტად არარაციონალურად გამოიყენება. საბაზრო ეკონომიკა კი, ფასების მექანიზმის მეშვეობით, ამ პრობლემას თითქმის ავტომატურად აგვარებს.

2. საგვემო ეკონომიკის დროს ასევე დიდია ტრანსაქციური დანახარჯები, რომელიც გაიწევა საგვემო დავალებათა მისაღებად და მათ ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატის შესანახად.

3. კერძო საკუთრების და მეწარმეობის აკრძალვის გამო თითქმის მთლიანად იგნორირებულია ადამიანთა შემოქმედებითი უნარი, თუმცა ცალკეული პირები მაინც ახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენას, მაგრამ ეს ხდება ჩრდილოვან ეკონომიკაში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე დიდ დანახარჯებს მოითხოვს.

4. ეკონომიკური განვითარების ლოგიკას ასეთ პირობებში, ტოტალიტარიზმთან, ანუ ისეთ სისტემასთან მიეყვართ, სადაც ადამიანური საქმიანობის ყველა დარგი ხელისუფლებას ემორჩილება, რაც ასევე დაკავშირებულია ტრანსაქციური დანახარჯების ზრდასთან. ასეთ პირობებში, ხელფასის დაბალი დონის გამო, თანდათან ჩნდება და ვითარდება კორუფცია, რომელიც მთელი საზოგადოებისთვის გარკვეულ წესად იქცევა და ტრადიციის ხასიათსაც კი იძენს. ყალიბდება ეგრეთ წოდებული “ბიუროკრატიული”, ანუ “ადმინისტრაციული” ბაზარი, სადაც იყიდება არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობები, არამედ “ძალაუფლება” და “ხელქვეითობა”, “წესები და მათი დარღვევები” და ა.შ. ასეთი ურთიერთობების წლების განმავლობაში განმეორებადობის გამო საზოგადოებაში ყალიბდება შესაბამისი წესჩვეულებები, იქმნება დაუწერელი სამართალი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევებზე.

5. მეურნეობრიობის ასეთი სტილი მუდმივ დეფიციტს წარმოშობს როგორც მწარმოებლების, ისე მომხმარებლებისათვის, რაც თავისთავად იწვევს წარმოების დიქტატს მომხმარებლებზე. ჩნდება რიგები, “დახლქვეშა პროდუქცია” და ა.შ.

6. სახელმწიფოს მხრიდან ვლინდება ცალკეულ საწარმოთა მკაცრი რეგლამენტაცია და, ამავე დროს, მათზე ზრუნვა. მართალია, ყოველი საწარმო განიცდის რესურსების ნაკლებობას, მაგრამ მას შეუძლია იმუშაოს ზარალის პირობებშიც, იგი არასდროს გაკოტრდება, ვინაიდან სახელმწიფო აუცილებლად დაეხმარება და ისხნის გასაჭირისაგან. ასეთ პირობებში უარესდება პროდუქციის ხარისხი, მიუხედავად ამისა, რიგებით შეწუხებული ადამიანები ყველაფერს ყიდულობენ.

7. მიწოდებაზე მოთხოვნის მუდმივი სიჭარბე იწვევს ფულადი მასის ზრდას და მის მრავალჯერად სიჭარბეს სასაქონლო მასასთან შედარებით. ასეთი დისბალანსის შედეგად გამოწვეული ინფლაციური პროცესები ითრგუნება ძალით, ფიქსირებული ფასების მეშვეობით. ადგილი აქვს ფარულ ინფლაციას, რაც თავის გამოხატულებას პოულობს რიგებში, ტალონებში, ბარათებსა თუ დეფიციტური საქონლის განაწილების სხვა ფორმებში.

8. ცენტრალიზებული საგვემო ეკონომიკური წყობილების დროს სახელმწიფო შედარებით უმნიშვნელო მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რაც ეგრეთ წოდებული უცხოური ვალუტის “შავი ბაზრის” წარმოშობას იწვევს. ასევე, გასაგებია, თუ რა დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკური პროცესებისაგან ქვეყნის მოწყვეტა.

9. ერთი მხრივ, ცალკეული ადამიანის ყოველმხრივი დამოკიდებულება ხელისუფლებაზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მათზე მზრუნველობა, ბადებს ინფანტილიზმს და უუნარობას, ბრძანებისა და მზრუნველობისაკენ მაყურებელ ადამიანთა ტიპს.

ხედავდნენ რა ამ ნაკლოვანებებს, კომუნისტურ ბანაკში შემავალმა ქვეყნებმა გამოსავლის ძიება დაიწყეს. რეფორმების მცდელობას პირველად ადგილი ჰქონდა იუგოსლავიაში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, შემდეგ გერმანიის დემოკრატი-

ულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. სერიოზული ეკონომიკური რეფორმები დაიწყო ჩინეთში 1978 წელს [12, გვ. 378-379] და იგი დღესაც წარმატებით გრძელდება.

დიდი მასშტაბის გარდაქმნებს კი საფუძველი ჩაეყარა 1989 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელსაც 1992 წლის დასაწყისში ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენები – საბჭოთა კავშირის (და მასთან ერთად მსოფლიო კომუნისტური ბანაკის) დაშლა და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყება მოჰყვა.

საქართველოც, ბუნებრივია, ამ მოვლენათა ეპიცენტრში მოხვდა და XX საუკუნეში დამოუკიდებლობის მეორედ მოპოვების შემდეგ, ისევ დაადგა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზას, ოღონდ, არა ბუნებრივი გზით, არამედ გზით, რომლის ანალოგიც მანამდე მსოფლიოში არ მოიძებნებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ 1921 წელს საქართველო შეუდგა სრულიად ახალი ეკონომიკური წყობილების შენებას, ერთიან სახელმწიფოში და იძულებით, ამჟამად მან დამოუკიდებლად და თავისი ნებით დაიწყო იმ ეკონომიკური წყობის მშენებლობა, რომლის არსებობაც მსოფლიოში თითქმის ორ საუკუნეს ითვლიდა. ამდენად, მისთვის ორიენტირი ნათელი იყო, მაგრამ ამ ორიენტირისაკენ სავალი გზა – უცნობი. თუმცა, ჯერ ერთი, ამ გზაზე სვლა მას უწევდა სხვა მრავალ ქვეყანასთან ერთად და, მეორეც, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები მის დასახმარებლად მზად იყვნენ. ასეთ პირობებში, თუ საქართველო ოპტიმალურ გზას გამოიხატავდა, ტრანსფორმაციული პერიოდი სწრაფად და წარმატებით უნდა დამთავრებულიყო, როგორც ეს სხვა არაერთმა სახელმწიფომ შეძლო. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველომ, მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ეს შანსი ხელიდან გაუშვა და ტრანსფორმაციული პროცესი წლების განმავლობაში გაგრძელდა. **შედგად მივიღეთ დეფორმირებული ეკონომიკა, რომელიც მრავალი ნიშნის მიხედვით ვერ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.**

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. ამასთან, არა **სტაგნაციის**, არამედ **სტაგფლაციის** პირობებში, რომელიც გამოწვეული იყო არა მხოლოდ დანახარჯებზე, არამედ პროდუქციის ყველა სახეობაზე ფასების ერთდროული სწრაფი ზრდით წინა სისტემაში არსებული ფარული ინფლაციის გამო. მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე ადგილი აქვს აქამდე უცნობ ფენომენს – **ფარული ინფლაციით გამოწვეულ ტრანსფორმაციულ სტაგფლაციას**, რასაც მოსდევს სოციალური პრობლემების უკიდურესი გამწვავება. იგი საქართველოში ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა. ეკონომიკური დაქვეითების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1991–1994 წლები, როდესაც ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ სირთულეებს შინა ომები და შეიარაღებული კონფლიქტები აძლიერებდა. ზემოთ აღნიშნულ წლებში საქართველოში მკვეთრად შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა:¹ 1991წ. – 21,1, 1992წ. – 44,9, 1993წ. – 29,3, ხოლო 1994წ. – 10,4 პროცენტით. საერთოდ, მშპ-მ 1994 წელს 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 27,5 პროცენტი შეადგინა. კიდევ უფრო მეტად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა: 1991წ. – 23, 1992წ. – 46, 1993წ. – 37, ხოლო 1994წ. – 39 პროცენტით. 1994 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1990 წლის მხოლოდ 16 პროცენტის ტოლი იყო. აღნიშნულ წლებში თითქმის ნახევრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, კატასტროფულად მცირდება მშენებლობის მასშტაბები. მკვეთრად დაეცა ქვეყნის ენერგოუსუნველყოფის დონე. ისე, როგორც მთელ ეკონომიკაში, ენერგეტიკაშიც დაიწყო ნგრევითი პროცესები. 1994 წლისათვის ელექტროენერჯის გამომუშავება ორჯერ შემცირდა, თითქმის შეწყდა ქვანახშირის წარმოება, კრიტიკულ დონემდე დაეცა ნავთობის მოპოვების მოცულობა, არაგადახდისუნარიანობის გამო ქვეყანას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება. საქართველო მწვავე

¹ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები.

ენერგეტიკულმა კრიზისმა მოიცვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, კატასტროფულად გაუარესდა მოსახლეობის სოციალური პირობები. აღნიშნულ წლებში მკვეთრად გაიზარდა ფასები სამომხმარებლო საქონელზე: 1992წ. – 25-ჯერ, 1993წ. – 92-ჯერ, ხოლო 1994წ. – 120-ჯერ. ამავე წელს მუშაკთა მინიმალურმა ხელფასმა 1989 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 1,65 პროცენტი შეადგინა, საშუალო ხელფასმა – 1,64, პენსიის სიდიდემ – 1,64 პროცენტი, რაც აბსოლუტური სიდიდით, შესაბამისად 1,78, 5,02 და 1,78 დოლარით გამოისახებოდა. ეს, არსებულ ობიექტურ პირობებთან ერთად, გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ეკონომიკური რეფორმები არადროულად და არათანმიმდევრულად დაიწყო.

საქართველოში ახალ წყობილებაზე გადასვლას ართულებდა შიდა პოლიტიკური არეულობა და ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ასეთ პირობებში განსაკუთრებით დიდია სახელმწიფოს როლი, რომლის ფუნქციებიც ტრანსფორმაციის პირობებში არათუ მცირდება, არამედ კიდევ უფრო იზრდება და რთულდება. სწორედ სახელმწიფოს მეშვეობით უნდა დაძლეულიყო ის სირთულეები, რომელიც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ღრმა ინსტიტუციურ გარდაქმნებსა და ადამიანის როლისა და ადგილის ცვლილებებთან, სტრუქტურული კრიზისის დაძლევისათვის, გამწვავებული სოციალური პრობლემების გადაჭრასთან. შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სახელმწიფოს აკისრია გარკვეული ინდიკატორის როლი, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ამ გადასვლის მიმდინარეობა. საქართველოს ხელმძღვანელობაც შეეცადა ტრანსფორმაციული პროცესების დაჩქარებას და 1992 წლის თებერვლიდან დაიწყო შოკური თერაპიის განხორციელება. მაგრამ, რადგანაც ქვეყანას ამ დროისათვის არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა, ფულად-საკრედიტო სისტემა და სახელმწიფო ბიუჯეტიც კი, ბუნებრივია, შოკური თერაპია ვერ განხორციელდებოდა და არც განხორციელებულა, რამაც ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა.

მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა 1995 წლიდან სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გამო. თუმცა 1998 წლიდან, რეფორმების დამუხრუჭების შედეგად, ვითარება კვლავ გაუარესდა. განსაკუთრებით გამოიკვეთა საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი, უკიდურესად გამწვავდა სოციალური პრობლემები. მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიდა, მაშინ, როდესაც პოსტკომუნისტური ქვეყნების დიდმა ნაწილმა (პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი და სხვ.) ძირითადად დაძლია ტრანსფორმაციული სიძნელეები.

მიიმე სიტუაციიდან გამოსვლა მხოლოდ 2004 წლიდან გახდა შესაძლებელი (აღმოიფხვრა როგორც საბიუჯეტო, ისე ენერგეტიკული კრიზისი, მიღწეულ იქნა ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპები და სხვ.). მაგრამ, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა მდგომარეობა კვლავ საგრძნობლად გააუარესა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკამ ამ ორ დიდ დარტყმას ძირითადად გაუძლო და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და საერთაშორისო დახმარების პირობებში მდგომარეობა თანდათან უნდა გაუმჯობესდეს.

დღეისათვის უკვე შესაძლებელია შევაჯამოთ საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები და განვსაზღვროთ მომავლის ამოცანები.

დადებითი მხარეებიდან შეიძლება გამოვყოთ:

1. საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და თანდათან სრულყოფა.
2. საბაზრო გარემოს ფორმირება და სრულყოფა (საკუთრების ფორმების პლურალიზაცია, საკუთრების ტრანსფორმაცია, ფასების ლიბერალიზაცია, საკუთარი ვალუტის შემოღება, ფულად-საკრედიტო სისტემის ფორმირება, საბაზრო

ინსტიტუტების (ინფრასტრუქტურის) ჩასახვა, საბაზრო ქცევების დამკვიდრება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება და გაღრმავება, საგადასახადო სისტემის სრულყოფა და სხვ.).

3. 1991 – 1995 წლებში ჩამოყალიბებული ღრმა ეკონომიკური კრიზისისა და 1998 – 2003 წლების ფინანსურ-საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისების დაძლევა და საკმაოდ მაღალი ზრდის ტემპების ჩამოყალიბება-შენარჩუნება.

4. ქვეყნის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილის აღდგენა.

5. ქვეყნის მიერ სატრანზიტო ფუნქციის შექმნა.

6. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სხვ.

ნაკლოვანებებიდან აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული საბაზრო მექანიზმი ჯერჯერობით სუსტი და დეფორმირებულია. სუსტი იმიტომ, რომ **განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა** (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები, სადაზღვევო სერვისი, საინვესტიციო ინსტიტუტები, მარკეტინგული, ინჟინერული, კოლსანტინგური და საინფორმაციო სამსახურები და სხვ.), დეფორმირებული იმიტომ, რომ, ხშირ შემთხვევაში, არაეფექტიანი პრივატიზების განხორციელებისა და გარე და შიდა ინვესტიციების არარაციონალური განთავსების შედეგად ჩამოყალიბდა **ეკონომიკის არაპროგრესული სტრუქტურა (განსაკუთრებით განუვითარებელია მრეწველობა, ტურიზმი, მცირე ბიზნესი, ფერმერული მეურნეობები სოფლად)**, ასევე არასრულყოფილი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებისა და ბიზნესში, რიგ შემთხვევებში, არაეკონომიკური ჩარევების გამო დაბალია კონკურენციის დონე. მაღალია უმუშევრობის დონე და სხვ.

საქართველოში მთელ ტრანსფორმაციულ პერიოდს წითელ ზოლად გასდევს საერთაშორისო დახმარებებისა და კრედიტების არაეფექტიანი გამოყენება. სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობისადმი არასათანადო დამოკიდებულების გამო დაბალია ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, რის შედეგადაც იმპორტის მოცულობა კატასტროფულად ჩამორჩება ექსპორტის მოცულობას.

მშპ-ის მოცულობა წლების განმავლობაში 1990 წლის მაჩვენებელს ძლიერ ჩამორჩება (1994 წელს – 72,5, 1999 წელს – 63,2, 2007 წელს – 59,4 პროცენტით).²

ცუდი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქვეყანაში პრაქტიკულად სახეზეა დემოგრაფიული კრიზისი, რაც, ერთი მხრივ, გამოიხატება მოსახლეობის რიცხოვნობის კლებაში, მეორე მხრივ, საზღვარგარეთ სამუშაო ძალის დიდი რაოდენობით ემიგრაციაში.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია რეფორმების განხორციელებისადმი მეტი სერიოზული და კვალიფიციური დამოკიდებულება. უპირველეს ყოვლისა, ბიზნესი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფოს არაეკონომიკური ხასიათის ჩარევებისაგან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის რეალური სფეროს განვითარებას, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა მიიღოს საწარმოო ხასიათი (ნაცვლად მხარჯავისა). უცხოური დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სექტორში უნდა წარიმართოს (რასაც მთავრობის დღევანდელი პროგრამა ითვალისწინებს კიდევაც).

აუცილებელია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულყოფა და მისი პრაქტიკული რეალიზება, რასაც მოჰყვება კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება და რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზრო ინსტიტუციების სრულყოფასა და მათ შემდგომ განვითარებას, მყარი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეალურად ამოქმედებისათვის სახელმწიფომ თავად უნდა გამოუშვას ფასიანი ქაღალდები.

ექსპორტის გადიდება დაკავშირებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან, რაც თავისთავად შეუძლებელი იქნება ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების გარეშე. ამისათვის კი, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად, აუცილებელია საკუთარი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენება

² საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები და [18, გვ. 19].

და შემდგომი გაძლიერება. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარანტიად, ქვეყანაში არსებული მრავალფეროვანი და საკმაოდ მდიდარი ეკონომიკური პოტენციალის ჯეროვან ამოქმედებასთან ერთად, 90-იან წლებამდე მიღწეული ინტელექტუალური დონის ჯერ კიდევ შენარჩუნებული სოცოცხლისუნარიანობის გამოყენების უპირატესობა უნდა მივიჩნიოთ [8]. მეცნიერება სახელმწიფოს ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონკურენტულ ბრძოლაში დიდი შედეგები აქვს მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროექტებში დიდად სახსრებს აბანდებენ, რომელთა უკუგება ამ სახსრებს ბევრად აღემატება.

საჭიროა ეროვნული წარმოების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელება, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით. პროტექციონისტული პოლიტიკის მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ პროდუქციის უმეტესი სახეობების მიხედვით მივაღწიოთ თვითუზრუნველყოფას საკუთარი პოტენციალის ხარჯზე, არამედ შევქმნათ გრძელვადიანი პერსპექტივების შესაბამისი ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც ეკონომიკის ახალი პერსპექტიული სფეროებისა და წარმოების ახალი სახეობების ათვისებას, ისე მსოფლიო მეურნეობაში მისი ინტეგრაციის ღრმად ჩართვის დანქარებას [9, გვ. 14-16].

იმედია, სწორი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარებისა და საერთაშორისო დახმარებების მეშვეობით ჩვენი ქვეყანა შეძლებს გაუმკლავდეს მის წინაშე მდგარ სიძნელეებს, გადაჭრას XX საუკუნიდან გადმოყოფილი, შინა ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად წარმოშობილი პრობლემები და ჩამოაყალიბოს განვითარებული საბაზრო ურთიერთობები XXI საუკუნის უახლოეს პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., “მერიდიანი”, 2006.
2. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., “სიხლექ”, 2002.
3. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.
4. ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე).
5. მესხია ი. მურჯიკნელი მ., ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ., “თსუ გამომცემლობა”, 1996.
6. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., “პდპ”, 2002.
7. პაპავა ვ. საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის საქართველოში. თბ., “ფინანსები”, 2000.
8. ჩიქვა ლ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. წიგნში: გარდამავალი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები. თბ., “თსუ გამომცემლობა”, 2002.
9. წერეთელი გ. საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები. წიგნში: “საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში” ტ. I, თბ., “მეცნიერება”, 2000.
10. Корнаи Я. Дефицит. М., “Экономика», 1990.
11. Коуз П. Фирма, рынок и право. М., 1993.
12. Линвуд Т. Гаигер. Макроэкономическая теория и переходная экономика. М., «ИНФРА-М», 1996.
13. Мизес Е.Л. Бюрократия. Запланированный хаос. Антикапиталистическая ментальность. М., «Дело». 1993.
14. Хайек Ф. Погубная самонадеянность. М., 1991.

15. Народное хозяйство Грузинской ССР. 1922-1982. Тб., «Сაბჩოთა საქართველო», 1982.
16. Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 году Тб., «Сაბჩოთა საქართველო», 1986.
17. Народное хозяйство ССР в 1990 г. М., «Финансы и статистика». 1991.
18. საქართველოს ეკონომიკა: ომის შემდგომი პერიოდი და პერსპექტივები. ჟ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, № 18, გვ. 19, 2008.

Ramaz Abesadze

Doctor of Economic Sciences, Professor

ECONOMY OF GEORGIA ON THE VERGE OF THE XX AND XXI CENTURIES

Summary

Today we can summarize positive and negative results of post-communist transformation in Georgia and determine the objectives of the future.

Among positive sides we can emphasize:

1. The formation and gradual improvement of adequate legislative basis of market economy.
2. The formation and improvement of market environment (pluralizing of properly forms, properly transformation, price liberalization, creation of own currency, formation of monetary-credit system, formation of market institutions (infrastructure), establishment of market behavior, formation and deepening of international economic relations, improvement of taxation system etc.).
3. The overcoming of deep economic crisis arisen in 1991 – 1995 and financial-budgetary and energetic crisis of 2003 and the formation-maintenance of rates of growth high enough.
4. The reconstruction of a significant part of country infrastructure.
5. Taking of transit function by the country.
6. The growth of population income etc.

Among negative sides we should note that market economy in Georgia is weak and deformed yet. Weak – because the market infrastructure is undeveloped (commodity, stock and labor exchanges, insurance service, investment institutions, marketing, engineering, consulting and information services etc.), deformed – because in many cases due to the realization of inefficient privatization and irrational placement of foreign and inner investments a non-progressive structure of economy has been created etc.

The article also deals with other shortages and the ways of their overcoming.

ვლადიმერ პაპაეა

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული*

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,

თამარ თაფლაძე

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

**“ლიბერალური იმპერიის” რუსული მოდელი და
პოსტრევიზიონული საძარბოველოს ბამოცდილება**

“ლიბერალური იმპერიის” იდეა სულაც არ არის რუსული [1]. ეს იდეა პირველად დიდ ბრიტანეთში გაჩნდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში [2], ხოლო განვითარება XX საუკუნის ბოლოს პოვა [3] და, საბოლოოდ, ამერიკული “ელფერიც” კი მიიღო [4]. სავარაუდოა, რომ ლიბერალური იმპერიის რუსული ვერსიის შექმნა “დაახქარა” აშშ-ის სამხედრო ოპერაციებმა ავღანეთსა და ერაყში [5], რომელიც ამერიკული დემოკრატიული იმპერიის შექმნას [6] ისახავს მიზნად.

2003 წლის 1 ოქტომბერს რუსეთის ერთ-ერთ წამყვან გაზეთ – “ნეზავისი-მაია გაზეტაში” დაბეჭდა ცნობილი რუსი პოლიტიკოსისა და ეკონომისტის, ელექტროენერგეტიკული გიგანტის “რაო ეეს“-ის ხელმძღვანელის ანატოლი ჩუბაისის წერილი სათაურით “რუსეთის მისია XXI საუკუნეში”, რომელშიც გატარებულია აზრი პოსტსაბჭოთა სივრცეში ე.წ. “ლიბერალური იმპერიის” შექმნის შესახებ [7]. სიტყვა “ლიბერალურს” ის დატვირთვა აქვს, რომ ახალი იმპერიის შექმნა ძალადობის გზით კი არ უნდა განხორციელდეს, არამედ რუსულმა მსხვილმა კომპანიებმა (სულერთია სახელმწიფო, თუ კერძო) ხელთ უნდა იგდონ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული საწარმოები, რამაც, საბოლოო ანგარიშით, მოსკოვის პოლიტიკური ზეგავლენის ზრდა უნდა უზრუნველყოს ამ ქვეყნებზე.

ლიბერალური იმპერია, მის შემოქმედთა აზრით, უნდა დაეყრდნოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა არა სამხედრო გზით დაპყრობას, არამედ მათ ტერიტორიებზე განლაგებულ ობიექტთა ხელში ჩაგდებას. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებში [8]. ასევე საყურადღებოა, რომ ლიბერალური იმპერიის რუსულ იდეაში, მისი განმავითარებლები და განმხორციელებლები ძირითად ყურადღებას ამახვილებენ სიტყვა “ლიბერალურზე” და ცდილობენ, საერთოდ არ “შეამჩნიონ” სიტყვა “იმპერია”, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე რუსეთი ძალზე შორსაა დემოკრატიისა და ლიბერალიზმისაგან [9-10].

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი ატარებს ენერგეტიკული დამოკიდებულობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკას [11], რომლის თანახმადაც, როცა პირველი იზრდება, მეორე სუსტდება [12]. ეს სრულად ჯდება რუსეთის ლიბერალური იმპერიის შექმნის სქემაში, როცა აქცენტი გაკეთებულია ენერგეტიკული იმპერიის ფორმირებაზე [13].

“ლიბერალური იმპერიის” რუსული მოდელი ეფუძნება რუსულ ევრაზიანიზმს [14-16], რომელსაც იქ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს გადგმული [17].

კავკასიაში ლიბერალური იმპერიის შექმნა რუსეთმა დაიწყო სომხეთით, როცა უკანასკნელმა 93 მლნ აშშ დოლარის ვალის სანაცვლოდ 2002 წელს (საყურადღებოა, რომ ეს მოხდა სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინ) რუსეთს საკუთრებაში გადასცა შესაბამისი ღირებულების ობიექტები [18]. 2006 წლის დასაწყისში კი მომდევნო ნაბიჯი გადაიდგა, როცა გაზის გაორმაგებული ფასის ძველ დონეზე შენარჩუნების მიზნით რუსეთის ხელში ახალი აქტივები გადავიდა.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთსა და სომხეთს საერთო საზღვარი არ გააჩნია ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის გზაზე, განსაკუთრებული როლი, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენიჭება. საქართველოს ლიბერალური იმპერიის ქსელში მოქცევის შემდეგ კი აზერბაიჯანის ბედიც გადაწყვეტილი იქნება, რადგან მისი სტრატეგიული ეკონომიკური პროექტები უშუალოდაა საქართველოსთან დაკავშირებული [19].

საქართველოს მოქცევა ლიბერალური იმპერიის ქსელში ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა გაკოტრებული ამერიკული კომპანიის “ეიიეს სილქ როუდ“-ის აქციები “რაო ეეს“-მა შეიძინა [20].

პოსტრევოლუციურ საქართველოში აშკარად გაძლიერდა საქართველოს რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიმართულება [21].

ვარდების რევოლუციის შემდეგ, ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესში, რუსული კაპიტალის შემოსვლას საქართველოს ეკონომიკაში მთავრობისგან სრული მხარდაჭერა ჰქონდა. ამის საუკეთესო მაგალითია ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტის რუსული ჰოლდინგის “პრომიშლენნიე ინვესტორის” მიერ დაფუძნებული კომპანიის “სტეტონ ექვიტიზ“-ისათვის მიყიდვა [22].

რუსული კაპიტალისადმი საქართველოს მთავრობის კეთილგანწყობით გამხნეებულმა, კარგა ხნის წინ პრივატიზებული “გაერთიანებული ქართული ბანკის” მესაკუთრებმა აქციათა საკონტროლო პაკეტი მიჰყიდეს რუსულ “ენემტორგ-ბანკს”, რომლის აქციათა 99% რუსეთის მთავრობის ხელთაა [23]. პრაქტიკულად, განხორციელდა გაერთიანებული ქართული ბანკის ნაციონალიზაცია, ოღონდ არა საქართველოს, არამედ რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ. საყურადღებოა, რომ საქართველოში შემოსვლამდე ცოტათი ადრე “ენემტორგ-ბანკმა” სომხური “არმს-ბერბანკის” აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა [24].

განსაკუთრებული, და თანაც აშკარა, აგრესიულობით “გაზპრომი” გამოირჩევა, რომელმაც რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ ამ გაზსადენის ვითომდა პრივატიზაციის კონტექსტში მოლაპარაკებაც კი დაიწყო გაზპრომთან [25], თუმცა, აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რუსული სახელმწიფო კომპანიის გაზპრომისათვის გაზსადენის მიყიდვა რატომ უნდა ყოფილიყო პრივატიზაციად მონათლული.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ პროცესში აშშ ჩაერია აქტიურად, საქართველოს მთავრობისა და გაზპრომის გარიგება ჩაიშალა [26], რითაც რუსეთმა პირველი სერიოზული დარტყმა მიიღო საქართველოს ლიბერალურ იმპერიაში სრულად მოქცევის გეგმის განხორციელებაში.

2006 წლის ბოლოს, რუსული გაზის ფასის გაორმაგების სანაცვლოდ, გაზპრომმა კვლავ დააყენა საკითხი სხვადასხვა ობიექტის მისთვის საკუთრებაში გადაცემაზე [27].

სამწუხარო ფაქტია, რომ რუსეთის “ლიბერალურ იმპერიაში” საქართველოს მოქცევის პროცესი დაწყებულად უნდა ჩაითვალოს [28].

საყურადღებოა, რომ რუსეთში “ლიბერალური იმპერიის” თემა განსაკუთრებით პოპულარული 2005 წლის ჩათვლით იყო [29]. 2005 წლის მეორე ნახევარში მოხდა გარკვეული გარდატეხა, როცა კრემლმა პრაქტიკულად უარი თქვა ე.წ. “რუსულ ლიბერალიზმზე”. საქართველოსთან მიმართებაში ეს, უწინარეს ყოვლისა, რუსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა დევნაში გამოიხატა [30]. 2008 წელს კი მოსკოვი არ მოერიდა სამხედრო აგრესიისა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ანექსიის განხორციელებას.

ომის შემდგომ საქართველოში შემოსული რუსული კაპიტალი ქვეყანას დამატებით საფრთხევებს უქმნის [31]. მათ გასანიჭრალელებლად (ან თუნდაც არსებითად შესამცირებლად) აუცილებელია, იმ ობიექტებზე, რომლებიც დღეს რუსული კაპიტალის და ასევე საეჭვო წარმომავლობის ფირმების (მაგალითად, “ენერგოპრო”, “მულტი-პლექსი” და სხვ.) კონტროლქვეშ არიან, გაძლიერდეს სახელმწიფო

ზედამხედველობა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების (საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) მხრიდან. შესაბამის კანონებში კი აუცილებლად უნდა აისახოს ამ უწყებებისათვის სხენებული მიმართულებით უფლებამოსილებათა გაძლიერების მექანიზმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Крупнов, Юрий, «Почему либеральная империя в России не получится?», *Вестник аналитики*, № 2 (20), 2005.
2. Matthew, H. C. G., *The Liberal Imperialists. The Ideas and Politics of a Post-Gladstonian Élite*. Oxford, UK: Oxford University Press, 1973.
3. Reiff, David, “A New Age of Liberal Imperialism?,” *World Policy Journal*, Vol. XVI, No. 2, 1999.
4. Farrell, Theo, “Strategic Culture and American Empire,” *The SAIS Review of International Affairs*, Vol. XXV, No. 2, 2005.
5. Torbakov, Igor, “Russian Policymakers Air Notion of ‘Liberal Empire’ in Caucasus, Central Asia,” *Eurasia Insight. Eurasianet*, October 27 2003, online at <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav102703.shtml>.
6. Kurtz, Stanley, “Democratic Imperialism,” *Policy Review*, Issue 118, April/May, 2003.
7. Чубайс, Анатолий, «Миссия России в XXI веке», *Независимая газета*, 1 октября 2003, на http://www.ng.ru/printed/ideas/2003-10-01/1_mission.html.
8. Crane, Keith, D. J. Peterson, and Olga Olikier, “Russian Investment in the Commonwealth of Independent States,” *Eurasian Geography and Economics*, Vol. 46, No. 6, 2005.
9. Åslund, Anders, “Putin’s Decline and America’s Response,” *Policy Brief*, 41, August, 2005. Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace, 2005.
10. Trenin, Dmitri, “Reading Russia Right,” *Policy Brief*, 42, October, 2005. Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace, 2005.
11. Balzer, Harley, “The Putin Thesis and Russian Energy Policy,” *Post-Soviet Affairs*, Vol. 21, No. 3, 2005.
12. Smith, Keith C., *Russian Energy Politics in the Baltics, Poland and Ukraine. A New Stealth Imperialism?* Washington, DC: The CSIS Press, 2004, pp. 5-8.
13. Hill, Fiona, *Energy Empire: Oil, Gas and Russia’s Revival*. London, UK: The Foreign Policy Centre, 2004, online at <http://www.brookings.edu/views/articles/Fhill/20040930.pdf>.
14. Дугин, Александр. Основы геополитики. Геополитическое будущее России. Москва: «Арктогея», 1997.
15. Дугин, Александр, 2004. Проект «Евразия». Москва: Эксмо, Яуза.
16. Dugin, Alexander G., *Eurasian Mission (Programme Materials of International Eurasian Movement)*. Moscow, Russia: ROF “Evrazia,” 2005.
17. Гловели, Г., «Геополитическая экономия в России», *Вопросы экономики*, № 11, 2000.
18. *Armenia: Economic Hai-Lights*, July, 2002, online at <http://www.bisnis.doc.gov/bisnis/bisdoc/020809ARHaiLights.htm>.
19. Papava, Vladimer, “Comparative Advantages of the Central Caucasian Countries: Potential, Realised, and Missed Opportunities,” *The Caucasus & Globalisation*, No. 1, 2006.
20. Gularidze, Tea, “Russian Company Seals Controversial Takeover of Tbilisi Electricity Distribution,” *Civil Georgia, Tbilisi*, August 2, 2003, online at <http://207.218.249.154/eng/article.php?id=4694>.
21. Papava, Vladimer, “The Political Economy of Georgia’s Rose Revolution,” *Orbis. A Journal of World Affairs*, Vol. 50, No.4, 2006.
22. “Новости: 97% акций ГОК «Маднеули» продано за \$51 млн.», *СИТОН*, 7 ноября 2005, на <http://www.citon.com.ua/news.php?id=10>.
23. “Внешторгбанк приобрел контрольный пакет акций Объединенного банка Грузии”, *News.ru*, 18 января 2005, на <http://www.newsru.com/finance/18jan2005/vnesh.html>.

24. “Russian Vneshtorgbank Continues Transcaucasian Expansion,” *Mosnews.com*, 31 May 2004, online at <http://www.mosnews.com/money/2004/05/31/vtbgeorgia.shtml>.
25. Воропаева, Любовь, «Грузия дает ‘добро’», *Газета СНГ*, 28 февраля 2005, на <http://www.gazetasng.ru/article.php?id=1739>.
26. “Millennium Challenge Corporation Board Approves \$295.3 Million Compact with Georgia,” *Georgian Business Week*, 16 August 2005, online at <http://mca.gov/press/releases/2005/release-081605-boardapprovesgeorgiacompact.php>.
27. Socor, Vladimir, “Gazprom’s ‘Pure Commerce’ in Georgia,” *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, 9 November 2006, online at http://www.jamestown.org/edm/article.php?volume_id=414&issue_id=3917&article_id=2371625.
28. Papava, Vladimir, and Frederick Starr, “Russia’s Economic Imperialism,” *Project Syndicate*, January, 2006, online at <http://www.project-syndicate.org/commentary/papava1>.
29. Simons, Jr., Thomas W. *Eurasia’s New Frontiers: Young States, Old Societies, Open Futures*. Ithaca, Cornell University Press, 2008, pp. 70-90.
30. Papava, Vladimir. “Russia’s Illiberal ‘Liberal Empire,’” *Project Syndicate*, February, 2007, available at <http://www.project-syndicate.org/commentary/papava2/English>.
31. ხადური ნოდარ. საქართველოს ეკონომიკა და რუსეთის “ლიბერალური” იმპერია. ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

Vladimer Papava

Doctor of Economic Sciences, Professor,

Tamar Tapladze

Researcher at the Paata Gugushvili Institute of Economics

RUSSIAN MODEL OF THE “LIBERAL EMPIRE” AND EXPERIENCE OF POST-REVOLUTIONARY GEORGIA

Summary

In 2003, Anatoliy Chubais, the President of the Management Board of RAO EES (Unified Energy Systems) Russia and prominent Russian statesman and political figure, wrote that Russia should establish a “Liberal Empire” in the post-Soviet world. By calling it “liberal,” it was in the sense that the new empire should be based on economics rather than coercion wherein Russian companies (public and private) should take over the ownership of strategic companies in the former Soviet republics which, in the long run, must lead to the re-establishment of Moscow’s political influence over those countries.

The first step towards snaring Georgia in the Liberal Empire’s net was the summer 2003 takeover of the shares of the US-based company AES Silk Road by RAO EES. The Georgian government fully supported the entry of the Russian capital into the Georgian economy during the large-scale privatisation of government-owned enterprises after the Rose Revolution. The best example was the sale of Georgian gold and copper mining and processing companies to Stanton Equities, a subsidiary of the Russian holding group, Industrial Investors. Encouraged by the government’s affinity for Russian capital, the owners of the United Georgian Bank (privatised in 1995) sold it to Russia’s Vneshtorgbank of which 99-percent is owned by the Russian Government. This sale was the nationalisation of the United Georgian Bank by the Russian Government. This takeover came on the tails of Vneshtorgbank’s acquisition of Armenia’s Armsberbank. Gazprom is especially aggressive. It has made several attempts to take over the gas pipeline connecting Armenia with Russia. After America’s intervention, the Georgian Government’s talks with Gazprom came to an end which dealt a heavy blow to Russia’s plans. In late 2006, in the context of doubling the price for Russian gas, Gazprom once again tried to take over some of Georgia’s energy assets.

Regrettably, it is evident that Georgia is being culled into Russia’s Liberal Empire.

საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო კაპიტალიზმის ჩიხში

„ეზარმული სოციალიზმის“ კრახი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში, ამასთან, თითქმის ამ პროცესის პარალელურად, საბჭოთა კავშირის დაშლა და მის საფუძველზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება, რომლებმაც მიზნად დაისახეს ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნა, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უპრეცედენტო მოვლენაა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და სოციოლოგის ჯონ კენეტ გელბრეითის აზრით, ეს მოვლენა ორ მსოფლიო ომთან ერთიან რიგში დგას, როგორც ერთ-ერთი ამ სამი უდიდესი ისტორიული მოვლენათაგანი, რითაც გამოირჩევა XX საუკუნე [4.17]. ამ უდიდესმა ისტორიულმა მოვლენამ ღრმა ტრანსფორმაციული პროცესები გამოიწვია და „დღის წესრიგში თვისებრივად ახალი პრობლემები დააყენა, რომელთა გადაწყვეტაც იმ კლასიკური სქემების ფარგლებს სცილდება, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების მიერ მთელი წინა ისტორიის განმავლობაში იქნა შემუშავებული“ [8.11]. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდი დაიწყო, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიო ცივილიზაციაში. ამასთან, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის „ტალღაში“ მოხვედრილი ქვეყნების ეკონომიკა არა მხოლოდ თვისებრივად ახალი პრობლემების წინაშე დადგა, არამედ, ასეთ ქვეყნებში, ეკონომიკური რეფორმების სასტარტო პირობებიც მეტად არაორდინარული იყო.

მაშინ, როდესაც ველური კაპიტალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე – კაპიტალიზმის წიაღიდან აღმოცენებულ, მისგან წარმოქმნილ ახალ თვისებრიობაზე გარდამავალ პერიოდს საფუძვლად ედო წინასწარ შემუშავებული შესაბამისი ეკონომიკური თეორია ჯონ მეინარდ კეინზის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორიის“ სახით, სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დაიწყო სპონტანურად, ეკონომიკის ნგრობებში, წინასწარ გააზრებული, არსებულ მდგომარეობასთან მისადაგებული ეკონომიკური თეორიის გარეშე. აქედან გამომდინარე, სულ სხვა სასტარტო პირობები იყო დასავლეთის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების დასაწყისში – XX საუკუნის 40-იან წლებში და სულ სხვა – 90-იან წლებში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. თუმცა პოსტვაქტუმ, არა მხოლოდ საქართველოსა და სხვა ტრანზიტულ ქვეყნებში, არამედ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშიც ფართოდ გაიშალა ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდის კვლევა და, შეიძლება ითქვას, „მცდარი გზით განვითარებული“ [8.17] ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობები და მექანიზმები კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდა.

საქართველოში დაწყებულმა სისტემურმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, პოლიტიკურთან ერთად, მოიცვა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. სფეროები. გარდამავალი პერიოდის სტრატეგიად იმთავითვე ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ხოლო რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ათვლის წერტილად 1992 წლის პირველი ნახევარი გამოცხადდა¹.

საქართველოს წარმატებას, მის მომავალს, მნიშვნელოვანწილად, მისი სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ტემპი და ხარისხი განსაზღვრავდა. თავის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის – ამ მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ქვეყ-

¹“საქართველოს რესპუბლიკა”. 29 ივლისი, 1992.

ნის ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემოზე, ეკონომიკური პროცესების რეგულირების მექანიზმზე, არსებული პოტენციალის სწორად განსაზღვრაზე, ქვეყანაში დაწყებული ინსტიტუციალიზაციის პროცესის დონესა და ხარისხზე და ა.შ. ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად, კოორდინაცია გაეწია ამ მოულოდნელი პროცესებისათვის, სისტემური გარდაქმნებისათვის, შეეშუშავენა მართვის ბერკეტები და დაეცვა ქვეყნის ეკონომიკა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან. პირიქით, ასეთ რთულ სიტუაციაში, სრულიად ალოგიურად, სახელმწიფო სმითისეული „ღამის დარაჯის“ ფუნქციით შემოიფარგლა და, ეკონომიკის რადიკალური ლიბერალიზმის დოქტრინაზე დაყრდნობით, ეკონომიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვა. ჩვენ მაშინ შემოვბრუნდით წმინდა ლიბერალიზმისაკენ, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა მას ზურგი შეაქცია. დღეს „სახელმწიფო მინიმუმის“ პოლიტიკა განვლილი ეტაპია ცივილიზებული სამყაროსათვის. მოხდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის აბსოლუტური მინიმუმაცია. არადა, თავისთავად საინტერესო და მიმზიდველი გარდამავალი პერიოდის სტრატეგია საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მისი ბედი, ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების, ქვეყნის თავისებურებების გაუთვალისწინებლობისა და პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეკონომიკურ პროცესებზე სტიქიურმა ძალებმა მოახდინა დიდი ზემოქმედება. მიიმე აღმოჩნდა წარსულის მემკვიდრეობა. გააქტიურდა კრიმინალური სტრუქტურები. სახელმწიფოებრივი „ნიშა“ მაფიოზურმა ჯგუფებმა დაიკავე, საზოგადოებამ სწრაფად ვერ აუღო ალლო რეალობას. იმატა ზერეფე და შიშველ ემოციებზე აგებულმა მსჯელობამ იმის შესახებ, რის გავებასაც სპეციალური ცოდნა და პროფესიონალიზმი სჭირდება. წინა პლანზე წამოიწია სამშობლოსადმი დამოკიდებულების გამოხატვის თავისებურმა ფორმამ – მისადმი მომხარებლური თვალთ ყურებამ. ადამიანთა ამ კატეგორიამ, რომელსაც ონორე დე ბალზაკმა თავის დროზე სოციალური ნული უწოდა, მხოლოდ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რას მისცემდა მას სამშობლო და არა იმაზე, თვით რას გასცემდა მისთვის. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზედა ეშელონებში მოიკალათა. სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, ექსტრემალურ სიტუაციაში ახალი ეკონომიკური სისტემისა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობების ფორმირებაში განმსაზღვრელი როლი ეკონომიკის ლიბერალიზაციას დაეკისრა.

ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის სტრუქტურაში განმსაზღვრელი ადგილი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას უჭირავს. მისი განხორციელების გარეშე ინსტიტუციური, მიკრო- და მაკროეკონომიკური გარდაქმნები, როგორც სისტემური გარდაქმნის დანარჩენი შემადგენელი ნაწილები, დეფორმირებულ ხასიათს იღებს. მართლაც, ინსტიტუციური გარდაქმნები (საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რესურსების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ფორმირება და სხვ.), ასევე, ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, ანტიმონოპოლიური რეგულირება, საგარეო ეკონომიკური უთიერთობების ლიბერალიზაცია, ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლა და სხვ. მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები აშკარა, დაუფარავ სპეკულაციურ ორიენტაციას იღებს, ფასების ლიბერალიზაცია შეიძლება პიპერინფლაციაში გადაიზარდოს და ა.შ. თავის მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელია ინსტიტუციური, მიკრო- და მეგაეკონომიკური გარდაქმნების გარეშე განხორციელდეს. ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, საბაზრო ურთიერთობებისა და შესაბამისი ინსტიტუტების გარეშე, იგი ღირეპტიულ-ცენტრალიზებულ ფორმას იღებს.

ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა დიდად არის დამოკიდებული იმ მოდელზე, რომელიც ქვეყანამ სისტემური გარდაქმნის, ეკონომიკის რეფორმირების საწყის ეტაპზე უნდა აირჩიოს.

მსოფლიო პრაქტიკამ ამ თვალსაზრისით წინა პლანზე „შოკური თერაპია“ და გრადუალისტური მოდელები წამოსწია.

„შოკური თერაპია“, პირველ ყოვლისა, ტრანსფორმაციული პროცესების დაჩქარებული ტემპით, შოკისმოშვებელი ეფექტით წარმართვას გულისხმობს და შემდეგ ძირითად პრინციპებს ემყარება: ფასების გათავისუფლებას, აშვებას, თავისუფალი ფასწარმოქმნის საფუძველზე ფასებისა და საგარეო ვაჭრობის სწრაფ ლიბერალიზაციას, საკუთრების განსახელმწიფოებრიობასა და კერძო საკუთრების ჩამოყალიბებას, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციასა და ა.შ. მისთვის დამახასიათებელია რადიკალიზმის უაღრესად მაღალი დონე, რაც ზემოაღნიშნული გარდაქმნების პარალელურად, არსებული ეკონომიკის დემონტაჟში, მისი სხვადასხვა მეთოდით ნგრევაში გამოიხატება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეს გზა არ არის გათვლილი ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის განვითარებაზე. მისი მთავარი მიზანი ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ფინანსური სტაბილიზაცია და ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაციაა.

გრადუალისტური მოდელისათვის ნიშანდობლივია სახელმწიფო ინსტიტუტების შეცვლა-განახლება ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შენარჩუნებით, ეროვნული მეწარმეობის სტიმულირება და წარმოების სტაბილიზაცია, სახელმწიფო მონოპოლიების შენარჩუნება ეკონომიკის საკვანძო სფეროებში და ა.შ. იგი, ძველი ეკონომიკური სისტემის ელემენტების გამოყენების საფუძველზე, თანდათანობით, ევოლუციური გზით გარდაქმნას გულისხმობს. ამიტომ ეს მოდელი გრადუალისტური (ევოლუციური) გზის გარდა, სტრუქტურულ-წარმოებრივი მაკროსტაბილიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის სხვა მოდელებისაგან რადიკალურად განსხვავდება და გათვლილია წარმოებრივი პოტენციალის განვითარებაზე, სამაშულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აღნიშნული ორი მოდელიდან საქართველომ „არჩევანი“ „შოკურ თერაპიაზე“ გააკეთა. „დიდი აფეთქების“ სახელწოდებით ცნობილი ეს მოდელი „ვაშინგტონის კონსენსუსის“ საფუძველზე განხორციელდა და იგი არაოპტიმალური აღმოჩნდა საქართველოსთვის (ისე, როგორც ამ ტალღაში მოხვედრილი სხვა ქვეყნებისთვის). აღნიშნულმა მოდელმა ვერ გაამართლა, ვინაიდან ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია. შემთხვევითი არ არის, რომ „შოკური თერაპია“ თვით „პოსტვაშინგტონის კონსენსუსმაც“ კი უარყოფითად შეაფასა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აქცენტი სახელმწიფოს ახალ როლზე გადაიტანა.

რაც შეეხება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელებს, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია მათი შემდეგი ძირითადი ტიპები: ორთოდოქსული, ჰეტეროდოქსული და სტრუქტურულ-წარმოებრივი.

ორთოდოქსულ მიდგომაში აქცენტი კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებაზე სახელმწიფო ხარჯების (სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, სოციალური დაცვის ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიების, კაპიტალდაბანდებებისა და ა.შ.) შემცირების გზით. მისთვის დამახასიათებელია საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრება, საგადასახადო შეღავათების შემცირება, გადასახადების გაღიძება და ა.შ. მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას თან ახლავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც, რაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკაში აისახება. იგი გამოიხატება ცენტრალური ბანკის მიერ ფულის ემისიის შეზღუდვით, საპროცენტო განაკვეთის ამაღლებით, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გაღიძევით და ა.შ.

„ძვირი ფულის“ პოლიტიკა ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომ მასზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ფულის მიწოდების შეზღუდვას, რისი ერთადერთი გზაც, ფულის ემისიის შეზღუდვასთან ერთად, კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებაა. ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდება ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკების რეზერვებს და, შესაბამისად, ფულად მულტიპლიკატორს, ხოლო საპროცენტო განაკვეთის გადიდება ამცირებს კომერციული ბანკების დაინტერესებას, გაზარდონ თავიანთი რეზერვები ცენტრალური ბანკისგან სესხის ადებით.

მაკროსტაბილიზაციის ორთოდოქსული ტიპისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური სტაბილიზატორების (ე.წ. „ღუზის“) არჩევის ორი ძირითადი გზა: პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მიმოქცევაში ეროვნული ფულის შეზღუდვაზე, ე.ი. „ფულად ღუზაზე“, რომელსაც მონეტარული მეთოდები უდევს საფუძვლად. იგი ემყარება მკაცრ საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკას „მცურავი“ გადასაცვლელი სავალუტო კურსის პირობებში, როდესაც ანტინფლაციური ღონისძიებები დაყვანილია ერთობლივი მოთხოვნის შემცირებასა და ფულადი მასის შეზღუდვაზე. მეორე შემთხვევაში აქცენტი კეთდება სავალუტო კურსის სტაბილიზაციაზე ფიქსირებული კურსისა და სავალუტო „დერეფნის“ დადგენით, ე.ი. „სავალუტო ღუზაზე“. ეს ღონისძიება ხელს უწყობს ინფლაციური მოლოდინის შემცირებას, ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური ქცევის წინასწარ განჭვრეტასა და ა.შ. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება უცხოურ ვალუტაზე, პირველ ყოვლისა, აშშ-ის დოლარზე და გადასაცვლელი სავალუტო კურსის სტაბილურ შენარჩუნებაზე.

ამრიგად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული მოდელი, ერთი მხრივ, მონეტარული („ფულადი ღუზა“) პოლიტიკის, ხოლო, მეორე მხრივ, ფიქსირებული სავალუტო კურსის („სავალუტო ღუზა“) გამომხატველია. სუსტი ეკონომიკის პირობებში იგი წარმოშობს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა: დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროტენციალის შესუსტება, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, წარმოების გაფართოების შესაძლებლობების შეზღუდვა, საშინაო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემა, საგადასახადო ბაზის შეკვეცა და სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და ა.შ.

ჰეტეროდოქსული მიდგომა აქცენტს აკეთებს შემოსავლებისა და ფასების „გაყინვაზე“, რაც ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ფინანსური სტაბილიზაციის „მესამე ღუზის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მოდელი, განსაკუთრებით „შოკის“ ფორმით, სწრაფ ანტინფლაციურ ეფექტს იძლევა, მაგრამ წარმოქმნის ნეგატიურ შედეგებსაც: ხდება ფასისმიერი იმპულსების დეფორმაცია, ქრება წარმოების განვითარების სტიმულები, ჩნდება სასაქონლო დეფიციტის წარმოქმნის საშიშროება და ა.შ. ჰეტეროდოქსული მოდელისთვის ნიშანდობლივია „შოკური თერაპიისთვის“ დამახასიათებელი სწრაფი ფინანსური სტაბილიზაციის პრინციპის შესამება ფიქსირებული ან დროებით გაყინული ფასების პრინციპთან. მისი სტრატეგია ნეოლიბერალური და ნეოკეინზიანური თეორიების ძირითადი პოსტულატების მექანიკური შეერთების გამოხატულებაა [12.47].

მაკროსტაბილიზაციის მესამე მოდელი – სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია, როგორც გრადუალისტური ვარიანტი, „შოკისაგან“ განსხვავებით, ხორციელდება თანდათანობით, ევოლუციურად. მისი დამახასიათებელია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება არა მხოლოდ რეგულირების აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, არამედ საინვესტიციო და პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვის შენარჩუნებით, წარმოების მოდერნიზაციით, ადგილობრივ მწარმოებელთა დაცვით, მეცნიერული გამოკვლევების წახალისე-

ბითა და ა.შ. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია, ფინანსური სტაბილიზაციის მიზნით, ითვალისწინებს არა ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას, არამედ მის სტიმულირებას, როგორც საოჯახო მეურნეობების, ისე ფირმების მიმართ. ეს მოდელი, ეკონომიკის კონვერსიის თვალსაზრისით „შოკური თერაპიის“ ანტიპოლია, ხოლო მაკროსტაბილიზაციის თვალსაზრისით – ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული სტაბილიზაციის მოდელების. თუმცა იგი არ გულისხმობს ანტიინფლაციური პოლიტიკისა და ფინანსური სტაბილიზაციის ყველა მოთხოვნის უგულებელყოფას. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია ითვალისწინებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ელემენტების სუბორდინაციასა და მისი განხორციელების წესების შეცვლას. ამ მოდელის ფარგლებში ფინანსური სტაბილიზაცია იქცევა თანმხლებ და წარმოებულ ელემენტად, ხოლო ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელების წესი პრინციპულად იცვლება. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ამ მოდელში, გარკვეულწილად, გაერთიანებულია როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური თეორიების ძირითადი პოსტულატები და იგი, ჩვენი აზრით, ამითაც იმსახურებს ყურადღებას.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის, გრადუალიზმის გამოყენების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ იაპონია, რომელმაც ბოლო პერიოდში აქტიური მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა რესურსული პოტენციალის განვითარებისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების თვალსაზრისით. ასევე, შეიძლება დავასახელოთ უნგრეთი, სადაც შემუშავდა „კუპას გეგმა“, რომელშიც, გრადუალიზმთან ერთად, „შოკური თერაპიის“ ელემენტებიც იქნა გათვალისწინებული. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრადუალისტური მოდელი გამოიყენა აგრეთვე უზბეკეთმა, სადაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, მშპ-ის ვარდნის ყველაზე დაბალი ტემპები აღინიშნა – 1990-1995 წლებში მხოლოდ 18% დაფიქსირდა [8.25].

გრადუალიზმის თვალსაჩინო მაგალითად თანამედროვე ჩინეთიც გამოდგება, რომელმაც „რბილად დაშვების“ პოლიტიკა აირჩია და საბაზრო საწყისებზე ახორციელებს წარმოებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მძლავრ მოდერნიზაციას, აქტიური სტრუქტურული, წარმოებრივი და საინვესტიციო პოლიტიკით განაპირობებს წარმოებრივი სიმძლავრეების განახლებას; წარმოების დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ერთობლივი მიწოდების ზრდას, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს ანტიინფლაციურ ეფექტს. ჩინეთი პარალელურად ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, რაც ერთდროულად, სოციალური პრობლემების გადაჭრის საწინდარია. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მშპ-ში მაღალია შიდა ინვესტიციების წილი, რომელიც 40%-ს აღწევს.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის პროგრამები იწვევს საკრედიტო შეზღუდვების შერბილებას, ქმნის დამატებითი ფულადი ემისიის შესაძლებლობას, რაც ინფლაციის გაზრდის საშიშროებას წარმოქმნის. ამასთან, მისი შეკავება შესაძლებელია ინფლაციის კონტროლის გაძლიერებით, რაც გამოიხატება ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე ფასების კონტროლით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების განვითარებითა და, საერთოდ, მაკროეკონომიკური დინამიკისადმი მუდმივი ყურადღებით. ამასთან, ამ გზით წარმოშობილი ინფლაცია მოკლევადიანია. იგი მხოლოდ საწყის ეტაპზე ვლინდება, ხოლო შემდეგ, წარმოების გამოცოცხლებისა და აღმავლობის საფუძველზე, თანდათან ქრება.

ამრიგად, ამგვარი გზით მიღწეული ფინანსური სტაბილიზაცია არსებითად განსხვავდება ლიბერალურ-მონეტარისტული პოლიტიკისაგან. რაც მთავარია, იგი იძლევა სამამულო პროდუქციით ბაზრის გაჯერების შესაძლებლობას, ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნუ-

ლი ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის დაუშვებლობის გარანტიას.

ბუნებრივია, ეკონომიკის სტაბილიზაციის სტრუქტურულ-წარმოებრივი მოდელის განხორციელება რიგ წინააღმდეგობებს აწყდება, მათ შორის აღსანიშნავია დასახული მიზნის მისაღწევად მსხვილი ფინანსური რესურსების აუცილებლობა, მოლოდინის პერიოდის საკმაო ხანგრძლივობა, ინფლაციის შეჩერების რისკის მაღალი ალბათობა, მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ძლიერი ბიუროკრატიული ბარიერები და ა.შ.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელების მოკლე მიმოხილვა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: საქართველოში ეკონომიკის სისტემური გარდაქმნების (კონვერსიის) მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირდა ორთოდოქსული ტიპის პირველ ვარიანტზე. ეს არის ლიბერალურ-მონეტარული პოლიტიკა, რომელიც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით გამოიხატა და „შოკური თერაპიის“ შემდეგ, ვაშინგტონში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე აისახა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში. რაც შეეხება გრადუალისტურ მოდელს, საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით, ევოლუციური გზით გადასვლის შესაძლებლობები საქართველომ ხელიდან გაუშვა, თუმცა ამისთვის, გარდა იმისა, რომ არ იყო პოლიტიკური ნება, მიზეზი მრავალი იყო. მათ შორის აღსანიშნავია ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, სამოქალაქო ომი, კონფლიქტები, ომი სამაჩაბლოში, აფხაზეთში და ა.შ. ამრიგად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელი, ისე, როგორც „შოკური თერაპია“, თავისმხვეული იყო და საფუძვლად დაედო საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილი მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები, სისტემურ გარდაქმნებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდის ეტაპებად დაყოფის შესაძლებლობას იძლევა. დროის ეს მონაკვეთი სპეციფიკური ნიშნებითა და თავისებურებებით ხასიათდება და საანალიზო პერიოდს (1991–2008) სამ ეტაპად ჰყოფს: I ეტაპი მოიცავს 1991–1995 წლებს, II ეტაპი – 1996–2003 წლებს, ხოლო III ეტაპი იწყება 2004 წლიდან და გრძელდება დღემდე. გარდამავალი პერიოდის ძირითადი ტენდენციების გამოვლენისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია თითოეული ეტაპის ცალ-ცალკე გაანალიზება.

I ეტაპი „შოკური თერაპიის“, უფრო ზუსტად, ეკონომიკის შოკირების პერიოდია. იგი „საბაზრო ეიფორიის“, საქართველოს უახლეს ეკონომიკურ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძაფრი წინააღმდეგობებით აღსავსე წლებია. ეს პერიოდი, როგორც ეკონომიკური რეფორმების საწყისი ეტაპი, შემდეგი ძირითადი ნიშნებით ხასიათდება: უპირველეს ყოვლისა, იგი დაკავშირებული იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის უმძიმეს შედეგებთან. კერძოდ, ა) საქართველო (ისე, როგორც ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისაგან განსხვავებით, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახელმწიფოებრიობის ატრიბუტების უქონლობის გამო, ორი ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა: „შოკური თერაპიის“ განხორციელებასთან ერთად, პარალელურად უნდა ჩამოეყალიბებინა სახელმწიფო ინსტიტუტები. ამ უკანასკნელის ფაქტობრივი არარსებობა „შოკური თერაპიის“ წარუმატებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ „შოკური თერაპიის“, შეიძლება ითქვას, კლასიკური სქემა – „ბალცეროვიჩის გეგმა“ – საქართველოში ბრმა კოპირების შედეგად განხორციელდა, როგორც რუსულ „სარკეში“ ამ გეგმის ანარეკლი [8.32]; ბ). საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ეროვნული ვალუტის არარსებობის გამო, საქართველო, ჯერ კიდევ, სამანეთო ზონაში იყო და მიმოქცევაში უკვე დაშლილი საბჭოთა კავში-

რის მანეთი და რუსული რუბლი ჰქონდა, რაც ხელს უშლიდა „მოკური თერაპიის“ სრულყოფილ განხორციელებას. ასეთ ვითარებაში, „მოკური თერაპიის“, ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული, არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისთვის იყო განწირული [9.38].

გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტისა და სოციოლოგის, ჯონ კენეტ გელბრეთის აზრით, რეფორმა იწყება არა ახალი მთავრობითა და კანონებით, არამედ ჩვენი შეხედულებებით ეკონომიკურ სისტემაზე [3.270]. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სიძნელებები დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მიძიმე შედეგებთან, არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ სტერეოტიპებთან, რომლებიც დამკვიდრდა საზოგადოების ცნობიერებაში, არამედ ცოდნის მწვავე დეფიციტთანაც. მან განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი სახელმწიფო სტრუქტურებში. რა ფუნქციებს ასრულებდა საქართველოს ხელისუფლებაში იმდენი არაკვალიფიციური სახელმწიფო მოხელე, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ საბაზრო ეკონომიკაზე? ეს პერიოდი ნამდვილად არ იყო სავარძელში ნებივრობის დრო. სასაქონლო დეფიციტთან ერთად, აშკარად იგრძნობოდა რეფორმისტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანთა დეფიციტიც. საზოგადოება ბევრ ისეთ პრობლემას წააწყდა, რომელიც უცხო იყო მისთვის, მაგრამ კარგად ცნობილი დასავლეთის ქვეყნებისათვის. ეკონომიკურ მეცნიერებას დადი დაასვა მსოფლიო ეკონომიკური აზროვნებისაგან ფაქტობრივმა მოწყვეტამ, რკინის ფარდის მიღმა საინფორმაციო ვაკუუმში ყოფნამ. ეკონომიკური ქაოსისაგან ორგანიზებული ეკონომიკური სისტემის შექმნა სპეციალურ ცოდნასა და პროფესიონალიზმს საჭიროებდა. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სწრაფ დაუფლებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი, რისთვისაც ამ პერიოდში არ არსებობდა სათანადო პირობები. ცოდნის იმ მარაგით კი, რომელიც საზოგადოებას ჰქონდა, შეუძლებელი და სარისკო იყო საბაზრო ურთიერთობების რთულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა.

ეკონომიკური რეფორმების წარუმატებელი სტარტის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების გამწვავებაც იყო. სხვადასხვა ჯურის სეპარატიზმმა, შიდა სამოქალაქო და ავტონომიებთან ტერიტორიულმა კონფლიქტებმა აუნახლაურებელი ზარალი მიაყენა ეროვნულ ეკონომიკას. არც ერთ ქვეყანას არ დაუწყია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეკონომიკის ისეთი ნგრევის პირობებში, როგორც საქართველოში მოხდა. მარტო აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი მლრდ ლარს აღემატება, სამეგრელოში ზარალი 78 მლნ ლარია. საქართველოში ნგრევისა და ხანძრის შედეგად მიყენებული მთლიანი ზარალი დაახლოებით 3 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო თბილისში საომარი მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალი 33 მლნ ლარია [10.41].

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო არ თმობდა პოზიციებს, ინარჩუნებდა ტექნოლოგიურად უპერსპექტივო საწარმოებსა და თანამედროვე მოთხოვნების საპირისპირო წარმოების სტრუქტურას, რითაც, შეიძლება ითქვას, აკონსერვებდა ეკონომიკას. ასეთ სიტუაციაში ჰიპერტროფირებული მონოპოლიზმისა და დეფიციტის დაძლევის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დადგა. მაგრამ ამისათვის არც პოლიტიკური ნება იყო და არც ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებაზე აგებული ერთიანი სტრატეგიული პროგრამა, რომელთა არარსებობა კიდევ უფრო ართულებდა ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას. არადა, ადმინისტრაციული გზით საბაზრო ურთიერთობების ელემენტების შემოღება არ ნიშნავდა ბაზარზე გადასვლას. პროდუქციის უკიდურესი დეფიციტის პირობებში ფასების ლიბერალიზაცია ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის უკიდურეს ფორმად მოგვევლინა. იგი მიძიმე ტვირთად დააწვა საზოგადოებას. აი როგორ შეაფასა ეს მოვლენა ამერიკელმა პრო-

ფესორმა ა. ივანოვმა: საბაზრო ეკონომიკისაკენ გზის გაკვლევა სასაქონლო ფასის დეფიციტის პირობებში თვითმკვლევლობა... ეს იგივეა, ავადმყოფს გაუკეთო გულის ოპერაცია ანესთეზიის გარეშე. იგი ხომ ტკივილებისგან შოკში ჩავარდება და საოპერაციო მაგიდაზე დაიდუკება².

საქართველოში, მართალია, რადიკალური რეფორმა ფასწარმოქმნაში 1992 წლის 1 თებერვლიდან განხორციელდა, მაგრამ თავისუფალი ფასები ზოგიერთი სახეობის საქონელზე პირველად 1991 წლის გაზაფხულზე იქნა შემოღებული. თუ 1991 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 180%-ს შეადგენდა, 1992 წელს ეს მაჩვენებელი 25-ჯერ გაიზარდა, 1993 წელს – 92-ჯერ, ხოლო 1994 წელს – 120-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდა რეგულირებადი სამომხმარებლო ფასებიც. 1992 წელს, 1991 წელთან შედარებით, იგი 68-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ფულადი შემოსავლები მხოლოდ 3,4-ჯერ გადიდა [10.15].

ნიშანდობლივია, რომ ფასების ზრდას არ მოჰყოლია შესაბამისი საბაზრო ქცევა – წარმოებისა და, აქედან გამომდინარე, მიწოდების გაზრდა, პირიქით, ამ პროცესმა უკუპროპორციული გავლენა მოახდინა მასზე. ბაზრის გარეშე საბაზრო ინსტრუმენტების დამანგრეველმა მოქმედებამ წარმოების მკვეთრი შემცირება გამოიწვია, შეიძლება ითქვას, ჩაკლა წარმოება. თუ 1989 წელს წარმოების ვარდნა შეადგენდა 4,8%-ს, 1990 წელს მან შეადგინა 12%, 1991 წელს – 20,6, 1992 წელს – 44,8, 1993 წელს – 25,4, 1994 წელს – 11,3% [2.199]. მკვეთრად დაეცა მშპ-ის მოცულობა. 1995 წელს მან შეადგინა 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 27,3%. ამრიგად, 1990-1995 წლებში საქართველოს მშპ 3,5-ჯერ და მეტად შემცირდა. ასეთ პირობებში ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებამ (რომელიც არ ჯდებოდა კლასიკურ სქემაში) მთელი ეკონომიკის მოშლა გამოიწვია. ამასთან, გაუარესდა კრიმინალური სიტუაცია, რასაც ეკონომიკის ძარცვა მოჰყვა.

1993 წლის გაზაფხულზე საქართველოში შემოღებულ იქნა ფულადი ერთეულის სუროგატი – კუპონი. ეს მოხდა სრულიად მოუზიადებლად და იძულებითი ნაბიჯიც იყო, ვინაიდან ქვეყანა დარჩა ფულადი ერთეულის გარეშე რუსეთიდან რუსული ფულის ბანკნოტების მოუწოდებლობის გამო. ეს სუსტი, შეუქცევადი და ჩაკეტილი მიმოქცევის საშუალება იმთავითვე, ფაქტობრივად, ამოვარდნილი იყო ეკონომიკიდან. დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ამ დროს საქართველოში არსებული ნაკლებწარმოების კრიზისის სიღრმე: წარმოების ტემპების სწრაფი დაცემა, სასაქონლო დეფიციტის მკვეთრი გამწვავება და ფულადი მასის დაუსაქონლება, ფასების სწრაფი ზრდა და ინფლაციის მაღალი ტემპი, სახელმწიფო რეგულირების სისუსტე, ფულადი მიმოქცევის უკონტროლობა, საბიუჯეტო დეფიციტის სწრაფი გადიდება, იატაკქვეშა მევახშეობის ფართოდ გაშლა, უმუშევრობის სწრაფი ზრდა, მაფიური კლანების პარპაში, უაღრესად დაბალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური კადრების მკვეთრი დეფიციტი, დათრგუნულ მეწარმეთა ემიგრაცია, ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების გამწვავება, აღრიცხვისა და კონტროლის, საანგარიშგებო დისციპლინის მოშლა, კვაზისაბაზრო სტრუქტურებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბება. ყოველივე ამას აგვირგვინებდა და მისი ანარეკლი იყო კუპონი, რომელიც, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწრაფად უფასურდებოდა. კუპონის ზღვარს გადასულმა ემისიამ ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა. 1993 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის ტემპი თვეში 60-70%-ს შეადგენდა, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 7587,9%-ს მიაღწია. ეს იყო სამომხმარებლო ფასების ზრდის პიკი. 1993 წლის ბოლოს ჭკნებადი ინფლაციური პროცესები ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა. 1993-1994 წლებში ქვეყანას დამტკიცებული ბიუჯეტი არ ჰქონდა. 1994 წლის შემოდგომაზე 1 აშშ

² «Аргументы и факты» №3, 1991.

დოლარი ოფიციალურად 2,5 მლნ კუპონი ღირდა, ხოლო გადასაცემელი კურსი 5,4 მლნ კუპონს აღწევდა. ამავე წელს ინფლაციის დონე 7380%-ს შეადგენდა. მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარის, ხოლო პენსია – 10 ცენტის ეკვივალენტი იყო. პარალელურად მიმდინარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, ოქროს რეზერვის შემცირება, იმპორტზე ქვეყნის შიდა მოთხოვნის გადიდება, საგარეო ბალანსის სტრუქტურის გაუარესება და ა.შ. ამასთან, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული ბანკის კრედიტებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მავნე პრაქტიკას.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა პარალიზებული აღმოჩნდა იმ დამანგრეველი ზემოქმედებით, რომელიც გამოიწვია ომმა სამხაბლოსა და აფხაზეთში. ქვეყანაში გაჩნდა დევნილთა მთელი არმია, რომელიც მიიმე ტვირთად დააწვა ეკონომიკას. ამასთან, სწრაფად განვითარდა „შავი ბაზარი“, რომელმაც, ფაქტობრივად, იტვირთა მოსახლეობის ბიოლოგიური არსებობის პრობლემის გადაჭრა.

1994 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა. თვისებრივად ახალ დონეზე განახლდა თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან. დიდი იყო მათი ფინანსური მხარდაჭერა სტაბილიზაციის პროგრამების მიღებასა და განხორციელებაში. 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მწვავე კრიზისული პროცესების მაჩვენებელთა ზრდის ტემპების შენელება, თუმცა, წარმოების ვარდნა 1995 წელს მხოლოდ 5%-ით შემცირდა. ამავე წლიდან საქართველოს უკვე ჰქონდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი.

1994 წლის ბოლოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რამაც შესაძლებელი გახდა პიპერინფლაციის მოთოკვა და ობიექტური პირობები შექმნა ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. ამ პერიოდში წლიური ინფლაცია 50%-ს მცირედით აღემატებოდა. 1995 წლის შემოდგომაზე შემოდგებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, რომელიც გამოცხადდა ერთადერთ საგადასმდელო საშუალებად. დოლართან მიმართებაში მისი გადასაცემელი კურსი იყო 1 აშშ დოლარი 1,3 ლართან. წარმოების დაცემა, ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა ზრდით შეიცვალა. 1995 წელს აღინიშნა ნულოვანი ზრდა – 0,4%-ის ფარგლებში.

1995 წლის ბოლოდან საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები მოხდა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „მოკური“ გზა ლიბერალურ-მონეტარული მოდელით შეიცვალა. ამით საქართველოში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების II ეტაპი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ეს ორთოდოქსული მიმართულება ამ პერიოდიდან საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ამ მოდელს საოცრად მიესადაგება საქართველოს ეკონომიკაში შემდგომ განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები და პროცესები. კერძოდ, დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარებით, რაც გადასახადების გადიდებაში, საგადასახადო შეღავათების, სახელმწიფო სოციალური ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიებისა და ა.შ. შემცირებაში გამოიხატა. მკაცრ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას მოჰყვა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც, რაც „ძვირი ფულის“ სახელწოდებითაა ცნობილი. იგი, როგორც ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, ითვალისწინებს ფულის მოწოდების მკვეთრ შეზღუდვას, რისი ერთ-ერთი გზაც, ფულის ემისიის შეზღუდვასთან ერთად, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებაა. ეს უკანასკნელი ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკების რეზერვებს და, შესაბამისად, ფულად მულტიპლიკატორს. „ძვირი ფულის“ პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლა-

ციის მოთოკვა და ლარის კურსის სტაბილიზაცია იყო. გატარებული ორგანიზაციული და ეკონომიკური ზომების შედეგად დარეგულირდა ინფლაციური პროცესები. 1996 წელს ინფლაციამ 13,5% შეადგინა. ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმის მიღება. განხორციელდა რიგი ინსტიტუციური ცვლილებები.

1996-1997 წლებში საქართველოს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი და ინფლაციის ზომიერი დონე დაფიქსირდა. მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 11%-ით გაიზარდა, მაგრამ, რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების უარყოფითი მოქმედების შედეგად, 1998 წელს, 1987 წელთან შედარებით, მშპ-ის ზრდის ტემპი 2,9%-ით დაეცა.

საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი პრაქტიკულად 1998 წლის პირველ ნახევარში დაიწყო. „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ წარმოქმნა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, საგადასახადო ბაზის შეკვეცა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და ა.შ. ყოველივე ეს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა. საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მშპ-ში ექსპორტის წილის მიხედვით, რაც დაახლოებით 3%-ს შეადგენდა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ როდესაც მთავრობამ, ჰიპერინფლაციის დაძლევის შემდეგ, შეინარჩუნა ინფლაციის დათრგუნვის კურსი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა. საგარეო ვალის გაზრდამ (მისი წილი მშპ-ში 60%-ს აღემატებოდა) საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ დამოკიდებული გახდა მსოფლიო ორგანიზაციებზე და, საერთოდ, მსოფლიო ფინანსური ბაზრების კონიუნქტურაზე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამასთან, საგარეო ვალზე დაემატა ქვეყნის შიდა ვალიც, ამიტომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ძირითადად ვალების გასტუმრებაზე აიგო. ეს იყო საგარეო ვალის მომსახურება, აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მიმდინარე და ძველი ვალების გასტუმრება. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში საქართველოში პენსიას იღებდა დაახლოებით 900 ათასი ადამიანი. 14 ლარიანი პენსიის დასარიგებლად წლიურად საჭირო იყო 151 200 ათასი ლარი. ამას ემატებოდა 55 მლნ ლარი დევნილთა დასახმარებლად. სულ წლიურად 200 მლნ-ზე მეტი ლარი იყო საჭირო მხოლოდ ამ მუხლით. გარდა ამისა, ამ თანხას ემატებოდა აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასები, საგარეო ვალის მომსახურება. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია თუ რა მიმღე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო 12 წლიანი რეფორმის შემდეგ.

ინფლაციის დათრგუნვას უნდა შეექმნა პირობები ეკონომიკაში ინვესტირების გადიდებისათვის, მაგრამ მან მხოლოდ ინფლაციის დამუხრუჭების მოკლევადიანი ეფექტი მოგვცა, „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი უფრო გამოიწვია, ვიდრე ეკონომიკის განვითარება. ამის გამო, თანდათან შეუძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების ხანგრძლივი დროით შეკავება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეროვნული ვალუტისა და ფასების რეალური სიმყარე დამოკიდებულია არა მთავრობის მონეტარულ მანიპულაციაზე, არამედ ეროვნულ წარმოებაზე. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია: ეკონომიკის კონვერსიის 12 წლიანი რეფორმირების შემდეგ ვაწარმოებდით 1990 წელს წარმოებულის მხოლოდ 1/3-ს. ამასთან, თუ 1990 წელს საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 655 მლრდ დოლარს შეადგენდა, 2000 წლისათვის იგი 388 მლრდ-მდე შემცირდა, ე.ი. დანაკარგმა 59,2% შეადგინა [1.2].

ბანკები ფაქტობრივად იზოლირებული აღმოჩნდა საინვესტიციო საქმიანობისაგან, ვინაიდან მაღალი საპროცენტო განაკვეთი და დაბალი ერთობლივი

მთხოვნა ზღუდავდა მეწარმეობას. ცხოვრების ნორმად იქცა კორუფცია, ფართოდ მოიკიდა ფეხი კონტრაბანდამ, რომელმაც კიდევ უფრო „დააკონსერვა“ ადგილობრივი წარმოება. ჩიხში მოექცა ხელისუფლება, რომელმაც არათუ ვერ დაიცვა, არამედ ვერც კი შექმნა სრულყოფილი, ქვეყნისადმი მისადაგებული კანონები. კაპიტალმა ეროვნული წარმოების ნაცვლად გეზი საზღვარგარეთისკენ აიღო, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება არ იყო მომგებიანი და საიმედო. მაღალი იყო სამეწარმეო რისკი, პარალიზებული – უნაღლო ანგარიშსწორება. სამაგიეროდ არნახულ მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ, რომელმაც 60%-ს გადააჭარბა, თუმცა, ზოგიერთ დარგში (მაგალითად, ჯანდაცვაში) 75-85%-საც კი მიაღწია. ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკაში თავი იჩინა დავვიანების ეფექტმა, გაჩნდა ლავი. ქვეყანამ მიზნობრივად ვერ გამოიყენა ის შედეგთიანი კრედიტები და გრანტები, რომლებიც უწყვეტ ნაკადებად მოედინებოდა საქართველოსკენ.

ყოველივე ეს და სხვა ნეგატიური ფაქტორები ხელს უშლიდა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და პროგრესს.

დემოკრატიული საზოგადოება დაფუძნებულია კანონის ბატონობაზე, რომლის დეფიციტიც საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე აშკარად იგრძნობა.

ცნობილია, რომ ბიზნესი თავის ამოცანად არ ისახავს ისეთი უნივერსალური ფასეულობების დაცვას, როგორცაა თავისუფლება, კანონის უზენაესობა და ა.შ. მათ დასაცავად იქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც უსათუოდ გლობალიზაციისგან მიღებული სიკეთეა. საქართველოშიც შეიქმნა ასეთი ინსტიტუტები. დახმარების თვალსაზრისით დიდი იყო ძალისხმევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყანაში არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე ვერ წავიდა წინ. ამიტომ იმ ერთ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოჰყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალური სამართლიანობის ღოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით. აქედან გამომდინარე, კატასტროფულად დაეცა სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებლობა, სახელმწიფო ინტერესები დაექვემდებარა ერთეულთა ინტერესებს. ჩვენ იმ გზას არ დავადექით, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში პოზიტიურ ძვრებსაც ჰქონდა ადგილი, გაუმჯობესდა ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელიც, მაგალითად, მშპ-ის მოცულობამ 2003 წელს შეადგინა 1990 წლის დონის 46,8%, ნაცვლად 27,3%-ისა 1995 წელს, მოსახლეობის ერთ სულზე, შესაბამისად, 866 აშშ დოლარი, ნაცვლად 614-ისა და ა.შ. მაგრამ ეს, შეიძლება ითქვას, „ზღვაში წვეთი“ იყო და არსებითი გავლენა არ მოუხდენია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტებზე ალაპარაკდა, ეკონომიკური რეფორმების 12 წლისთავზე უმძიმესი იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რეფორმამდელი 1990 წლის დონის მიღწევას მშპ-ის წარმოების თვალსაზრისით, 1995-2003 წლების საშუალო წლიური ტემპის პირობებში (სხვა თანაბარ პირობებში), თითქმის 20 წელი დასჭირდებოდა, მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობის აღდგენას – 40 წელი, სოფლის მეურნეობისას – 8 წელი და ა.შ. უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია. არ არსებობდა სათანადო რესურსები ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის. ქვეყანაში საკმაოდ მძიმე საინვესტიციო გარემო შეიქმნა. ინვესტიციების წილი ძირითად კაპიტალში 9,6%-ს შეადგენდა. დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება, რაც მთავარია, ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა, პირიქით, მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა.

ხემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში შეიქმნა რეგულაციის ახალი მოდელი, რომელმაც მიიქცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება.

12 წლიანი ფიასკოს შემდეგ, საქართველოში 2004 წლიდან დაიწყო რადიკალური რეფორმების III ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება. „ვარდების რეგულაცია“ შეფასდა, როგორც ხალხის კონსტიტუციური უფლების დაცვის გამოსატყულება და იგი გლობალიზაციის თავისებური გამოძახილიც იყო.

დღეს, როდესაც მსოფლიომ გეზი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ აიღო, მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და სიღარიბის დაძლევა (ანუ ის, რომ იგი სოციალურად ასატანი იყოს) ამ მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია.

ცივილიზებულმა სამყარომ კვლავ მოიხედა საქართველოსკენ. რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვან დახმარებას ითვალისწინებს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საქართველოს ბიზნესკლიმატის რეფორმის“ პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციურ გარდაქმნებზე სოციალურ-ეკონომიკური სფეროს ყველა მიმართულებით, ადმინისტრაციული და საჯარო სამსახურის რეფორმირებაზე, საგადასახადო კოდექსის დახვეწასა და გამარტივებაზე, სასამართლო სისტემის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ფარული ეკონომიკის და კორუფციის ფართო მასშტაბების ლიკვიდაციის ღონისძიებებზე და ა.შ. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით დაძლეულ იქნა 2003 წლამდე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი და შესაძლებელი გახდა მისი დაბალანსება. ამ თვალსაზრისით, განვიღო ხუთ წელიწადში წინ გადაიდგა ნაბიჯები. გამარტივდა ფირმების რეგისტრაციის პროცედურა, 2007 წელს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მიხედვითაც საბაჟო გადასახადების რაოდენობა შემცირდა 16-დან 3-მდე, შეიცვალა საბაჟო ტარიფები, რომელიც მერყეობდა 1-დან 25%-ის ფარგლებში. ამჟამად იგი შეადგენს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე 12%-ს, სამშენებლო მასალებზე 5%-ს და სხვა საქონელზე 0%-ს. საბაჟო კოდექსის გამარტივებამ ხელი შეუწყო ექსპორტის ზრდას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საბანკო კრედიტების მოზიდვაზე. ოფიციალური მონაცემებით, 2004-2007 წლებში უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადების მოცულობა 4,6-ჯერ გაიზარდა და 2,3 მლრდ დოლარს მიაღწია [7.7].

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, საქართველო ჯერ კიდევ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა, ვერ მოხერხდა ეკონომიკური ინტერესების შეჯერება, ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი სექტორის შენარჩუნება და განვითარება და ა.შ. კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. უკიდურესად დაბალი მოთხოვნის პირობებში მწვავეა სოციალური სტრატეფიკაცია, ღრმავდება სოციალური პოლარიზაცია. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო 24-ე ადგილზეა. დღეს არსებული პენსია (მიუხედავად მისი ზრდის ტენდენციისა), საარსებო მინიმუმის 1/3-საც კი ვერ ფარავს. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იზოლირებულია საქმიანი აქტიურობისაგან, მით უმეტეს პრივატიზაციის პროცესებისაგან, რაც ფორსირებული ტემპით მიმდინარეობს და არ ითვალისწინებს ქვეყნის თავისებურებებსა და საზოგადოების მოთხოვნებს. სათანადოდ არ არის დაცული კერძო საკუთრება, რაც სერიო-

ზულ საფრთხეს უქმნის საბაზრო ურთიერთობების განვითარებას საქართველოში [9.8-9].

სახელისუფლებო წნეხის ქვეშაა ოფიციალური სტატისტიკური სამსახური. არაჯანსაღი სტატისტიკა ხელოვნურად ცვლის რეალურ სურათს და ართულებს სწორი დასკვნების გაკეთებას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა განათლების სისტემა, ამ სფეროში არასწორად ჩატარებული რეფორმის გამო. ადამიანის განვითარების ინდექსის (რომელიც 1990 წელს პირველად აისახა გაეროს განვითარების პროგრამაში, ხოლო 1991 წელს დაემატა განათლების მიღების საშუალო ხანგრძლივობა, რის საფუძველზეც შეიქმნა ცოდნის მაჩვენებელი) მიხედვით, რომელიც მერყეობს 0-დან 100 ქულამდე, რანჟირებულია 177 ქვეყანა. 80 და უფრო მაღალი ქულის მქონე ქვეყნები მიჩნეულია მაღალგანვითარებულად, 50-მდე – დაბალგანვითარებულად. საქართველო იყო საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში 72,9 ქულით, მაგრამ ავადსახსენებელ 12 წელიწადში მან მიიღო განვითარებადი ქვეყნის სტატუსი. საქართველო აღნიშნული მაჩვენებლით, მართალია, დარჩა საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში, მაგრამ გაუარესდა მისი მდგომარეობა. 2005 წლის მონაცემებით, ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველომ 81-ე ადგილიდან (2002 წელს) 96-ე ადგილზე გადაინაცვლა [11].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2003-2007 წლებში რეალური მშპ-ის ზრდის საშუალო ტემპი წლიურად საშუალოდ 9% იყო, ხოლო 2005-2007 წლებში 10%-ს გადააჭარბა³, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა 1990 წლის დონის მიღწევა. ოფიციალური მონაცემებით იგი 70%-ს შეადგენს, ხოლო ექსპერტული შეფასებით – 605-ს. მსოფლიო ბანკისა და სსფის ექსპერტული შეფასებით, 2008 წელს საქართველოში რეალური მშპ შეადგენდა 1990 წლის დონის 71,1%-ს, მაშინ, როდესაც ეს ბარიერი დაძლია აზერბაიჯანმა (192,8%), სომხეთმა (171,6%), ლატვიამ (140,9%), ესტონეთმა (172,7%), ლიტვამ (129,7%), თურქმენეთმა (218,1%), უზბეკეთმა (157,3%), ყაზახეთმა (143,3%), ტაჯიკეთმა (138,5%), ბელორუსიამ (152,7%), რუსეთმა (112,3%). თუმცა, როგორც მსოფლიო ბანკის ანგარიშში – „ბიზნესის კეთება 2008“ – არის ნათქვამი, საქართველოს, ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსის მიხედვით (ბიზნესგარემოს 178 ქვეყნიდან) მე-18 ადგილი უკავია!

სსფ-ის მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა საქმიანი კლიმატი, ჯერ კიდევ ირღვევა კონტრაქტები, სუსტია სასამართლო სისტემა და ღრმა კორუფციისგან ქვეყანამ თავი ვერ დააღწია [5].

საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მან ვერ დააღწია თავი უარყოფით საგადასახდლო ბალანსს. სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა საღდომ 2007 წელს 4 მლრდ დოლარს მიაღწია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის მონაცემებით, მშპ-ის 12,3%, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 40% სამხედრო სფეროს მოხმარდა. 2005-2007 წლებში საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი უცხოეთიდან კერძო კაპიტალის შემოდინებით, უპირველეს ყოვლისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით იფარებოდა.

საქართველოში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. უმუშევრობის ოფიციალური დონე უკანასკნელ წლებში 13%-ს შეადგენდა, ამასთან, დასაქმებულთა ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში.

დღეს საქართველოში უმუშევრობის ძირითადი მიზეზები ახალი წარმოქმნილი არ არის და შიდასისტემურია. უმუშევართა რიგების ზრდის ახალი

³ საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008, გვ. 7.

ტალდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო. ამის მთავარი მიზეზი არასელსაყრელი ბიზნესგარემო და ამ ფონზე უცხოური კომპანიების მიერ საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე უარის თქმა გახდა. ამასთან, მსოფლიოში განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით გაამწვავა უმუშევრობის პრობლემა. საქართველოდან სამუშაოდ წასული ემიგრანტები უკან ბრუნდებიან, უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ფულადი გზავნილები მცირდება, ამას ემატება 20 ათასზე მეტი დევნილი ახლადოკუპირებული ტერიტორიებიდან. აგვისტოს ომში რუსეთის მიერ ოკუპირებულია საქართველოს შემდეგი ტერიტორიები: დიდი ლიახვის ხეობიდან 9 სოფელი (კეხვი, სვერი, ძარწენი, ქემურტი, ხეითი, თამარაშენი, ზემო ანაბეთი, ქვემო ანაბეთი, ქურთა), პატარა ლიახვის ხეობიდან 5 სოფელი (ფრისი, ერედვი, ვანათი, დისევი და საცხენეთი) და ფრონეს ხეობიდან 2 სოფელი (ავნევი, ნული), აგრეთვე, ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა (მთლიანად საქართველოს ტერიტორიის 20%).

საქართველო ტოტალური უმუშევრობის საფრთხის წინაშეა. მცირდება ეკონომიკური აქტიურობა, ბუნებრივია, დასაქმებაც შემცირდება. ექსპერტთა შეფასებით, უმუშევრობის მსხვერპლი ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 25% აღმოჩნდება.

ამრიგად, საქართველოში თითქმის 18 წლიანმა ეკონომიკურმა რეფორმამ გაცილებით მეტი პრობლემა შექმნა, ვიდრე გადაწყვიტა. ქვეყანა კვლავ ეკონომიკურ ჩიხში მოექცა.

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი უნდა გამხდარიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საქართველოში ჯერ კიდევ ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ არსებობასა და ერის გადარჩენაზე. ქვეყნის არასწორმა მართვამ და არსებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის მოშლა. ნაკლებად იქნა გათვალისწინებული „ახალი მსოფლიო წესრიგისა“ და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები. საქართველო თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში აღმოჩნდა.

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი, გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, მთავარია არსებული შესაძლებლობების გონივრულად გამოყენება და ის 4,5 მლრდ დოლარი, რომელიც 2010 წლის ჩათვლით უნდა შემოვიდეს საქართველოში გრანტისა და კრედიტის სახით, მიზანმიმართულად მოხმარდეს ქვეყანას. საქართველოში პრიორიტეტული უნდა გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის იმპორტთან შედარებით უპირატესობა ტექნოლოგიურ იმპორტსა და ლიზინგის განვითარებას მიენიჭოს [7.10].

საქართველო რომ ფეხზე დადგეს, ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, არსებობდეს პოლიტიკური ნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი. რა ფერისაა მილიარდი? თბ., „მერკური“, 2002.
2. ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიასლე“, 2005.
3. Гэлбрэйт Дж. К. Экономические теории и цели общества. Перевод с английского. М., «Прогресс», 1979.
4. Galbraith J. K. Economics in the Century Ahead. In: "The Future of Economics." Oxford, Blackwell, 1992.

5. Georgia: Selected Issues//TNF Country Report 06/170, May, 2006;
6. International Monetary Fund (IMF). 2008. Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies and Technical Memorandum of Understanding. 9 September, 2008. Available at: <http://www.imf.org>.
7. კაკულია მ. ომის შემდგომი საფრთხეები საქართველოში და მათი ნეიტრალიზაციის გზები. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008.
8. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005.
9. **Papava V.** The Essehce of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choise? “Georgian International Jurnoe of Science and Technology”. Vol. 1, Issue 1, 2008.
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ., 1996.
11. Statistiks of the Human Development Raport. 2008; <http://hdr.undp.org/en/statistics>.
12. Стиглиц Дж. Многообразнее инструменты, шире цели: движение к пост-Вашингтонскому консесусу. «Вопросы экономики», №8, 1998.

Rozeta Asatiani

Doctor of Economic Sciences, Professor

POST-COMMUNIST TRANSIENT PERIOD IN THE ECONOMY OF GEORGIA: STAGES, REGULARITIES, PECULIARITIES

Summary

The work gives the brief analysis of the economy of Georgia in 1991-2008, the starting conditions and mechanisms of post-communist transient period are illustrated. Proceeding from the results of economical reforms the period of analysis is divided into three stages.

The first stage (1991-1995) is the period of “shock therapy”, or more precisely, of “market euphoria” in Georgia. This path of transition to market economy is compared to gradualism and the reasons of the failure of this model in Georgia are explained. It is substantiated that the inexistence of state institutions and national currency became the cause of the failure of “shock therapy”, while in conditions of utter deficit of production the liberalization of prices and weakness of state regulation brought the country to hyperinflation. In this period real gross domestic product fell 3.5 and more times.

The second stage (1996-2003) is the period of pursuing the policy of “expensive money” in Georgia constructed on the orthodox model of macroeconomic stabilization. This liberal-monetary model of macro-stabilization is compared with heterodoxal and structural-industrial stabilization models. It is substantiated that the policy of “expensive money” directed against inflation spiral, though enabled abrupt restriction of money supply and stabilization of lari course but in parallel caused low investment and business activity, cutting down of tax base, intensification of nonpayment crisis, etc. In this period the number of dormant enterprises achieved 80 %, and 55 % of population fell below the level of poverty.

After 12 years of fiasco, since 2004 the third stage of economical reforms has begun in Georgia which continuous till today. In 2004-2008 some positive steps have been done: on the expense of improvement of tax administration and cutting down state expenses the permanent deficit of state budget was overcome, the procedure of registration of companies and market code was simplified which partially supported the improvement of business environment. In spite of this, Georgia is still confronted with complicated social-economic and political problems, the country was unable to manage transformation processes in ethic norms,

achieve social solidarity, maintain public sector, avoid armed conflicts and war, etc. Quasi-democracy hampers the transition to market economy. Import is 4 times exceeding export. The present pension does not cover even 1/3 of minimum living costs. The considerable part of population is isolated from active activity, more so, from privatization processes. Under the governmental press the existing official statistics is masterly changing real account and complicates making of correct solutions. According to HDI (Human Development Index) Georgia is on the 96-th place. Gross domestic product makes but 71 % of that of 1990 while this barrier has been overcome by the majority of post-Soviet republics. Judicial system is weak, contracts are broken and the country cannot get over corruption. The problem of employment is very acute, the unemployment has increased even more because of the war in August and world financial crisis.

Thus, after 18 years of economic reforms Georgia is still in deep economic crisis.

საქართველოს სატრანზიტო-სერვისული ფუნქცია

საქართველოს მიერ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელება განპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, მისი გეოსტრატეგიული მდგომარეობით. იგი წარმოადგენს ერთგვარ გზაჯვარედინს – აღმოსავლეთისა და დასავლეთის, აგრეთვე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დამაკავშირებელ რგოლს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მოხდეს მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების რეალიზება. სატრანზიტო-სერვისული ფუნქცია მეტად დიდი პრობლემაა, ამიტომ ამჯერად საუბარი გვექნება მხოლოდ კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის მარაგების ათვისებასა და საქართველოზე გავლით ევროპულ ბაზრებზე მათ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ნავთობისა და გაზის მარაგებით კასპიის რეგიონი ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში, რომლის წილად მოდის ნახშირწყალბადების მსოფლიო მარაგების 4%. აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამოვლენილი მარაგებისა და პერსპექტიული რესურსების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილის მონაცემები.

კასპიის ზღვის რეგიონის ნავთობისა და გაზის მარაგები ქვეყნების მიხედვით 2006 წლის ბოლოსათვის [9, გვ. 44]

ქვეყნები	ნავთობი (მლნ ტ)		გაზი (მლრდ კუბ. მეტრი)	
	გამოვლენილი მარაგები	პერსპექტიული რესურსები	გამოვლენილი მარაგები	პერსპექტიული რესურსები
ყაზახეთი	5500	12500	3000	2500 - 3000
აზერბაიჯანი (შელფი)	1000	4500	1350	2000 - 2500
თურქმენეთი	100	4000 - 12000	2860	4000 - 4400
უზბეკეთი	100	3500	1870	3000

მონაცემებიდან ჩანს, რომ რეგიონში ნავთობის ყველაზე დიდი მარაგები აქვს ყაზახეთს, ხოლო ბუნებრივი აირის – თურქმენეთს. 2006 წელს ყაზახეთმა მოიპოვა 66,1 მლნ ტ ნავთობი, ხოლო 2010 წლის საპროგნოზო მონაცემებით ნავარაუდევია, მისი მოპოვება გაიზარდოს 80 მლნ და 2015 წლისათვის კი – 130 მლნ ტონამდე. ეს მაშინ, როდესაც ნავთობზე ქვეყნის შიდა მოთხოვნა არ აღემატება 25 მლნ ტონას, ე.ი. ამჟამად ყაზახეთს აქვს 40 მლნ ტონაზე მეტი საექსპორტო ნავთობი, ხოლო 2015 წლისათვის იგი თითქმის 100 მლნ ტონას მიაღწევს.

აზერბაიჯანი ამჟამად ყოველწლიურად 35 მლნ ტონა ნავთობს მოიპოვებს, 2010 წლისათვის კი ნავარაუდევია მისი ზრდა 48 მლნ ტონამდე, გაზისა – 120 მლრდ კუბურ მეტრამდე. 2020 წლისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად გაიზარდება 100 მლნ ტონამდე და 240 მლრდ კუბურ მეტრამდე. თურქმენეთში კი 2030 წლისათვის გაზის მოპოვება გადიდება 250 მლრდ კუბურ მეტრამდე. მაშასადამე, ნავთობის მოპოვების საპროგნოზო მონაცემებიდან (2010-2015) შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან ნავთობის

ექსპორტის მოცულობა მიაღწევს 150-180 მლნ ტონას, ანუ ორჯერ უფრო მეტს ამჟამინდელ მაჩვენებელთან შედარებით [9, გვ.44-45].

საერთოდ კი ოპტიმისტური საპროგნოზო მონაცემებით, უახლოესი 25 წლის მანძილზე ნავთობსა და ბუნებრივ აირზე მსოფლიო მოთხოვნილების 25%-ს დააკმაყოფილებს კავკასია და მისი მიმდებარე რეგიონები [2, გვ. 78]. ამასთან, ექვს გარეშეა, კასპიის რეგიონის ნავთობისა და გაზის საქსპორტო მარაგის დიდი ნაწილი რეალიზდება ევროპულ ბაზრებზე. საქართველოსთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, თუ აღნიშნულ ენერგომატარებლებს რომელი მარშრუტებით გაიტანენ აზიიდან ევროპაში. ამ მხრივ იმთავითვე გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება. 1. ჩრდილოეთის მიმართულება: ბაქო-ნოვოროსიისკი; 2. დასავლეთის მიმართულება: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი; 3. სამხრეთის მიმართულება: კასპიის ზღვიდან, ირანის გავლით, ევროპაში ნავთობის ტრანსპორტირება;

ნავთობსადენის სამხრეთის მიმართულება იმთავითვე ცალსახად ასოცირდებოდა ირანთან, რის გამოც აშშ-მ იგი ყოველმხრივ დაბლოკა, ირანი კი აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას მოსკოვთან იმ მიზნით, რომ არ დაუშვას კავკასიის დასავლეთისა და ნატო-ს პარტნიორად გადაქცევა. ირანს, სადაც 20 მლნ-მდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს, აზერბაიჯანთან მტრობის საკუთარი მიზეზებიც გააჩნია. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დასავლურ ორიენტაციაზე დაფუძნებული მტკიცე სანავთობო ალიანსი კიდევ უფრო ამწვავებს ირანთან აზერბაიჯანის ურთიერთობებს, ვინაიდან ნავთობსადენის დასავლური მარშრუტი იზოლაციაში ავდებს ირანს (მასთან ერთად სომხეთს) და სწვევტს მას ჩრდილოელი სტრატეგიული პარტნიორისაგან.

გასული საუკუნის 90-იანი წლების II ნახევარში აზერბაიჯანსა და საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევით მიღწეულ იქნა შეთანხმება დასავლეთის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ, მიუხედავად ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში არსებული მწვავე ეთნოკონფლიქტებისა. ამ იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი დასავლეთმაც. 1998 წლის აპრილში გაიხსნა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ხოლო იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და აშშ-ს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ანკარის დეკლარაციას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტთან დაკავშირებით. 1999 წლის ნოემბერში კი „ეუთო“-ს სტამბულის სამიტის ფარგლებში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა, აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის ბილ კლინტონის თანდასწრებით, ხელი მოაწერეს სამთავრობათშორისო ხელშეკრულებას „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ საქსპორტო ნავთობსადენის რეალიზაციის შესახებ. ამით დასავლეთმა პირდაპირ მიანიშნა რუსეთს (ირანსაც), რომ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების პრობლემების გადაწყვეტაში მხარს უჭერდა დასავლეთის მიმართულებას. საქართველოსა და აზერბაიჯანის პროდასავლური სტრატეგია არსებითად ნიშნავს რუსეთის როლის შეზღუდვას კავკასიაში და ამ რეგიონის გეოპოლიტიკური მომავლის სხვა მიმართულებით წარმოსახვას.

ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის სიგრძეა 248 კმ, საპროექტო წარმადობა 50 მლნ ტ წელიწადში, მთლიანად პროექტის ღირებულება კი 2,95 მლრდ აშშ დოლარი. ნავთობსადენით ორმოცი წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტი სატარიფო შემოსავლების სახით მიიღებს 2499 მლნ, ანუ, საბოლოოდ, წელიწადში 62,5 მლნ დოლარს. გარდა ამისა, ინვესტორი კომპანიები ახორციელებენ მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის პროგრამას, რისთვისაც გამოიყო 6 მლნ დოლარი.

გარდა აღნიშნულისა, 2003 წლის თებერვალში მოხდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიური გაზსადენის“ პროექტის სანქცირება. მისი ქართული მონაკვეთის სიგრძეა 240 კმ, პროექტის ღირებულება – 900 მლნ დოლარი, გამ-

ტარუნარიანობა – 30 მლრდ კუბური მეტრი გაზი. პროექტის მოქმედების 40 წლის განმავლობაში საქართველო, სატრანზიტო გადაზიდვის სახით, უფასოდ მიიღებს 50 მლრდ და შეღავათიანი ფასით შეისყიდის 8,8 მლრდ კუბურ მეტრ გაზს. ამ გზით ქვეყნის ბიუჯეტი 40 წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, მიიღებს 7 მლრდ, ანუ ყოველწლიურად 175 მლნ დოლარს.

გარდა ამისა, აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის სახელმწიფოთა მიერ ხელი მოეწერა ჩარჩო-ხელშეკრულებას ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის შესახებ. აღნიშნული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა უკვე დაწყებულია, რომელიც კასპიისპირეთს დააკავშირებს თურქეთთან [11].

საქართველოს მიერ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელება ბევრადღა დამოკიდებული საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის არსებულ კეთილმეზობლურ და კეთილგანწყობილ ურთიერთობებზე. სწორედ აღნიშნული სახელმწიფოებისა და მათი ხელმძღვანელობის მეგობრულმა ურთიერთობამ განსაზღვრა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოზე გავლით კასპიის ზღვის აუზის მდიდარი ენერგომატარებლების დიდი ნაწილის ევროპულ ბაზრებზე ტრანსპორტირება, რასაც, ეკონომიკურთან ერთად, უდიდესი პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია.

ამ მიმართულებით ასეთი ურთიერთობები ამჟამადაც გრძელდება. გასული წლის 13-14 ნოემბერს ბაქოში გამართულ მე-4 ენერგეტიკულ სამიტზე 15 ქვეყანამ და ევროკომისიამ ხელი მოაწერა კასპიის ზღვის რეგიონის ენერგომატარებლებით ევროპის ენერგომომარაგების დეკლარაციას. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR) და ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია "ყაზმუნაი-გაზის" შეთანხმება ითვალისწინებს, ტრანსკასპიური სისტემის მეშვეობით, ყაზახური ნავთობის აზერბაიჯანში ტრანსპორტირებას, შემდგომ კი საქართველოზე გავლით მის ევროპულ ქვეყნებში რექქსპორტს. I ეტაპზე მოხდება დღე-ღამეში 500 ათასი, ხოლო პერსპექტივაში კი – 1200 ათასი ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება [11].

ბაქოს ენერგოსამიტზე საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნით, ასეთი თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთანაც გაგრძელდება, რაშიც იგი, პირველ რიგში, ოდესა-ბროდის ნავთობსადენს – "ნაბუკოს" გაზსადენის პროექტებს გულისხმობდა.

ბაქოს ენერგოსამიტზე მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველოსათვის აზერბაიჯანული გაზის მიწოდების ხუთწლიან კონტრაქტს, რომელიც ამ პერიოდში ყოველგვარ პრობლემას ხსნის ჩვენი ქვეყნის გაზმომარაგებაში. ამასთან, გაზის ტარიფის უცვლელობის პირობებში, საქართველოს მთავრობა, ორმოცდაათეულიანი პროგრამის ფარგლებში, შეძლებს მოსახლეობის 80%-ის გაზიფიცირებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი საწარმოების გახსნასა და დასაქმების პრობლემის მოგვარებას [11].

ზემოაღნიშნული ნავთობის, გაზისა და სარკინიგზო მაგისტრალები უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია არა მხოლოდ კასპიის ზღვის აუზის ენერგომატარებლებების ევროპულ ბაზრებზე გატანის, არამედ ევრაზიის დერეფნის – „დიდი აბრეშუმის გზის“ თვისებრივად ახალ ნიადაგზე ამოქმედებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით. ეს ფაქტი უნდა განიხილოს, როგორც ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობა, ასევე, პერსპექტივაში, მათი ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ჯერ ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და სამომავლოდ მათი ეკონომიკური ინტეგრაციის ფაქტორი. ეს კონცეფცია ეფუძნება იმას, რომ ევრაზიის დერეფანი წარმოადგენს ერთიან გეოპოლიტიკურ სივრ-

ცეს, რომელსაც, სამომავლოდ, ერთიან გეოეკონომიკურ სივრცედ გადაქცევის დიდი პერსპექტივა აქვს.

აღნიშნული იდეის პერსპექტივაში პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას განსაზღვრავს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების დიდი დაინტერესება ახალ ვითარებაში „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინების შესახებ. ეს ინტერესი განპირობებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებით, რაშიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს ევრაზიის დერეფანი.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულად იზრდება საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, როლი და მნიშვნელობა. სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელებით საქართველომ, შეიძლება, სერიოზულ წარმატებებს მიადწიოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების გზაზე. თუმცა, ამ შეხედულებას ყველა არ იზიარებს და ზოგიერთი მკვლევარი (ი. მურადიანი) მიიჩნევს, რომ ასეთი ფუნქციის შესრულების შეფასებისას გარკვეულ გაზვიადებას აქვს ადგილი. უფრო მეტიც, კავკასიური ქვეყნებისათვის მან შეიძლება თვითმყოფადი ეროვნული ეკონომიკის, კულტურისა და ტრადიციების მსხვერვალი გამოიწვიოს. იგი წერს:

„საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ელიტა დიდ იმედებს ამყარებენ ქვეყნის სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის გაძლიერებაზე. პრეზიდენტი ე.შევარდნაძე არაერთხელ უწოდებდა სატრანზიტო-სერვისულ ფუნქციას ნებისმიერი ქვეყნისათვის სიმდიდრეს. უნდა ითქვას, რომ ანალოგიური შეხედულებები გააჩნიათ ბალკანეთის ქვეყნების პოლიტიკოსებსა და, აგრეთვე, სომხეთის ზოგიერთ წრეებშიც. უფრო მეტიც, სატრანზიტო-სერვისული ფუნქცია ისეთი არაორდინალური ერებისათვის, როგორც კავკასიური ერებია, განწირულია არა მხოლოდ თვითკმარი ეროვნული ეკონომიკის (თუნდაც აგრარულ-ინდუსტრიული ტიპის) ნგრევისათვის, არამედ კულტურისა და ქცევის ტრადიციული სტერეოტიპების განადგურებისათვის“.

ცხადია, ასეთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მსოფლიოს არაერთი ქვეყანა (ხმელთაშუა ზღვის, არაბეთის ზღვის, აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები) სატრანზიტო-სერვისულ ფუნქციებს წარმატებით იყენებს თავისი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის. რატომღაც მიუღებელი ვითომდა „არაორდინალური“ კავკასიური ერებისათვის თავიანთი გეოსტრატეგიული რესურსის გამოყენება. ასეთი მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველომ უარი უნდა თქვას არა მხოლოდ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის შესრულებაზე, არამედ უნიკალური საკურორტო-ტურისტული და რეკრეაციული რესურსების გამოყენებაზე, რადგანაც ისინიც სერვისული ფუნქციის განხორციელებასთანაა დაკავშირებული. აქ მთავარი ისაა, რომ საქართველომ თავისი ეკონომიკური განვითარება უნდა ააგოს არა მხოლოდ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელებაზე, არამედ, მასთან ერთად, თავისი უნიკალური ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების მაქსიმალურ გამოყენებაზე.

საქართველოს მიერ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელებისას, შიდა რეგიონული სიძნელეებისა და წინააღმდეგობების დაძლევისათვის ერთად, საჭიროა **გარე ფაქტორების** გათვალისწინება. მხედველობაში გვაქვს მსოფლიოს უმსხვილესი სახელმწიფოების ინტერესები, რომლებიც კავკასიის, როგორც უმნიშვნელოვანეს გეოეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ, რეგიონში იკვებება.

ამჟამად აშკარად გამოიკვეთა აშშ-სა და დასავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ცენტრალურ კავკასიაში, რომელიც დაფუძნებულია კასპიის მდიდარი ენერგორესურსების (რუსეთის გვერდის ავლით) დასავლეთის ქვეყნებში ტრანსპორტირებაზე კავკასიური დერეფნის გავლით. ასეთი პოლიტიკა მიზნად ისახავს ცენტრალური კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნ-

ბზე რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის შესუსტებას და, შესაბამისად, დასავლეთის პოზიციების გაძლიერებას. სადღეისოდ, ევროპის ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრობლემა უშუალოდ მისი ენერგორესურსებით უზრუნველყოფის უსაფრთხოებას უკავშირდება. ევროკავშირის გაზის მოხმარების დაახლოებით 40%-ს რუსეთი აკმაყოფილებს [4]. სავარაუდოა, ასეთი დამოკიდებულება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

ეს განაპირობებს იმას, რომ რუსეთი თავის პოლიტიკურ ინტერესებს თავზე ახვევს დასავლეთს, რომელიც იძულებულია, ზოგჯერ გარკვეულ დამოკიდებულებზე წავიდეს. ასე მოხდა გასულ წელს ბუქარესტის სამიტზე და ბრიუსელში გამართულ ნატოს მინისტრიალზე საქართველოსთვის მაპის მინიჭებასთან დაკავშირებით.

როგორც ჩანს, აშშ-ს ახალი ადმინისტრაციული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი რუსეთზე ევროპის ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირება გახდება. ასეთი პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციისათვის კი საჭირო იქნება რუსული გაზის მაგივრად სათანადო ალტერნატივის მონახვა. ამისათვის კი ყველაზე რეალურია ზემოთ ნახსენები “ნაბუკოს” პროექტის განხორციელება. მისი მთავარი მიზანია კასპიის ზღვის ქვეყნების ბუნებრივი აირის კავკასიაზე გავლით დასავლეთის ბაზრებზე ტრანსპორტირება, რომელიც გახდება ევროპის გაზმომარაგების ყველაზე მთავარი წყარო.

საქართველოს მიერ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **რუსეთის ფაქტორს**. ახლა, როცა დღის წესრიგში დადგა უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღების საკითხი, რუსეთმა სრულად გააცნობიერა მოსალოდნელი შედეგები და მიმართა ყველაზე უკიდურესი ღონისძიებებით – სამხედრო ძალის გამოყენებით მოეხდინა არა მხოლოდ ცხინვალის რეგიონის, არამედ საქართველოს მთელი სტრატეგიული ობიექტების ოკუპაცია, რასაც შედეგად მოჰყვა ნგრევა, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა და ეთნიკური წმენდა. ამასთან, ნავთობსადენების დაბომბვით აშკარად დაემუქრა პროექტის პრაქტიკულ რეალიზაციას, რომელშიც უზარმაზარი დასავლური კაპიტალია დაბანდებული.

დღეს რუსეთი მიზნად ისახავს, აიძულოს ევროპა, იფიქროს ენერგორესურსებით მომარაგების მხოლოდ ჩრდილოეთის ვარიანტზე და შეასუსტოს აშშ-ს გავლენა ევროპაზე. რუსეთი დარწმუნებულია, რომ ასეთი პოლიტიკით ისეთი პარტნიორობის ფორმირებას მიაღწევს, რომელიც უზრუნველყოფს ევროპაში რუსეთის ჰეგემონიას. გარდა ამისა, რუსეთი ცდილობს, ახლო ურთიერთობა დაამყაროს გერმანიასთან – აშშ-ს ყველაზე ახლო მეოფ პარტნიორთან და ამით უფრო შეამციროს აშშ-ს გავლენა ევროპაზე, შეასუსტოს საფრანგეთის ავტორიტეტის ზრდა, დააპირისპიროს ისინი ერთმანეთთან და დაიბრუნოს თავისი გავლენა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპაზე.

რუსეთი ყველაფერს აკეთებს ევროკავშირისა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შესაჩერებლად. ამისათვის იგი ღიად იყენებს როგორც პოლიტიკურ, ისე ძალისმიერ მეთოდებს. ჯერ იყო მან პირველმა აღიარა (ვენესუელასა და ნიკარაგუასთან) ერთად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა საფრანგეთის პრეზიდენტ ნ. სარკოზისთან შეხვედრისას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე საკმაოდ ცინიკური განცხადება გააკეთა: “რუსეთი საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას სრულად აღიარებს, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით”. მან აღნიშნა, რომ “რუსეთი იძულებილი გახდა, ეღიარებინა საერთაშორისო სამართლის ეს ორი სუბიექტი და ჩვენი აღიარება საბოლოო და შეუქცევადია” [3].

რუსეთი ყოველნაირად იბრძვის ცენტრალურ კავკასიაში თავისი სამხედრო ძალების განსამტკიცებლად. ამ პოლიტიკის განხორციელებაში მის დასაყრდენს წარმოადგენს სომხეთი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ორმხრივი სა-

მხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში სომხეთის სამხედრო ბაზებზე დისლოცირებული იყო 20 ათასზე მეტი რუსი სამხედრო მოსამსახურე. მას დაემატა ბოლო წლებში საქართველოდან გაყვანილი რუსული ბაზები, რომელთა დიდი ნაწილი სომხეთის ტერიტორიაზე განთავსდა. გარდა ამისა, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებით გადაწვდა სომხეთში (იჯვეანში) კავკასიაში უმსხვილესი სამხედრო ბაზის მშენებლობა, რაც მიმართული იქნება ნატოს სამხედრო ბაზების აღმოსავლეთით გაფართოების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, რუსეთი სახსრებს არ იშურებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სამხედრო ბაზების მშენებლობისათვის. მას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე 10-12 მლრდ რუსული რუბლი დაუჯდა. გარდა ამისა, ნავარაუდევია გაღწევაში უდიდესი სამხედრო ბაზის მშენებლობა და გაღწევის სამხედრო ქალაქად გადაქცევა. ყოველივე ამით რუსეთი ცდილობს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში თავისი სამხედრო გავლენის გაძლიერებას.

კავკასიაში რუსეთის პოზიციების ძალისმისერი გზით განმტკიცებისა და რეგიონში დასავლეთის გავლენის შემცირების გამო, საქართველოს ალბათ მოუწევს გარკვეულად გადახედოს თავის საგარეო პოლიტიკურ კურსს. გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს პროდასავლური კურსი უდავოდ სწორი და უაღტერნატივოა. საქმე შეეხება აღებული კურსის ამ ეტაპზე განხორციელების შესაძლებლობებსა და, საერთოდ, დასახული მიზნების დროში მიღწევის გზებსა და საშუალებებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ტოტალიტარული იმპერიული ამბიციების ქვეყანაა, რომლის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ XXI საუკუნის ყველაზე დიდი უბედურება საბჭოთა კავშირის დაშლა იყო. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ თანამედროვე ცივილიზებულ და დემოკრატიულ სამყაროს, კერძოდ მის უშუალო მეზობელ პატარა ქვეყანას – საქართველოს, რა ტიპის სახელმწიფოსთან აქვს საქმე. ჩვენ სრულად უნდა გავაცნობიეროთ, რომ რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც ფლობს და აკონტროლებს მსოფლიო ბუნებრივი რესურსების დიდ ნაწილს, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული ევროპული სახელმწიფოების ენერგომატარებლებით უზრუნველყოფა. ეს ის ქვეყანაა, რომელსაც აქვს უდიდესი სამხედრო პოტენციალი და ახალი მძლავრი იმპერიის შექმნის უსაზღვრო ამბიციები გააჩნია, რომელიც თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს თავს მოახვევს არა მხოლოდ პოსტსაბჭოური სივრცის, არამედ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ეს ის ქვეყანაა, რომელიც თავისი იმპერიული მიზნების პრაქტიკული განხორციელებისათვის უკან არაფერზე დაიხევს, რასაც მსოფლიოსათვის შეიძლება დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს.

ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, ქვეყანამ სერიოზულად უნდა იფიქროს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციაზე. მიუხედავად მომხდარი არასასურველი და რუსეთის მხრიდან ჩატარებული მზაკვრული უკანონო ქმედებებისა, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწვევბა, პირველ რიგში, საქართველოსათვისაა ზიანის მომტანი. იგი დიდ დაბრკოლებას შეუქმნის საქართველო-რუსეთს შორის არსებული მწვავე პრობლემების გადაჭრას მოლაპარაკების, დიპლომატიური მეთოდებისა და ხერხების გამოყენების გზით, მომავალში ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური, ნორმალური ურთიერთობის აღდგენას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭ. ამირეჯიბი, ფიქრები 2008 წლის აგვისტოს გამო, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 28 ოქტომბერი, 2008.

2. ა. ბარნოვი, რუსეთი და კავკასია აგვისტოს შემდეგ, გაზ. "24 საათი", 21 ნოემბერი, 2008.
3. ნ. დალაქიშვილი, პრობლემების დაძლევა ევროპულად, გაზ. "24 საათი", 16 ნოემბერი, 2008.
4. ლ. ნატროშვილი, აშშ-ს სტრატეგია და საქართველო, გაზ. "24 საათი", 12 დეკემბერი, 2008.
5. Исмаилов Р., Папава В. Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике, Швеция, 2006.
6. Маисая В., Гогелиани Т. Фактор энергетических ресурсов Кавказа в преддверии XXI века, журн. "Центральная Азия и Кавказ", 6 /54/, 2007.
7. Мурадян И. Геоцивилизационный выбор Грузии, журн. "Центральная Азия и Кавказ", 2 /8/, 2000.
8. Сотрудничество независимых государств в 2007 г., М., 2008.
9. Томберг И. Энергетическая политика и энергетические проекты в центральной Эвразии, журн. "Центральная Азия и Кавказ", 6 /54/, 2007.
10. www.statistics.ge
11. www.government.ge

Revaz Javakhishvili

Candidate of Economic Sciences

TRANSIT-SERVICE FUNCTION OF GEORGIA

Summary

Transit-Service function of Georgia is caused by its geopolitical and strategic location. It represents the crossroad and has connecting role for East and West, South and North. There are crossed the world's biggest countries political and economic interests as well.

In the article, there are analyzed theoretical aspects of transit-service function and researchers' different views over these issues in the globalization conditions. Executing this function by Georgia is considered as a vital factor of country's social-economic development.

During the executing of transit-service function big importance is given to Russia's factor. By using political, economic and force methods, it blocks transportation of Caspian energy resources to European markets through Georgia and its membership in the European Union, NATO's widening to the East as well. Despite Russia's aggressive actions, Georgia should seriously think to normalize relationship with Russia that is necessary for the peaceful life of the country, its transit-service function executing and social-economic development.

ნოდარ ხადური
ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

საქართველოს ეკონომიკის ღერებულირების მაკროეკონომიკური ასპექტები

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ბოლო 20 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს, საქართველოსთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. აღნიშნულ სირთულეებს ჰქონდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები, კერძოდ კი, საქართველოს რამდენიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის ერთდროულად გადაწყვეტა უწევდა. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის რეფორმირების პარალელურად, იქმნებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო. ამასთან, დასაწყისში აღნიშნული პროცესები სამოქალაქო და სამამულო ომების და საბრძოლო შეტაკებების ფონზე, მძიმე კრიმინოგენულ ვითარებაში მიმდინარეობდა. რასაკვირველია, აღნიშნულმა ფაქტორებმა ეკონომიკის რეფორმირების პროცესი უკანა პლანზე გადაწია და წინა პლანზე სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საკითხი დადგა.

ამდენად, ეკონომიკის რეფორმირების სათანადო დონეზე დაწყება მხოლოდ კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესებისა და აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

სამწუხაროდ, რეფორმის პირველ წლებში, საქართველოს ბაზრის რეგულირების გამოცდილება პრაქტიკულად არ ჰქონდა, რაც ისტორიული ფაქტორით იყო გამოწვეული. ბოლო 200 წლის განმავლობაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1918-1920 წლებს) არც ეკონომიკური, მით უფრო არც სტრუქტურული და სისტემური გადაწყვეტილებების მიღება საქართველოში არ ხდებოდა. ამდენად, რეფორმირების პირველ წლებში შეცდომები არ იყო გამორიცხული, თუმცა ქვეყანა ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად აყალიბებდა საბაზრო ინსტიტუტებს და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პროცესების მართვის პროცესის თანდათან იცვლებოდა რეგულირების სისტემებით.

ქვეყანას, რეალურად პირველად მის ისტორიაში, გაუჩნდა ეკონომიკის რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები [1], როგორცაა ეროვნული ვალუტა, საგადასახადო სისტემა, გაჩნდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, პარალელურად შეიქმნა მარეგულირებელი კომისიები. ეკონომიკური პროცესების მართვის ქაოსური სისტემიდან, რომელიც ძირითადად არაფორმალურ ინსტიტუტებს [4] ეყრდნობოდა და, საბოლოო ჯამში, კორუფციულ გარიგებებში აისახებოდა, ქვეყანაში ფორმალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო [5]. შეიქმნა ნებართვების სისტემა, ლიბერალური გახდა საგარეო ვაჭრობა, მინიმალურად შემცირდა რეგულირებადი ფასების რაოდენობა. რეალურად, სახელმწიფო სხვადასხვა ფორმით არეგულირებდა მხოლოდ ე.წ. "ბუნებრივი მონოპოლიების" ფასებს.

2004 წლის დასაწყისამდე საქართველო საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ისეთ ინსტიტუციურ ბაზას აყალიბებდა, რომლის მაგვარიც იყო ევროპის ან ამერიკის სახელმწიფოებში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულებები საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. ამდენად, ევროპული მოდელებიდან გადახვევა ქვეყნის მისწრაფებას, საკუთარი ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპულ ოჯახში, სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს.

საქართველოში რადიკალური ეკონომიკური (თუმცა ძნელია ამ პროცესს ყოველთვის "ეკონომიკური" ეწოდოს) რეფორმები 2003 წლის ბოლოდან დაიწ-

ყო, რაც, ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების მექანიზმების გაუქმებაში გამოიხატებოდა. ამ პროცესში ხშირი იყო შეცდომებიც [6].

საქართველოს სახელმწიფომ, სხვა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, რეგულაციების გაუქმების პარალელურად, უარი თქვა, განხორციელებინა შრომის ბაზრის, კონკურენციის შეზღუდვის, სურსათის უვნებლობის და სხვა რეგულაციები, რომელთა გაუქმებამ ან შეზღუდვამ მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური გარემო. მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ ეს ყველაფერი ინვესტიციების მოზიდვას ემსახურებოდა და აისახა საქართველოს სხვადასხვა რეიტინგების მანკვენებელზე, რეალურად ეკონომიკის განვითარებას უამრავი პრობლემა შეუქმნა, რომელთა გამოსწორება ან განეიტრალება მაინც საკმაოდ რთული იქნება და დროშიც სერიოზულად გაიწელება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფომ, გარდა რეგულირების პირდაპირი ფორმებისა, მკვეთრად შეზღუდა მაკროეკონომიკური რეგულატორების ფუნქციონირებაც, სურათი კიდევ უფრო მძიმდება.

2004 წლიდან გაუქმდა საგზაო ფონდი, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ფოსტის სამინისტრო, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, მეცხოველეობისა და სანაშენე საქმის დეპარტამენტი, ძვირფასი ქვებისა და ლითონების დეპარტამენტი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური, “საქსტანდარტი”, კვების პროდუქტების ხარისხის ინსპექცია, ფიტოსანიტარული კონტროლი, ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია. გამარტივდა მშენებლობის პროცედურები. მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ლიცენზირებას მოითხოვდა. კერძოდ, საქმიანობათა ასეთი 900 დასახელებიდან დარჩა მხოლოდ 114.

გაუქმდა ზომისა და წონის კონტროლი, ვეტერინარული საქმიანობის ლიცენზია და ნებართვა, პესტიციდების წარმოების და ვაჭრობის ლიცენზია, წინასარეისო სამედიცინო შემოწმება და ა.შ.

პრაქტიკულად დერეგულირებულია ფარმაცევტული პროდუქციით საბითუმო ვაჭრობა. გაუქმდა საავიაციო გადაზიდვებში პროტექციონისტული ნორმა, რომელიც ქართული და უცხოური კომპანიების პარიტეტს ითვალისწინებდა.

თუ საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების ანალიზს ჩავატარებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ აღნიშნული ცვლილებების მიზანი ეკონომიკის სრული დერეგულირებაა. საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ევროპულ ორიენტაციას აღიარებს, აბსოლუტურად საპირისპიროდ ვითარდება. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რომელიც ავებულა დამქირავებელთა უფლებების პრიმატის აღიარებით და პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი დასაქმებულთა ინტერესები.

საქართველოს ხელისუფლებამ რეალურად უარი თქვა არა მარტო თავად დაეცვა დასაქმებულთა ინტერესები, არამედ დასაქმებულებს საკუთარი უფლებების დაცვის ელემენტარული შესაძლებლობაც წაართვა, რადგან კანონმდებლობით, დამსაქმებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული. რასაკვირველია, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას, სამუშაო ადგილების შემცირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, გარდა ამისა, მიმდინარეობს შრომის ანაზღაურების შემცირებაც, რაც, საბოლოო ჯამში, მკვეთრად აუარესებს ერთობლივ მოთხოვნას და, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ ეკონომიკას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკურ და საქმიან წრეებში

საკმაოდ სერიოზულად მსჯელობენ შრომის არსებული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაზე, რეალურად, ლობი, რომელიც აღნიშნული კანონმდებლობის “ლიბერალიზაციას” უჭერს მხარს, იმდენად ძლიერია, რომ ჯერჯერობით საუბრის დონეს არ გასცდა. აღნიშნული, ერთი მხრივ, საქართველოს აშორებს ევროპულ სივრცეს, ხოლო, მეორე მხრივ კი იწვევს ისედაც მონოპოლიზებული შრომის ბაზრის კიდევ უფრო მონოპოლიზებას, რომელზეც დამქირავებლების საბაზრო ძალაუფლება განუსაზღვრელია.

ცხადია, შრომის ბაზარი სულაც არ არის გამონაკლისი და სხვა ბაზრებზეც ანალოგიური ვითარებაა. ზოგადად, ის, რომ ბაზარზე საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტების არსებობა ეკონომიკაში საზოგადოების კეთილდღეობას ამცირებს, ყველა ქვეყანაში კარგად იციან, გარდა საქართველოსი.

ზემოთ უკვე გეგონდა საუბარი იმაზე, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო [2]. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მის ბაზაზე შექმნილი ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც, საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტის გამოჩენის შემთხვევაში, მისი ძალაუფლების ან განეიტრალება, ან იმგვარ ჩარჩოებში მოქცევა უნდა მოეხდინა, რომ მომხმარებელთა და ბაზრის სხვა მონაწილეთა უფლებები არ დარღვეულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური მსოფლიო ბანკის, აშშ მთავრობის, ევროპული სახელმწიფოების მატერიალური, მეთოდური, ფინანსური დახმარებით იქმნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში საქართველოს მიღწევებით საკმაოდ ხშირად გვიამაყია სხვადასხვა დონეზე, ეს სულაც არ ყოფილა მისი გაუქმების და ერთი ხელის მოსმით დანგრევის ხელის შემშლელი ფაქტორი.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში სწორედ ანტიმონოპოლიური სამსახური აღმოჩნდა ის პირველი სერიოზული სტრუქტურა, რომელიც გაუქმდა. გაუქმდა არა მხოლოდ სამსახური, არამედ მთელი კანონმდებლობა და მის ნაცვლად შეიქმნა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონი” და შესაბამისი სამსახური. საინტერესო ისაა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების მიზნად ბაზარზე კონკურენციისათვის ხელშეწყობა დასახელდა. არგუმენტი კი ის იყო, რომ მონოპოლია ინვესტორისათვის სიგნალია, რომ დარგი მომგებიანია და ისინი (ინვესტორები) სწორედ ამგვარ დარგებში განათავსებენ ინვესტიციებს.

დღეს არავინ კამათობს იმაზე, რომ ბაზარი რესურსების განაწილების საუკეთესო საშუალებაა და რაც მეტად ერევა სახელმწიფო ბაზრის ფუნქციონირებაში, მით უფრო ცუდად ანაწილებს ბაზარი რესურსებს და, ამავე დროს, რესურსების ნაწილი კორუფციულ გარიგებებს ხმარდება. ამავე დროს, არც ისაა დაფარული, რომ ბაზრის ფუნქციონირებას ახასიათებს ე.წ. “ჩავარდნები” და ბაზარი რესურსებს ხშირ შემთხვევაში ეფექტიანად და, უფრო ხშირად კი, სამართლიანად ვერ ანაწილებს, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ხშირად გარდაუვალია.

კამათი იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული ორი ჭეშმარიტებიდან რომელი “ჭეშმარიტებაა” უფრო ჭეშმარიტი, კარგა ხანია გასცდა როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკური კამათის სფეროს და, ხშირ შემთხვევაში, იდეოლოგიური საფუძვლის გარეშე არც კი განიხილება. მიუხედავად ამისა, რეალურად არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფო, მიუხედავად დეკლარირებული პრინციპებისა, არსად არ ამბობს უარს ბაზარზე ძალაუფლების მქონე სუბიექტების მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარებაზე. ამის მაგალითად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კორპორაციის – “Microsoft”-ის ამერიკული და ევროპული სასამართლო პროცესებიც კმარა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა გააუქმა საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და მის ნაცვლად, როგორც ზემოთ

უკვე აღვნიშნეთ, მიიღო კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც სულ 16 მუხლისგან შედგება. აღნიშნული კანონის “შემქმნელების” “სასახელოდ” უნდა ითქვას, რომ იგი ძალიან ბევრ ორიგინალურ დებულებას შეიცავს [3].

“თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის მიზნად გამოცხადებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ბარიერების მოხსნა, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული წინააღმდეგობების, ასევე სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა. ამ მიზნიდან გამომდინარეობს, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბაზარზე შესვლას სახელმწიფო უშლის, ხოლო ბაზარზე შესვლის სხვა, თუნდაც ხელოვნური ბერკეტები არ არსებობს. სამწუხაროდ, ბიზნესში კონკურენცია ხშირად სცილდება ჰარმონიის ჩარჩოებს, მაგრამ ეს პროცესები სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და რეგულირების გარეშე რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აღიარებს საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტების სახელმწიფოს დახმარების გარეშე წარმოქმნის შესაძლებლობას, კანონში მაინც “გაიპარა” ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია იღებს, დაიცვას “რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესები”. შესანიშნავია, მაგრამ, გარდა რეგულირებადი სფეროებისა, ეკონომიკის აბსოლუტურად დიდი ნაწილი დერეგულირებულია, შესაბამისად, სახელმწიფო უარს ამბობს ამ სფეროებში სახელმწიფოს ან საზოგადოების ეკონომიკური ან სასიცოცხლო ინტერესები დაიცვას, იმ ფონზეც კი, როდესაც ასეთ სფეროებში კონკურენცია შეზღუდულია.

თუმცა, კანონის მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ რეგულირებად სფეროებს უწევს მონიტორინგს და, რაც მთავარია, რეგულირების მხოლოდ ერთ, სატარიფო ფორმას ხელავს.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ, ზოგადად, კანონი მონოპოლიურ საქმიანობად სახელმწიფოს ქმედებებს აღიქვამს. ამდენად, ცხადია, სახელმწიფო საკუთარ თავს ვერ გაუწევს კონტროლს.

სამწუხაროდ, მიუხედავად შეზღუდული სფეროსი, ამ კანონის ცხოვრებაში გატარება და აღსრულება საკმაოდ რთულია, ეს ემყარება ერთ მარტივ ფაქტს, ამ კანონის საფუძველზე შექმნილი სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა მკვეთრად შეზღუდულია (20-მდე თანამშრომელი), ასეთი რაოდენობის ადამიანური რესურსით კი ნებისმიერი ქმედების განხორციელება წარმოუდგენელია. შესაბამისად, ეს სამსახური არ ფუნქციონირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფო თავისი ქმედებებით ხელს უწყობდეს ცალკეულ ბიზნესსტრუქტურებს ან “ძირავდეს” მისთვის არასასურველ სტრუქტურებს და ამაზე ამ სამსახურს არანაირი რეაგირება არ ჰქონდეს.

ერთი რამ ცხადია, იმის გამო, რომ სახელმწიფო ბაზარზე არარეგულირებად სფეროებში არანაირად არ რეაგირებს, ირღვევა მომხმარებლის უფლებები. საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტები ეკონომიკური საქმიანობის ბევრ სფეროში არიან, მაგრამ მათი საქმიანობა არანაირ რეგლამენტირებას არ ექვემდებარება. სამწუხაროდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ასეთ დარგებში არავინაა პასუხისმგებელი.

ის, რომ ასეთი სფეროების რეგულირების არარსებობა საზოგადოებრივ დანახარჯს ზრდის და მოსახლეობის ცხოვრების დონეს აუარესებს, რამდენიმე საინტერესო მაგალითამაც დაადასტურა. კერძოდ, საქართველოში ინვესტირებას აპირებდა ერთ-ერთი ავსტრიული კომპანია, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ფაქტმა დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია. როდესაც იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ავსტრიაში იმყოფებოდა, ეს საკითხი მისი ავსტრიის კანცლერთან შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი თემა იყო, თუმცა ვერც პრემიერ-მინისტ-

ტრმა შეძლო საკითხის გადაჭრა. შესაბამისად, ერთი მხრივ შეფერხდა ავსტრიული ინვესტიცია, ადგილობრივ კომპანიას კონკურენტის გარეშე ფუნქციონირების საშუალება მიეცა და საქონელი უფრო მაღალ ფასად გაყიდა. მომხმარებელი კი წავებული დარჩა.

მეორე მაგალითი კი საქართველოში ჰიგიენური მოხმარების საგნების იმპორტიორი ერთ-ერთი კომპანიის საქმიანობით სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანიზაციების დაინტერესების შემდეგ პროდუქციის მკვეთრ გაძვირებას შეეხება. იმის გამო, რომ ფინანსურმა პოლიციამ ერთ-ერთი კომპანიის საწყობები დაღუპა, ბაზარზე ჰიგიენური პროდუქციის მყისიერი დეფიციტი გაჩნდა და ფასები გაორმაგდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი შემთხვევაც კარგად ასახავს სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტთა საქმიანობის მონიტორინგის აუცილებლობას, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტთა არსებობა გამონაკლისი სულაც არ არის და ასეთ საწარმოებს ეკონომიკის ბევრ სფეროში შეხვდებით. საქართველოს ბაზარი კი იმდენად პატარაა, რომ რომელიმე უცხოური გიგანტის დაინტერესების შანსი საკმაოდ მცირეა, პატარა საწარმო კი რეალურად ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს უკვე ჩამოყალიბებულ ძლიერ კომპანიებს. შედეგი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და მომხმარებელთა უფლებების დარღვევაა.

ამდენად, მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული (იხილეთ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტი) ვალდებულებისა, რომლის თანახმადაც “სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებას”, “აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა” და, ამავე დროს, “მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით”, საქართველოში ეს სფერო აბსოლუტურად “ლიბერალიზებულია” და, შესაბამისად, კონსტიტუციის ეს მოთხოვნა არ სრულდება.

თუ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარების ისტორიას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მარეგულირებელი ინსტიტუტი იყო. მისი წარმატებების ჩამოთვლა საჭირო არც არის, რადგან ის, რომ საქართველოს აქვს ეროვნული ვალუტა, რომელიც ინარჩუნებს პოზიციებს და საქართველოს საბანკო სისტემამ რომ მრავალ ქარტეხილს გაუძლო, სწორედ ეროვნული ბანკის ერთ-ერთი დამსახურებაა.

სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა ამ სფეროს აბსოლუტური დერეგულირების შესაძლებლობა, იმ დონემდეც კი, რომ საუბარი ე.წ. “სავალუტო ფარის” ან “სავალუტო საბჭოს” შექმნას შეეხებოდა, რაც ეროვნული ბანკის ფუნქციების მინიმიზებას და რეალურად მხოლოდ ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნებას გულისხმობდა. არ გამოვიდა ეს თემა, შეიცვალა ბრძოლის ფორმა, მაგრამ მიზანი იგივე იყო, ეროვნული ბანკის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სტრუქტურის უფლებების შეკვეცა და საზედამხედველო ფუნქციის ბანკიდან გამოტანა. ეს მიზანი სერიოზული გართულებების გარეშე იქნა მიღწეული და ეროვნული ბანკი დაიშალა. იდვის ავტორები უფრო შორს წავიდნენ და ნაცვლად საბანკო სისტემის მონიტორინგისა და ანალიზისა, ეროვნული ბანკის ერთადერთ ფუნქციად ინფლაციასთან ბრძოლა გამოაცხადეს, თანაც ისე, რომ, ინფლაციის მჩვენებლის გადაჭარბების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

უნდა შეგახსენოთ, რომ, ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომლის პრეზიდენტს ირჩევს ბანკის საბჭო და მას პოლიტიკური იმუნიტეტი იცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკის პრეზიდენტი ხელშეუხებელია და, პოლიტიკური ქარტეხილების მიუხედავად, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მხოლოდ გარკვეუ-

ლი პირობების მკაცრი დაცვითაა შესაძლებელი. ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად, ინსტიტუციურად და ადამიანური რესურსების მხრივ საკმაოდ დასუსტებულმა ეროვნულმა ბანკმა ვერ განახორციელა ის ფუნქციები, რომელიც ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას უზრუნველყოფდა და მივიღეთ რამდენიმე საკმაოდ სერიოზული უარყოფითი შედეგი. პირველი, საქართველო საბანკო კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რაც, შესაძლოა, როგორც იპოთეკური დაკრედიტების კრიზისის ფონზე განვიხილოთ. ბანკები, ყოველგვარი ნორმატივების მკაცრად დაცვის გარეშე, იძლეოდნენ იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებს, ხოლო იმის გამო, რომ სესხები არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი, უკვე გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო არგადახდების პრაქტიკა, რამაც ბანკების ლიკვიდურობაზე უარყოფითად იმოქმედა და, რაც მთავარია, მათი დაკრედიტებისუნარიანობა მკვეთრად შეამცირა. შესაბამისად, შემცირდა ბიზნესის დაკრედიტება, დაიწყო ბიზნესაქტივობების შესუსტება, სამუშაო ადგილების შემცირება და ბანკები “მოჯადოებულ წრეში” აღმოჩნდა. შესაბამისად, 2008 წელი საქართველოში მოქმედმა პრაქტიკულად ყველა საბანკო დაწესებულებამ სერიოზული ზარალით დაასრულა. გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი (მიუხედავად ინფლაციის შედარებით დაბალი ტემპებისა) და, შედეგად, ეკონომიკის დაკრედიტება კიდევ უფრო შემცირდა. ცხადია, ეს მხოლოდ იმის ბრალი არაა, რომ ეროვნული ბანკი ვერ აკონტროლებდა ბანკების საქმიანობას, მაგრამ შედეგები შესაძლოა ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო ბანკი რომ თავის სიმაღლეზე დარჩენილიყო და მთავრობისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა.

2009 წლის მარტში ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის მხრიდან გაუღერდა მულტისავალუტო რეჟიმის შემოღების იდეა, რასაც ინვესტირების მოზიდვის ერთ-ერთ გზად მიიჩნევდნენ. არადა, ამ ნაბიჯის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო კარგავს ეკონომიკის რეგულირების ისეთ მექანიზმს, როგორცაა ვალუტა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ცხადია, არსებობს სახელმწიფოები, სადაც მულტისავალუტო (აღბათ უფრო სწორედ ბისავალუტო) რეჟიმებია, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს ხდება დროებით, როდესაც ერთი ვალუტა მეორე ვალუტით უნდა ჩანაცვლდეს. ფული ხომ სხვა არაფერია, თუ არა ნღობა. სამწუხაროდ, არც ისაა საიდუმლო, რომ საქართველოს მოსახლეობისა და განსაკუთრებით უცხოელი ინვესტორების ნღობა ქართული სახელმწიფოს მიმართ არცთუ ისე მაღალია, ამდენად, თუ ადამიანები დადგებიან არჩევანის წინაშე, ენდონ ლარს (ანუ საქართველოს სახელმწიფოს), დოლარს (აშშ ფედერალურ სარეზერვო სისტემას) თუ ევროს (ევროპის ცენტრალურ ბანკს), დიდი ეკონომიკური გათვლები არ იქნება საჭირო იმის დასადგენად, რომ ლარი მისი წინამორბედის, კუპონის ბედს გაიზიარებს, ხოლო ეროვნული ბანკის ფუნქციები ნულამდე დავა და მისი არსებობა საჭირო აღარ იქნება, შესაბამისად სახელმწიფო დაკარგავს მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტს.

შემდგომ კი ბაზრის დერეგულირების შედეგების კვლევის საჭიროებაც აღარ იქნება საჭირო. ასეთი მნიშვნელოვანი სამი სფეროს აბსოლუტური დერეგულირების შემდეგ, სხვა სფეროების დერეგულირებაზე საუბარი, შესაძლოა, არც იყოს იმდენად აქტუალური, მაგრამ, როდესაც საუბარი შეეხება ადამიანთა ჯანმრთელობას და კონსტრუქციით გარანტირებული სიცოცხლის უფლებას, არ შეიძლება დერეგულირების შედეგებზე ამ სფეროებშიც არ გავამახვილოთ ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, საუბარი შეეხება სურსათის უვნებლობას. იმ მოტივით, რომ ეს სფერო კორუფციული გარიგებების სფერო იყო, ნაცვლად კორუფციასთან ბრძოლისა, გაუქმდა სახელმწიფოს ფუნქცია, ებრძოლოს ფალსიფიკაციას და უხარისხო სურსათს.

თეორიულად ეს ყველაფერი გასაგებია. ბაზარი, იმ საწარმოებს, რომლებიც ვერ აწარმოებენ უხარისხო, საზოგადოებისათვის მავნე პროდუქტებს, “ჩა-

ძირავს" და გაიმარჯვებს ის საწარმოები, რომელთა პროდუქტი არ იქნება საშიში ჯანმრთელობისათვის. მაგრამ არავინ სვამს კითხვას, რის ფასად. ადამიანი გაიგებს მავნებელია თუ არა მხოლოდ მას შემდეგ რაც მოიხმარს მას და საკუთარი ჯანმრთელობის გაუარესების, ან უარესი, ნაცნობების გარდაცვალების ხარჯზე უნდა დარწმუნდეს პროდუქციის ხარისხში.

სამწუხაროდ, ყველა გაუქმებული რეგულაციის ეკონომიკური შედეგის გათვლა საკმაოდ რთულია, ხშირად შეუძლებელიც კი, ერთი კი ცხადია, რომ ხელისუფლებას არ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული პოზიცია ამ და სხვა საკითხების მიმართ, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ერთი და იმავე ხელისუფლებაში, მეტიც, მინისტრთა ერთ კაბინეტში, ერთი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ერთი მინისტრის მეორე მინისტრით შეცვლის პარალელურად, ხშირად იცვლება მთელი პოლიტიკა ამ დარგში. ასე მაგალითად, დღეს დღის წესრიგში დადგა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, 2005.
2. ს. ფეტელავა. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბილისი, ლოი, 2007.
3. ნ. ხადური. ეკონომიკის რეგულირების შექმნილი რეგულირების, "კაპიტალი", 2007, №4.
4. Papava V.,Khaduri N., On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation (An Institutional Analysis), Problems of Economic Transition, 1997, Vol. 40, №6, New-York
5. Papava V.,Khaduri N., Institutional Foundations of The "Shadow Political Economy" of Post-Communist Capitalism, wignSi Papava V., *Necroeconomics, The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia)* - iUniverse Inc. New York Lincoln Shanghai, 2005
6. Khaduri N., Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia. Problems of Economic Transition, 2005, Vol. 480, №4, New-York.

Nodar Khaduri

Doctor in Economics

Ivane Javakhishvili State University of Tbilisi.Full Professor

MACROECONOMIC ASPECTS OF ECONOMIC DEREGULATION IN GEORGIA

Summary

Process of Economic Reforms in Georgia started just after improvement of crime situation and finishing war activities in the country. Unfortunately, in the first years of economic reforms, Georgia practically had not experience of market regulation, but government tried to form market institutions and step by step state management of economic processes was changed to regulatory systems.

Until 2004, Georgia was forming institutional models of market economy regulation like models in European and US countries. After "Rose" Revolution, new stage of economic reforms has started and these reforms were much more radical. In most cases, economic reforms were oriented to abolish state regulatory mechanisms. Many mistakes were made during this process. Besides many less important regulations, Government of Georgia refused to regulate Labour Market, Competition Protection, Food Security and etc. Elimination or limitation of such regulations worsen economic environment seriously. At the same time, macroeconomic regulations were restricted importantly.

During last five years, economic relations in the country were harmed so much, that it will take many years to improve them and bring nearer to European standards. It will be possible if correct, future-oriented reforms are introduced in the country.

ეკონომიკური თეორია

გიორგი პაპავა

ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფ., საქ. ეკონ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი,
პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი

საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციის საფუძვლები და დემოკრატია

მსჯელობენ საბაზრო ეკონომიკაზე, თუმცა იგი წმინდა სახით არსად არსებობს. იგი სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების და საბაზრო მექანიზმების ნარევის სახითაა წარმოდგენილი. ამიტომ, მას უწოდებენ შერეულ საბაზრო ეკონომიკას.

ისმის კითხვა: ეს ნარევი თავისი არსით და ბუნებით სრულყოფილად პასუხობს დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს, თუ ფსევდოდემოკრატიული მინარევებითაა საკმაოდ „დახუნძლული“? დიახაც, იგი „დახუნძლულია“ ფსევდოდემოკრატიული მინარევებით.

ამ პირობებში ჩაყენებული საბაზრო ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს მის იმგვარ ფუნქციონირებას, რომელიც უხარვეზო საფუძველს შეუქმნის ქვეყნის დემოკრატიულ წყობას და არ დაუშვებს ფსევდოდემოკრატიულ მინარევებს, რომლებიც საგრძნობლად ამახინჯებს დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს.

საერთოდ, თანამედროვე დემოკრატია მოითხოვს თავისი არსით შერეული საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციას, ე.ი. ნორმალურ მანევრულ სისტემად ჩამოყალიბებას. საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ამ პრობლემის მოგვარების გარეშე ხალხის (დემოსის) ძალაუფლებაზე და ამდენად დემოკრატიულ სახელმწიფოზე მსჯელობაც კი წყლის ნაყვას ემსგავსება.

დემოკრატია საჭიროებს ამ პრობლემის უნარიან გადაჭრას, ვინაიდან დღესაც კი საკმაო ოდენობით წარმოიქმნება ნეგატიური ეკონომიკური ქცევები და ისიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ზომით. ისინი ხელს უშლიან ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ამიტომ ისმის კითხვა: რა გზას დავადგეთ, რომ ეს სენი ჯერ საგრძნობლად, შემდეგ კი მთლიანად მოვიშოროთ თავიდან?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თითქმის შეუძლებელი გახდება, თუ ვერ მივაგენით მიზეზებს, რომლებიც წარმოქმნიან ამ ვითარებას.

ამის ძირეულ მიზეზად მიგვაჩნია ეკონომიკური პარალოგიზმების უწყვეტი ნაკადი, რომელიც თითქმის მუდამ შეუმჩნეველიც კი რჩება მისთვის დამახასიათებელი “პოსტფაქტუმ” ფაქტორებით. ამის გამო თავს იჩენს შერეული საბაზრო ეკონომიკის “კოსმეტიკური” მოპირკეთება ეგრეთ წოდებული სოციალური შედავათებისა, მოწყალებისა და დახმარებების სახით.

ამ ვითარებას იწვევს დროის პერიოდების მიხედვით ეკონომიკურ რეალობათა თვისებების შეცნობის ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობა, არც მეცნიერების და არც პრაქტიკის დონეზე.

ეკონომიკის თეორია საერთოდ გვეხმარება, მაგრამ სრული მომცველობით ვერ შეენაცვლება ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი ცვლილებების დროის პერიოდების მიხედვით უწყვეტი შეცნობის მეთოდოლოგიას და ისიც თანამედროვეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების პირობებში

ჯერ უნდა გავვეცნოთ, თუ რას წარმოადგენს ეკონომიკური პარალოგიზმი და როგორ აცდის იგი საფუძველს ნორმალურად ფუნქციონირებისათვის მოწოდებულ საბაზრო რეალობათა საჭირო მიმართულებით სახელმწიფოებრივი წარმართვის საქმეს.

“პარალოგიზმი” ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს “უნებლიედ დაშვებული მცდარი ლიგიტიმით შემცდარ დასკვნებზე გასვლას”⁴ [8].

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ლოგიკური შეცდომები, შესაძლოა, უნებლიედ დაეუშვათ არა მარტო ლოგიკის კანონების დარღვევით, არამედ ეკონომიკურ რეალობათა წარმოქმნის ბუნებრივი ლოგიკური წყობის გააზრებაში რომელიმე ინგრედიენტის ან ინგრედიენტების გაუთვალისწინებლობით. ინგრედიენტი – ეს ხომ მთელის ის ნაწილია, რომელიც მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის როლით განსხვავდება ამ მთელის სხვა ინგრედიენტების როლისაგან. ამიტომ, თუ ეს გარემოება მხედველობის მიღმა დაგვრჩა ან მისი განხილვა თვისებრივი ნიშანდობლიობის მიხედვით არ განხორციელდა, მაშინ საანალიზო ეკონომიკური მოვლენის ფორმირება და ქცევები მოცემულ ან ახლად წარმოქმნილ გარემოში ასცდება ამ რეალობის (მოვლენის) წარმოქმნის ბუნებრივი ლოგიკური წყობის გზას, რასაც გაგვავართ უნებლიე მცდარ დასკვნებსა და დაუხვეწავი მცდარი ღონისძიებებით გზასაცდენილ განხორციელებაზე.

განსაკუთრებული არსებითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ ნეგატიური მოვლენის თავიდან აშორების მექანიზმის მიგნებას.

ამ სახით წარმოსდგება ჩვენს წინაშე პარალოგიზმების თავიდან აშორების პრობლემა. ამ პრობლემის გადაჭრა ძალუძს ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი ცვლილებების დროის პერიოდების მიხედვით უწყვეტი შეცნობის მეთოდოლოგიას, როგორც ეკონომიკის რაოდენობრივი ანალიზის დასაყრდენს. ამგვარი მეთოდოლოგია ამაჟამად არ არსებობს და ამიტომ არც მოქმედებს. მას ვერ შეენაცვლება ეკონომიკური თეორია, რომელიც მხოლოდ მეთოდოლოგიურ ნიშნებს ატარებს. მას ვერ ვუწოდებთ ერთიან მთელში შეკრულ, დროის პერიოდების მიხედვით მოქმედ, მეთოდოლოგიურ მთლიანობით სისტემას.

ეკონომიკური პარალოგიზმების თავიდან ასაშორებლად ჩვენს წინაშე დგება ეკონომიკურ რეალობათა წარმოქმნის და მოქმედების დროის პერიოდების მიხედვით უწყვეტი ანალიტიკური აღქმის აუცილებლობა. მით უმეტეს, რომ ადრინდელ ეკონომიკურ პარალოგიზმს თუ დაემატა დღევანდელი, მაშინ ეკონომიკის მომავალი განვითარება, შესაძლოა, უმისამართოც კი აღმოჩნდეს. ეს კი იმას იწვევს, რომ გვეგონება ერთი და აღმოჩნდება მეორე. აქ უკვე თავს იჩენს თავის გამართლებების მოტივირების მიგნების საჭიროება. ე.ი. წარმოიქმნება საკუთარი თავის მოტყუების სინდრომი, რომელსაც შემოაქვს ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობები და ამკვიდრებს მას მიმდინარე ცხოვრებისეულ ეკონომიკაში.

ამ გარემოებათა გამო ეკონომიკა განვითარდება მცდარი გზით.

ისმის კითხვა: როგორ მოვიშოროთ თავიდან ამგვარი “დაავადება” ეკონომიკის განვითარების წარმართვის (მართვის და მის მიერ წარმოქმნილ გარემოში ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის რეგულირება-თვითრეგულირების) საქმეში?

უადრესად სიღრმისეული პარალოგიზმების დაგროვების შედეგია ის, რომ ნაცვლად იმისა, ეკონომიკაში მოქმედ პოზიტიურ ძირეულ ფაქტორებს მივცეთ გასაქანი ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის, ე.ი. ნეგატიური ინგრედიენტების შეზღუდვისა და ლიკვიდაციისათვის, დღესდღეობით თავში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად მიმართავენ დაუხოვავ შეტევას (ზემოაღნიშნულის გამო) აღმოცენებული ნეგატიური ქცევების მიმართ პრინციპით: “ჯერ გშობ და შემდეგ კი გაგანადგურებ!” გონების თვალს თუ არ დაეხუჭავთ, მაშინ მივხვდებით, რომ **ჯერ შეუგნებლად აღმოვაცენებთ “ბოროტებებს” და**

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VI. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960.

შემდგომ შეგნებულად ვცდილობთ, ეს აღმოცენებული “დაავადება” გავანადგუროთ.

განა ამგვარ პროცესს დემოკრატიულობის ელფერი დაჰკრავს? უდავოა, არა!

ამიტომ დღის წესრიგში დგება პრობლემა: როგორ, რა მექანიზმებით უზრუნველვყოთ ამ „დაავადების“ თავიდან მოშორება? აქაც არსებითი დანიშნულების ხდება ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი შეცნობის მეთოდოლოგიის გამოყენება არსებული შერეული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ნორმალიზაციისათვის.

საჭიროა ისიც მივიღოთ მხედველობაში, რომ ეკონომიკას რა დონეზეც არ უნდა იყოს ის, აყალიბებს ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია და ისიც დროის ყოველ პერიოდში. იგი იწვება დროის პერიოდის დაწყებით და მთავრდება დროის ამავე პერიოდის დასრულებით. დროის ეს პერიოდი, როგორც წესი, არ ემთხვევა წარმოება-გასაღების ციკლს. ეს ციკლი თავისი ხანგრძლივობით ან აღემატება ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდს, ან ჩამორჩება, ან კიდევ ემთხვევა მას, როგორც გამონაკლისი შემთხვევა და ისიც მასთან ორგანიზული კავშირის გარეშე.

დროის პერიოდი კი, თავის მხრივ, ასრულებს ეკონომიკის ფუნქციონირების მორგანიზებელი იმპერატიული (ბუნებრივად მაიჭლებელი) ფაქტორის როლს. ამის გამო ეკონომიკას გააჩნია თავისი ჩამოყალიბების საბაზრო ტექნოლოგია დროის პერიოდების მიხედვით. ეს იმიტომ, რომ დროის პერიოდებში ყალიბდება ეკონომიკის შედეგები და მახასიათებლები, რომლებიც აღირიცხება სათანადო მახვენებლებით. მით უმეტეს, რომ ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიით ყოველთვის აღწევენ ეკონომიკურ შედეგებს დროის ყოველი პერიოდის დასრულებისთანავე (თვეში, კვარტალში, წელში და ა.შ.). ე.ი. ამ ვადებშია მოქცეული მიზანდასახული საქმის კეთება და, ამდენად, იგი გავლენას ახდენს საქმის იმგვარ ორგანიზებაზე, რომელიც ამ ვადებში უნდა განხორციელდეს. ეს კი დროის მოცემულ პერიოდს, როგორც ვადისეულ რესურსს, აკისრებს, ორგანიზებულად მიაღწიოს ამ ვადით მოცული საქმიანობის რაციონალურ ეკონომიკურ შედეგებს.

ეკონომიკურ რეალობათა ურთიერთობა დროის ყოველ პერიოდში არ შეიძლება არ ასცდეს ამ ბუნებრივად გამართული წყობის ლოგიკურ გზას პარალოგიზმებით მოცულ ახლად წარმოქმნილ ეკონომიკურ გარემოში. ეს კი, თავის მხრივ, გამორიცხავს ეკონომიკის მაღალორგანიზებულ, რაციონალურ ფუნქციონირებას, რასაც, ისევ და ისევ უნებლიე მცდარ დასკვნებსა და დაუხვეწავი მცდარი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებაზე გავყავართ.

ამ საქმეში მაღალკვალიფიციური და უკვე აზროვნებაში ნავარჯიშები და ეკონომიკური რეალობების თვისებრივი ანალიზის მფლობელი მაღალკვალიფიციური პროფესიონალის “ჰკუის გამომყენებელი ჰკუის” გარეშე შეუძლებელი ხდება ეკონომიკური მეცნიერების უპარალოგიზმო მიღწევების ეფექტიანი გამოყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელი გახდება ეკონომიკური პარალოგიზმების თავიდან მოშორება.

ეკონომიკური პარალოგიზმები იმიტომ გვემართება, რომ მათ სათანადო განათლების გარეშე ვერ ვამჩნევთ და ვერ ვხედავთ, ვინაიდან მხედველობის არის მიღმა გვრება არსებითი მნიშვნელობის ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობა. ე.ი. თითქმის ბრმად მივყვებით გზადაბნეულ ფეხის ხმას და თუ მივადწიეთ სადღაც, უარესთან შედარებით, დროებით წარმატებას – გვიხარია. ეს კი გამორიცხავს მომავლის წინასწარი ჰვრეტის უნარს და ოპტიმალურ ვარიანტზე გასვლისაკენ ლტოლვას.

უნდა გვესმოდეს, რომ ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია ქვეყნის მასშტაბით მოითხოვს შერეული საბაზრო ეკონომიკის „პოლიფონიურ“ გამართულობას.

„პოლიფონია“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს მრავალხმიანობის (მრავალფეროვნების) იმ სახეობას, რომლის დროსაც ხორციელდება სხვადასხვა ხმების (ფერების) ჰარმონიული შეთანწყობა.

იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება ეს შეთანწყობა, შესაძლოა, სხვადასხვა საქმე მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ამგვარი შეთანწყობა კონკურენციისა და თანამშრომლობის პირობებში სხვადასხვაგვარად ფუნქციონირებად ეკონომიკურ ობიექტებსაც შეუძლიათ. ჩვენ აქ შევხებით **ეკონომიკური ქცევების შეთანწყობას და მას ვუწოდებთ “ეკონომიკურ პოლიფონიას”**.

“ეკონომიკურ პოლიფონიად” მიგვაჩნია ეკონომიკური ქცევების იმგვარი შეთანწყობა, რომელიც შეკრულია კონკურენციისა და თანამშრომლობის ეკონომიკური ძაფებით როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ჭრილში. სახელდობრ, ჰორიზონტალურ ჭრილში ფიგურირებს კონკურენცია და თანამშრომლობა ეკონომიკურ ობიექტებს (მაგ., ფირმებს) შორის, ვერტიკალურ ჭრილში კი ეკონომიკურ ობიექტებსა და სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების წარმოქმნასა და გამოყენებას შორის.

„ეკონომიკური პოლიფონია“ ჰორიზონტალურ ჭრილში შეგვიძლია შემდეგნაირად განვმარტოთ. იგი წარმოადგენს ეკონომიკური ქცევების იმგვარ შეთანწყობას, რომელიც დაფუძნებულია კონკურენციისა და თანამშრომლობაზე სათანადო ქცევების მზიდი ძაფებით. აქ ეკონომიკური ობიექტის (მაგ., ფირმის) წარმატების მომტანია ბიზნესისა და მეწარმეობის ეკონომიკური საქმიანობის გამართულობა მისი (ეკონომიკური ობიექტის) მესაკუთრის, ე.ი. ეკონომიკური სუბიექტის მიერ. **აქ, უარეს შემთხვევაში, კონტრდება კონკურენციაში დამარცხებული ეკონომიკური სუბიექტი და არა ეკონომიკური ობიექტი.** იგი გადადის ერთი ეკონომიკური სუბიექტის (გაკონტრებული) ხელიდან სხვა ეკონომიკური სუბიექტის საკუთრებაში. თვით ეკონომიკური ობიექტი კი განაგრძობს ფუნქციონირებას, შესაძლოა იმავე ან სხვა, ეკონომიკაში თავსებადი დანიშნულებით. ამით დაცულია ამ სფეროში სისტემის „პოლიფონიური“ ერთიანობა ჰორიზონტალურ ჭრილში.

„ეკონომიკური პოლიფონია“ ვერტიკალურ ჭრილში წარმოგვიდგება შემდეგი სახით: ქვეყნის ეკონომიკურ ობიექტებს უნდა უძღვებოდეს მისი მესაკუთრე (ბიზნესმენი, მეწარმე) ისე, რომ მან უზრუნველყოს არა მარტო ეკონომიკური ქცევის არეალის გაფართოება, არამედ იმდენი მოგების მიღება, რამდენიც საკმარისი იქნება საკუთარი ბიზნესის გასაფართოებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის შესატანად და საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს საგადასახადო განაკვეთები და მათგან შემდგარი საგადასახადო სისტემა, თუ იგი უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის ეკონომიკის „პოლიფონიურ“ მთლიანობას?

ამ კითხვაზე საპასუხოდ უნდა აღენიშნოთ შემდეგი: საგადასახადო სისტემა „პოლიფონიურად“ უნდა იყოს შეთანწყობილი ისე, რომ ეკონომიკური ობიექტის საგადასახადო სკალა უნდა ეყრდნობოდეს პროცენტებში წარმოდგენილ ნორმატიულ სიდიდეებს შემდეგი სახით: თუ მოგების მასის ზრდა მიიღწევა ფასების გადიდებით, მაშინ უნდა მოქმედებდეს გადასახადის პროგრესული სკალა; თუ მოგების მასის ზრდა ხორციელდება ბიზნესის გაფართოების და ხვედრი ხარჯების შემცირების გზით, მაშინ უნდა მოქმედებდეს გადასახადის რეგრესული სკალა. ამგვარი საგადასახადო სისტემის წყობა უბიძგებს ეკონომიკურ სუბიექტებს (ბიზნესმენებს, მეწარმეებს), თავიანთი საქმიანობა „პოლიფონიურად“ შეუთანწყონ სახელმწიფო ბიუჯეტის სრულ დაკმაყოფილებას, თავისი ეკონომიკური ობიექტების ეფექტიანი ფუნქციონირებით და არა ფასების მატებით. ეს კი უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ყოველი ეკონომიკური ობიექტის ბიუჯეტს შორის შეთანწყობილ შეუფერხებელ ფორმირებას, ე.ი. „პოლიფონიურ“ ერთიანობას. სახელდობრ, ეკონომიკური ქცევების იმგვარ შეთანწყობას, რომელიც თავისი ბუნებით აყალიბებს ერთიან მთლიან სურათს

ქვეყნის მასშტაბით ისე, რომ უზრუნველყოფს პროფიციტული ბიუჯეტის ორგანულ (ეკონომიკის პარალოგიზმებისაგან თავისუფალი აღნაგობის) ფორმირებას ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირებით. გარდა ამისა, პროფიციტის (ნაჭარბის) ამოღებით და მისი რეზერვში გადართვით შესაძლებელი გახდება ბრუნვიდან ფულადი მასის ამოღება, რომელიც თავიდან აგვაშორებს ან შეარბილებს (შეამცირებს) ეროვნული ვალუტის ინფლაციის პროცესის წარმოქმნას და ამით გამყარდება ქვეყნის ეკონომიკა მისი აღმავლობითი ბიძგებით. ამით ბაზარზე ფულადი მასა შემცირდება, პროდუქცია კი მოიმატებს. შესაძლოა, ამან, უკეთეს შემთხვევაში, გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკური გამყარება და აღმავლობა.

ამგვარია ეკონომიკის „პოლიფონიური“ შეთანხმებულობა, თუ ეკონომიკურმა პარალოგიზმმა არ შეუშალა ხელი ამ ნორმალური გზით ეკონომიკურ რეალობათა განვითარებას.

ეკონომიკის „პოლიფონიური“ გამართულობა აუცილებელია, რომ არ დაირღვეს ეკონომიკურ ეფექტიანობასა (შედგვიანობასა) და სოციალურ ეფექტურობას (მიზიდველობას, მოსაწონ მდგომარეობას) შორის წონასწორობა. მას ძალუძს, თავი დაევიხდეთ ეკონომიკის ჯიჯგნისაგან, რაც წარმოიქმნება ეკონომიკური პარალოგიზმების მიერ „პოლიფონიური“ წყობის დარღვევით. ეს კი მოითხოვს იურიდიულ-ეკონომიკური წყობის იმგვარი კანონმდებლობის შემოღებას, რომელიც საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების იმ როლის დაკვალიანებისათვის, რომელიც მან უნდა განახორციელოს შერეული საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობით ფუნქციონირებისათვის დროის პერიოდების მიხედვით. სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა აღმოცენდება მაშინ, როდესაც ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ეფექტიანი ფუნქციონირება კონკურენციით ურთიერთდაპირისპირებული ძალების თანაფარდობაში იმგვარ ვითარებას ჩამოაყალიბებს, როდესაც ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა არ გამოიწვევს სოციალური უსამართლობის გაღრმავებას და ამით ეკონომიკის „პოლიფონიური“ წყობის დარღვევას. ეს დარღვევა კი მთლიანობით სისტემას ეკონომიკაში გარდაქმნის ჯუმლობრივ წარმონაქმნად. ეკონომიკური წარმონაქმნი ჯუმლობრივია, თუ მისი შემადგენლები უბრალოდ თავმოყრილია, ანუ წარმოქმნიან ჯუმლს და ამით გამორიცხავენ მთლიანობას.

მაშასადამე, საჭიროა ჯანსაღი კონკურენცია, ე.ი. კომერციულ სინდისს მიეცეს გასაქანი. ეს კი მოითხოვს იურიდიულ-ეკონომიკური წყობის იმგვარი კანონმდებლობის შემოღებას, რომელიც საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების იმ როლის დაკვალიანებისათვის, რომელიც მან უნდა განახორციელოს შერეული საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღი სოციალური წონასწორობის წარმართვის საქმეში. ამგვარი წონასწორობა ხომ ჯანსაღ თანაფარდობათა უცვლელობაა დროის პერიოდების მონაცვლეობის პროცესშიც კი და ისიც არა მესაკუთრებს, არამედ სამესაკუთრეო ობიექტებს შორის.

სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა გავგანხიოთ მაშინ, როდესაც ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ფუნქციონირება კონკურენციით ურთიერთდაპირისპირებული ძალების თანაფარდობაში იმგვარ ვითარებას აყალიბებს, როდესაც ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა არ იწვევს სოციალური სიდუხჭირის დამკვიდრებას. ამით იგი ეკონომიკურ საფუძველს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას.

მართლაც, ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია თავისი ბუნებით უნდა წარმოადგენდეს თვისებრივად დეტერმინირებული შეუქცევადი წყობით მთლიანობით სისტემას. ეს თვისება არსებითი მნიშვნელობისაა და მისი მხედველობის არიდან გაშვება სოციალურად გამართულ ეკონომიკურ რეალობებზე ორიენტაციის უარყოფას იწვევს. უკანასკნელი კი ეკონომიკური პარალოგიზმების მთესველია.

ცხადია, ეკონომიკურ რეალობაში სათანადო ჩახედულობის უზრუნველყოფა საფუძველშივე აღკვეთს პარალოგიზმების დაშვებას. იგი შესაძლებელს ხდის ხილვადი გაეხადოთ ამ თვისების როლი და მნიშვნელობა ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის დაკვალიანების და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების წარმართვისათვის.

ამ გარემოებათა გამო საჭიროა, ამგვარი დამაკვალიანებელი ეკონომიკური მახასიათებლების მაჩვენებელთა (ეკონომიკურ მულტიოპერატორთა) გენეტიკურად უნაკლო წყობა ჩამოყალიბდეს ყოველი ფუნქციონირებადი ნებისმიერი დარგის ეკონომიკური ობიექტისათვის, იქნება ეს რეალური მიკროეკონომიკის ობიექტები თუ წარმოებულნი, ე.ი. მაკროეკონომიკის ობიექტები. ეკონომიკის ერთიანი წარმატებული სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, მოცემულ ქვეყანაში მათი ორგანული შეუღლება მოხდეს ორი შტოს მიხედვით (რესურსების დოვლათად და ხარჯების მოგებად ტრანსფორმირების შტოების მიხედვით) და შეიკრას ამ შტოების ურთიერთობათა ნაკადი ეკონომიკის მთლიანობითი სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ამით ჩამოყალიბდება ქვეყნის ეკონომიკის ერთიანი გენეტიკური ხერხემალი.

ამ გარემოების მხედველობის მიღმა დატოვებით ეკონომიკა აღმოჩნდება უმეტესად ჯუმლობრივი წარმონაქმნი, ვიდრე მთლიანობითი სისტემა, რასაც არეგდარევა შეაქვს ხოლმე ეკონომიკის გაძლოლის საქმეში. ეს კი იკისრებს პარალოგიზმების წარმოქმნის ნიადაგის ფუნქციას და ძირს გამოუთხრის ქვეყნის და ყოველი დარგის, ყოველი ფირმის ინსტიტუციონალობის (საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაწესებული ერთობლიობის) დახვეწილობას.

ამის გამო ეკონომიკურ პარალოგიზმს ემატება ახალი ეკონომიკური პარალოგიზმები, რომლებიც წარმოქმნიან გაუგებრობის (უვიცობის) რთულად გადახლართულ „დაავადებას“ ეკონომიკაში, ე.ი. წარმოქმნიან ეკონომიკურ უაზრობათა ერთობლიობის რთულად გადახლართულ ჯუმლობრივ წარმონაქმნს, რომლის თავიდან მოშორებას ვცდილობთ, ნაცვლად ევოლუციური გარდაქმნებისა რევოლუციური რეფორმირების გზით (გამოწვეული პარალოგიზმებით), და ამით ზედმეტი მსხვერპლის გაღებით ვიღებთ შერეული საბაზრო ეკონომიკისა და ამ ნიადაგზე მერყევი დემოკრატიული საზოგადოების დენორმალიზაციას.

საჭიროა და აუცილებელიც, გვესმოდეს, თუ რა განსხვავებაა არანორმალისებულ შერეულ საბაზრო ეკონომიკასა და ნორმალისებულ შერეულ საბაზრო ეკონომიკას შორის. ამის ხედვას (გონებრივ ჭერეცას) გვაწვდის აქვე ჩამოყალიბებული განმარტებები:

1. არანორმალისებულ შერეულ საბაზრო ეკონომიკას წარმოადგენს რეალურ სინამდვილეში არსებული ბუნებრივი წყობის ყოველი ეკონომიკური მოვლენა და მისი წარმმართველის მიერ დროის მოცემულ პერიოდში ჩართული პარალოგისტური ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც აძლიერებს არსებული ეკონომიკის ჯუმლობრიობას, ე.ი. ასუსტებს ეკონომიკის მთლიანობითობას. იგი ყალიბდება უპირატესად თვითნებაზე მიშვებული ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის შედეგად;
2. ნორმალისებული შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობას წარმოადგენს ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიაზე ორიენტირებულ სინამდვილეში არსებული ბუნებრივი წყობის ყოველი ეკონომიკური მოვლენა და მისი წარმმართველის მიერ დროის მოცემულ პერიოდში ჩართული არაპარალოგისტური ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც აძლიერებს არსებული ეკონომიკური სისტემის მთლიანობითობას, ე.ი. აძლიერებს ეკონომიკური სისტემის ორგანიზებულობას.

საბაზრო ეკონომიკა, მისი ბუნებრივად წარმოქმნის დღიდანვე, ველური ქცევებით ხასიათდება. იგი თავისუფალი იყო სოციალური სამართლიანობისათვის საჭირო შეზღუდულობების და სახელმწიფოს თუნდაც ნაწილობრივი და ისიც რაციონალური ზეგავლენისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკაში სოციალური სამართლიანობა მოითხოვს, ერთი მხრივ, ინიციატივიანი, აქტიური, გამჭრიახი გონებით პოზიტიური საქმოსნის თვითდაკვალიანებულ კეთილდღეობას, მეორე მხრივ კი – უნიათო, პასიური და აქტიურ საქმიანობაში თვითდაკვალიანების უუნარო, ინტელექტუალურად ზარმაცის, შრომით თავის შეწყუხების განმრიდის სიდუხჭირეს, რომ ყოველ ეკონომიკურ სუბიექტს გაუჩნდეს ძლიერი ღტოლვა საქმიანობის სათანადო გაშლით კეთილდღეობის დასაკვალიანებლად.

ეკონომიკის ნორმალური საბაზრო ტექნოლოგია მოიცავს არა მარტო ბაზრის ეკონომიკას, არამედ საბაზრო ურთიერთობებს საბაზრო სეგმენტების მიღმაც. ყველა მათგანის ერთობლიობა წარმოქმნის ქვეყნის საბაზრო ეკონომიკას დოვლათის შემქმნელ ობიექტებშიც, სადაც უნდა ხორციელდებოდეს საქონლის წარმოება-გასაღება და ისიც ეკონომიკური მახასიათებლების მანევრებელთა გენეტიკური წყობის პირობებში, რომელიც ყოველთვის თვისებრივად დეტერმინირებული იქნება მულტიინგრედიენტების შემადგენლობით. ჩვენ ამ წყობას, როგორც წესი, საბაზრო ურთიერთობებთან მჭიდრო კავშირში განვიხილავთ. ამ გზით საბაზრო ეკონომიკა გვესახება, როგორც ეკონომიკის ნორმალური საბაზრო ტექნოლოგია. იგი მოცემულ ქვეყანაში „პოლიფონიური წყობით“ ამკვიდრებს ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის საყრდენ ხერხემალს.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ძირეულ (საწყის) რგოლებს წარმოადგენს სამეწარმეო ფირმები, რომლებიც გვევლინებიან, როგორც ბაზართმკეთებლები. მათი ქცევები მრავალ დარგშია დამკვიდრებული, იქნება ეს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ა.შ., და ქმნიან ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის საძირკველს. თუმცა მათი შეუღლება შესაძლებელი ხდება სათანადო საბანკო-საფინანსო-საკრედიტო სისტემით საბაზრო ურთიერთობათა არეალში. პირველნი ქმნიან მიკროეკონომიკას (რეალურ ეკონომიკას), მეორენი კი ეკონომიკათა მაკროგაერთიანებას. უკანასკნელი მოიცავს, გარდა მიკროეკონომიკისა, მათ შემკვრელ საბანკო-საფინანსო-საკრედიტო სისტემას და სახელმწიფოს წარმმართველ სისტემას, რომელიც მართვისა და მარეგულირებელი არხის ქმედით და რაციონალურ შეუღლებას უნდა ახორციელებდეს განუხრეულად.

მთავარია, გაგვანდეს ეკონომიკური აზროვნების მართებული ორიენტაცია. ჩვენ უნდა გავხედოთ ამისათვის სათანადო საზრიანობის, გამჭრიახობის, მიხვედრის უნარ-ჩვევების მზიდნი. იგი აუცილებელია საბაზრო ურთიერთობათა პოზიციების მიხედვით წარმართვისათვის, რომელიც მჭიდრო კავშირში უნდა იყოს შიდასამეურნეო, შიდასაწარმოო ოპერაციებთან, პროცესებსა და პროცედურებთან. მათი მართებული ორგანიზაცია და წარმართვა აუცილებელია წელში გამართული ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის. ეს კი მოითხოვს მართებულ სტრატეგიულ ორიენტაციას წარმოება-მარკეტ საქმიანობაში.

უნდა ვიცოდეთ, რომ ფული, როგორც დოვლათის ღირებულების გამზომი და საქონლის მოძრაობის ინსტრუმენტი, იქმნება სამეწარმეო ფირმების მიერ ერთობლივად, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას და მისი რეალიზაციით გარდაქმნიან მას დოვლათად. მოგებას კი უნდა იღებდნენ საკუთარი თავისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების შენატანებისა და ბიზნესის გაფართოებისათვის. სამეწარმეო ფირმების საწარმო-მარკეტინგული საქმიანობითაც ხორციელდება შემქმნილი დოვლათის განაწილება და გადანაწილება ფულადი სახსრების მოძრაობის საბანკო-საფინანსო მექანიზმებით.

ამ გარემოებათა გამო აუცილებელია, რომ ფირმების და ბანკების ხელმძღვანელობა, საფინანსო სამსახურები, სახელმწიფოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები ფლობდნენ ცოდნას, რომელიც დაეხმარება მათ საბაზრო ურთიერთობათა ცვლად სიტუაციებში გასარკვევად. ამით მათ უნდა შეძლონ, გაუმჯობესებულად დააფინანსონ საბაზრო ურთიერთობების წარმოქმნა და გამოყენება.

ამრიგად, ისინი უნდა ფლობდნენ უნარ-ჩვევას, უკეთესად იმოქმედონ საბაზრო ურთიერთობათა არეალში და, შესაბამისად, განახორციელონ სინერგიული, ე.ი. მათგანინიშნული მიანიჭებელი მართვასა და რეგულირების დირექტიულ-ინდიკატური (განკარგულებითი და მათგანინიშნული მიანიჭებლობითი) მექანიზმებით, რათა უზრუნველყონ ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ეფექტიანი „პოლიფონიური“ ფუნქციონირება. ყოველივე ეს კი უნდა გამორიცხავდეს ნეგატიურ გზებს და უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურ გზებს იმისათვის, რომ ამოქმედდეს საბაზრო ნეგატიური მექანიზმების შემზღუდავი პარამეტრები.

„ველური“ საბაზრო ეკონომიკის არსებობის პირობებში სიმდიდრის დაგროვება ხორციელდებოდა იმგვარი ნეგატიური ქცევებითაც, როგორც იყო მეკობრეობა, დოვლათის დამტაცებლობა, კომერციული უსინდისობა და ა.შ. ერთი სიტყვით, შექმნილი დოვლათის დამტაცებლობა და ფარული მიმთვისებლობა, კორუფცია, ფულის “ჩამოჭრა” და ა.შ. აყალიბებდა სოციალურად უსამართლო ნეგატიურ ქცევებს და ისიც არანაკლები დოზით, ვიდრე საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესებისადმი უპირატესობის მინიჭება იყო წარმოდგენილი საზოგადოების სხვა ნაწილების ინტერესების საზიანოდ, ე.ი. დამკვიდრებული იყო არადემოკრატიული გზის გამოყენება.

ამ ინტერესთა არაჯანსაღი ჭიდილიც იყო ეკონომიკური სისტემის დეფორმირების გამომწვევი, ვინაიდან ამგვარი პარალოგიზმების გამოც იგი ასცდა განვითარების ჯანსაღ კონკურენციულ გზას. მათ ინტერესთა შორის ჭიდილიც ეკონომიკის დეფორმირების გამომწვევი გახდა. ამგვარი მდგომარეობა კი ხელს უშლიდა საქმის გამოსწორებას.

საზოგადოებრივი წყობის ამ დეფორმირებული ჯუმლობრივი (ნაყარწყარი) წარმონაქმნიდან თავის დახსნა აუცილებელი გახდა რეფორმირების გზებით. საბაზრო ეკონომიკის ევოლუციური რეფორმირება ისეთი პროცესია, რომელიც ადგას თანდათანობითი პროგრესის გზას, ევოლუციური რეფორმირება კი – თანდათანობითი რეგრესის გზას.

უნდა ვიცოდეთ, რომ რეველუცია ეკონომიკურ სისტემაში პოლიტიკური ჭიდილით იჩენს თავს და ისიც ერთბაშად, საყოველთაო ნგრევის სახით. იგი ძველის ნგრევით დასაყრდენს აცლის ახალს, ნაცვლად იმისა, რომ მას უთავისუფლებდეს გზას. ახალი, შესაძლოა, იყოს ან პროგრესული, ან რეგრესული. ახალი ყოველთვის არ ნიშნავს პროგრესულს, თუ იგი დახუნძლულია პარალოგიზმებით. ის უადრესად აგრესიულია, და ამით მტკივნეული, და რეველუციურ ნანგრევებზე ვაივაგლახით იწყებს ახალი საზოგადოების მშენებლობას. ძველის ნგრევა კი ნიადაგს აცლის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკის ხერხემალს, რომლის გარდაქმნაც შესაძლებელი იყო ნგრევის გარეშე, ევოლუციური კორექტირებითი რეფორმირების გზით. ამისათვის საჭირო არ იყო პოლიტიკური სიბეცე გაღიზიანებული ემოციებით, ნაცვლად გონიერების მოშველიებისა, უფრო ჭკუაზე, ვიდრე ემოციებზე დაყრდნობით.

რეველუციური გზა უადრესად მტკივნეულია, სულერთია იგი ეხება კაპიტალის დიქტატის ჩანაცვლებას პროლეტარიატის დიქტატით, თუ პროლეტარიატის დიქტატის უარყოფას კაპიტალის დიქტატისათვის. **ეკონომიკის რეფორმირებას დემოკრატიისათვის მეტი ჭკუა სჭირდება, ვიდრე მისი რეველუციებით დეფორმირებას.**

დემოკრატიაზე გადასვლა უნდა გამორიცხავდეს რეველუციას. იგი უნდა დაკვალიანდეს ევოლუციის გზით. რეველუციას იწვევს გაბორბლება, ევოლუციას კი გონიერება და კაცთმოყვარეობა.

დემოკრატია უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ მიკერძოებულ დიქტატს. იგი უნდა იყოს ხალხის (დემოსის) ნება-სურვილის მზიდი. მან უნდა გამორიცხოს უკიდურესი გადახრა ან მემარჯვენეობის, ან მემარცხენეობისაკენ. მათი საქმიანობა უნდა განისაზღვრებოდეს მათივე როლით დემოსის (ე.ი. საერთო-

სახალხო ინტერესების უზრუნველყოფაში. ეს კი მოითხოვს კაპიტალის (განივთებული შრომის) და სამუშაო ძალის (ცოცხალი შრომის) თანასწორუფლებიანობას ეკონომიკაში შეტანილი წვლილის მიხედვით. ამის მიღწევა კი მოითხოვს, სულ ცოტა, ეკონომიკური პარალოგიზმების წარმოქმნის შესაძლებლობათა ლიკვიდაციას დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების გზაზე.

ეკონომიკის დეფორმირება (დეფორმაცია) მოასწავებს ეკონომიკური სისტემის მოშლას გარე ძალების გავლენით, როგორც წესი, ეკონომიკური პარალოგიზმებით. ამას მოჰყვება ეკონომიკური სისტემის მთლიანობითობის დარღვევა და ჯუმლობრივი ნაყარნუყარი (უაზრო, არაცნობიერი) წარმონაქმნის მახასიათებლებით აღჭურვა, რაც იწვევს ამ სისტემის მთლიანობითობის, სულ ცოტა, ნაწილობრივ რღვევას მაინც.

ეკონომიკის რეფორმირება (რეფორმების მოხდენა) კი უნდა ახდენდეს ეკონომიკის გარდაქმნას მის გასაუმჯობესებლად, ე.ი. ეკონომიკაში ჯუმლობრივი წყობის მთლიანობით წყობად გარდაქმნის გზით ეკონომიკური სისტემის თანდათანობით გაუმჯობესებას. როგორც ვხედავთ, ეკონომიკის რეფორმირების საწინააღმდეგო პროცესია ეკონომიკის დეფორმირება.

ეკონომიკურ პარალოგიზმს შეუძლია, განახორციელოს ეკონომიკის დეფორმირება და იგი შეაფასოს, როგორც ეკონომიკის რეფორმირება. ე.ი. ეკონომიკური დეფორმირების გამომწვევია ეკონომიკური პარალოგიზმები და ისიც არანაკლები დოზით, ვიდრე საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესებისადმი უპირატესობის მინიჭება სხვა ნაწილების ინტერესების საზიანოდ, ანუ ანტი-დემოკრატიული მიდგომით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში. თბილისი, “სიახლე”, 2003.
2. პაპავა გ. ეკონომიკური ანალიზის პერიოდანტული მეთოდი (სამრეწველო მეწარმეობრივი ფორმის მაგალითზე). თბილისი, “ფინანსები”, 2001.
3. Афанасьев В.П. Системность и общество. Москва, Политиздат, 1980.
4. Блауберг Л.В. Целостность и системность. // В сборнике ежегодника “Системные исследования”, Москва, Наука, 1977.
5. Князев Ю. Современный взгляд на теорию социальной рыночной экономики. // В сборнике “Социально-экономические модели в современном мире и путь России,” книга 2 – “Социально-экономические модели (из мирового опыта)”, под редакцией члена-корреспондента РАН К. Миккульского, Москва, Экономика, 2005.
6. Папавა Г.В. Для преодоления экономических паралогизмов. // Академия Наук Грузии, “Известия,” Серия Экономическая, том 13, № 1-2, Тбилиси, “Мецниереба”, 2005.
7. Папавა Г.В. Целостность рационально нормализованной смешанной рыночной экономики и экономическая полифония. // Академия Наук Грузии, “Известия,” Серия Экономическая, том 13, № 3-4, Тбилиси, “Мецниереба”, 2005.

Giorgi Papava

Doctor of Economic Sciensec, Professor

THE PRINCIPLES OF MARKET ECONOMY NORMALIZATION AND DEMOCRACY

Summary

Modern democracy in its essence requires the normalization of a mixed market economy, i.e. the forming of a mixed market economy as a normal socially sound manoeuvrable system. Without this our discourses upon peoples’ power and, correspondingly, a democratic state lose its sense.

The article is devoted to the formulation of foundations solving this problem.

Alfred Kuratashvili
Doctor of Economic Sciences, Professor

THEORY OF BALANCE OF RIGHTS AND RESPONSIBILITY OF OFFICIALS – ESSENTIAL POLITICAL-LEGAL BASIS OF DEVELOPMENT OF ECONOMIC

One of the main scientific trends and necessary intellectual basis of protection of interests of a person as well as necessary basis of effective functioning of market relations and the society and the state is theory of the balance of rights and responsibility of officials[1;2;3].

However, unfortunately, the acting legal theory and practice lack the responsibility of officials for the results of their activity – lack the responsibility of officials that should have been balanced with their rights.

In compliance with the given theory, if, as a result of “activity” of certain officials, in fact, there are robbed, for instance, five million or ten million inhabitants of the state, these officials should be imposed a penalty – they should bear responsibility not only through relieving the posts held by them, but as the robbers, who robbed, in this case, five or ten million persons.

However, unfortunately, robbers are considered only those, who directly physically attacked a person, an institution, an organization or enterprise and carried out their robbery.

As it is known, along with the rights, it is accepted to speak of (and even sometimes) obligations, but in fact the criminal and so on responsibility of officials do not exist, if they have not evidently and directly stolen something, robbed someone, killed someone and so on.

Though, through their “activity”, their “experiments” and their blind imitation to other countries or as a result of influence under dictates of other countries and so on, they could rob their people or promote their robbery, could bring the country to the political, economic and social chaos, bloodshed, poverty and so on, that, undoubtedly, requires introduction of strict juridical responsibility of officials that should be balanced with their rights.

Therefore, created by me social-legal and political-legal theory of the balance of rights and responsibility of officials represents the necessary scientific basis of protection of interests of a person and social-economic progress.

The theory of the balance of rights and responsibility of officials is the basis of overcoming of contradiction between the availability of rights and obligations of the state, and, consequently, of the state officials, through the activity of whose the functioning of the society and the state is carried out, on the one hand, and the lack of concrete theoretical and practical juridical responsibility of these officials for the results of their activity, on the other one, since officials executing their rights and obligations, expressing in the end concretely in serving the society – serving people, sometimes “serve people” so that their “activity” leads to the robbery and impoverishment of people, but the relevant responsibility for this does not exist.

Besides, the theory of the balance of rights and responsibility of officials allows to overcome contradiction between the availability of responsibility of common citizens for their acts, on the one hand, and the lack of responsibility of officials for the results of their activity that (responsibility) should have been balanced with their rights – to manage or directly participate in management of the society and the state, on the other one, and through this, the theory points the way to the practice in the aspect of creating and equipping the mechanisms of juridical responsibility of officials that should have been balanced with their rights.

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისათვის:

$$\ln\left(\frac{-Y}{\ln t}\right) = \underbrace{10,33835}_{(136.1131)} + \underbrace{0,02248\tau}_{(24.1892)} + \underbrace{1,42538t}_{(18.8867)} ;$$

$$R^2 = 0,98707 ; F(2,10) = 381,6 ; DW = 1,611 .$$

შვედეთის ეკონომიკისათვის:

$$\ln\left(\frac{-Y}{\ln t}\right) = \underbrace{11,46779}_{(72.72245)} + \underbrace{0,01646\tau}_{(7.62617)} + \underbrace{2,16469t}_{(10.00821)} ;$$

$$R^2 = 0,95322 ; F(2,12) = 122,26 ; DW = 2,2553 .$$

აქ მოყვანილ ოთხივე განტოლებაში შეფასებული კოეფიციენტების ქვეშ ფრჩხილებში მითითებულია სტიუდენტის t სტატისტიკის მნიშვნელობები. როგორც მოყვანილი სტატისტიკური მახასიათებლებიდან ჩანს, ყველა განტოლება სრულად აკმაყოფილებს მოდელის ვერიფიკაციის ყველა ძირითად ტესტს. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ (9) ფუნქცია რეალური მონაცემების აპროქსიმაციას მაღალი სიზუსტით ახდენს და გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა. თუ მოყვანილ განტოლებებს საწყისი (9) ფორმით გადავწერთ, მივიღებთ:

რუსეთის ეკონომიკისათვის⁶

$$Y(t) = -13027,35e^{-0,003032\tau} t^{1,62781} \ln t ; \quad (9ა)$$

აშშ-ს ეკონომიკისათვის

$$Y(t) = -57240,1e^{0,002221\tau} t^{1,81739} \ln t ; \quad (9ბ)$$

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისათვის

$$Y(t) = -30895,01e^{0,02248\tau} t^{1,42838} \ln t ; \quad (9გ)$$

შვედეთის ეკონომიკისათვის

$$Y(t) = -95586,8e^{0,01646\tau} t^{2,16469} \ln t . \quad (9დ)$$

პირველ ცხრილში მოყვანილია (9ა)-(9დ) დამოკიდებულებების საფუძველზე გამოთვლილი ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილების მნიშვნელობები. აქვე, თითოეული ქვეყნისათვის, მოცემულია t -ს საშუალო პერიოდული მნიშვნელობა $\bar{t} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n t_i$ და ელასტიკურობის კოეფიციენტები $\xi_{\bar{t}}^{\bar{Y}}$, $\xi_{\bar{t}}^{\bar{t}}$. ამ ფისკალური მახასიათებლების ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

პირველი, მოდელის მიხედვით ოთხივე ქვეყნის საგადასახადო ტვირთის არსებული საშუალო პერიოდული დონე \bar{E} მნიშვნელოვნად ჩამორჩება ოპტიმალურ დონეს t^* -ს, რომლის პირობებშიც შესაძლებელია მაქსიმალური საწარმოო ეფექტის მიღწევა. მაშასადამე, თუ ჩავთვლით, რომ ლაფერის ეფექტზე დაფუძნებული მიწოდების თეორია სამართლიანია და მის საკმარისად ადეკვატურ ასახვას (3)-(4) მოდელი წარმოადგენს, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოთხივე ქვეყანას ფისკალური ინსტრუმენტებით როგორც გამოშვების მოცულობის, ასევე საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი გააჩნია.

⁶ (9) ტიპის მოდელში ტრენდული ოპერატორის $e^{-\lambda\tau}$ -ს λ პარამეტრს ნეიტრალური, ანუ არამატერიალური ტექნიკური პროგრესის პარამეტრი ეწოდება. ჩვენს შემთხვევაში იგი გამოსახავს გამოშვების მოცულობის ყოველწლიური მატების პროცენტს, რომელიც განპირობებულია დროის ფაქტორით და არა საგადასახადო ტვირთის ცვლილებით. (9ა)-(9დ) მოდულებიდან გამომდინარეობს, რომ დანარჩენი სამი ქვეყნისაგან განსხვავებით, რუსეთის ეკონომიკაში 1989-2000 წლებში დროის ფაქტორი პროგრესის ნაცვლად რეგრესის როლს ასრულებდა.

ფისკალური წერტილები

	t^*	t^{**}	\bar{t}	$s_{\bar{t}}^Y$	$s_{\bar{t}}^T$
რუსეთის ეკონომიკისათვის	0,541007	0,683489	0,32004	0,75009	1,75009
აშშ-ს ეკონომიკისათვის	0,593604	0,7098	0,28475	1,1213	2,1213
დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისათვის	0,495808	0,662121	0,35985	0,44697	1,44697
შვედეთის ეკონომიკისათვის	0,630048	0,729069	0,49929	0,72495	1,72495

მეორე, მოდელის მიხედვით გამოშვების მოცულობის და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამორჩეულია აშშ-ს ეკონომიკა. როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, აშშ-ში ფაქტობრივად არსებული საშუალო საგადასახადო ტვირთი ოპტიმალურ დონეს – t^* -ს 2,1-ჯერ, ხოლო მაქსიმალური საბიუჯეტო შემოსავლების მომტანი განაკვეთის დონეს – t^{**} -ს კი 2,5-ჯერ ჩამოუვარდება. საგადასახადო ტვირთის საშუალო სიდიდესა და ფისკალურ t^* და t^{**} წერტილებს შორის არსებული განსხვავება შესაბამის ასახვას \bar{t} -ს მიმართ გამოშვებისა და საბიუჯეტო შემოსავლების საშუალო ელასტიკურობის $s_{\bar{t}}^Y$ და $s_{\bar{t}}^T$ კოეფიციენტებში პოულობს. ეს კოეფიციენტები (9) ფუნქციის პირობებში შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$s_{\bar{t}}^Y = \frac{\partial Y/Y}{\partial \bar{t}/\bar{t}} = \delta + \frac{1}{\ln \bar{t}}, \quad s_{\bar{t}}^T = \frac{\partial T/T}{\partial \bar{t}/\bar{t}} = (\delta + 1) + \frac{1}{\ln \bar{t}},$$

სადაც Y, T და \bar{t} საშუალო პერიოდული სიდიდეებია:

$$Y = \frac{1}{n} \sum_{t=1}^n Y_t, \quad T = \frac{1}{n} \sum_{t=1}^n T_t, \quad \bar{t} = \frac{1}{n} \sum_{t=1}^n t_t,$$

აქ Y_t გამოშვების მოცულობაა t წლისათვის; T_t – ბიუჯეტის მთლიანი საგადასახადო შემოსავლები t წლისათვის; t_t – საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა t წლისათვის; n – საანალიზო წლების რიცხვი. ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ \bar{t} -ს მიმართ გამოშვების მოცულობა მაღალელასტიკურია ($s_{\bar{t}}^Y > 1$) მხოლოდ აშშ-სათვის. დანარჩენი ქვეყნებისათვის გამოშვება \bar{t} -ს მიმართ დაბალელასტიკურია ($s_{\bar{t}}^Y < 1$). გამოშვების დაბალი ელასტიკურობით განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა გამოირჩევა, რომლისათვისაც საგადასახადო განაკვეთის საშუალო პერიოდული მნიშვნელობა ყველაზე ახლოს არის ოპტიმალურ დონესთან.

მესამე, ქვეყნების მიხედვით ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილები მნიშვნელოვან ვარიაციას განიცდის. ეს იმის ნიშანია, რომ საგადასახადო ტვირთის მიმართ ამ ქვეყნების ეკონომიკურ სუბიექტთა რეაქცია სხვადასხვაა და, მაშასადამე, სხვადასხვა თანაფარდობითა და სიძლიერით მოქმედებს გადასახადებთან დაკავშირებული ეფექტები [12]. უნდა ვივარაუდოთ, რომ t^* და t^{**} წერტილების მაღალი მნიშვნელობის მქონე ქვეყნებში არსებით როლს გადასახადებთან დაკავშირებული შემოსავლების ეფექტი ასრულებს, რომელიც შრომის მიწოდებისა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე დადებითად ზემოქმედებს.

ვიდრე (3)-(4) მოდელის ადეკვატურობისა და პრაქტიკაში გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გავაკეთებთ დასკვნას, შევაფასოთ რამდენად მიღწევადია განხილული ქვეყნებისათვის მო-

დელით განსაზღვრული ოპტიმალური მდგომარეობა, რომელიც, განმარტების თანახმად, საგადასახადო განაკვეთის t^* მნიშვნელობას შეესაბამება. ამ მიზნით თითოეული მათგანისათვის გამოვთვალოთ თანაფარდობა მთლიანი გამოშვების ოპტიმალურ და ფაქტობრივ დონეებს შორის:

$$\frac{Y(t^*)}{Y(t)} = \frac{1}{e^{\delta t^d} \ln t^d}$$

ამ მანვენების საშუალო მნიშვნელობა რუსეთისათვის შეადგეს 1,26734-ს, აშშ-სათვის – 1,69783-ს, დიდი ბრიტანეთისათვის – 1,0839-ს, შვედეთისათვის – 1,10044-ს. მოდელის თანახმად, ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო ტვირთის არსებული საშუალო მნიშვნელობის ოპტიმალურ დონემდე გაზრდა, ანუ რუსეთის ფედერაციაში 54%-მდე, აშშ-ში 59%-მდე, დიდ ბრიტანეთში 50%-მდე, შვედეთში კი 63%-მდე, მშპ-ს მნიშვნელობას არსებულთან შედარებით დაახლოებით გაზრდიდა: რუსეთის ფედერაციაში 27%-ით, აშშ-ში 70%-ით, დიდ ბრიტანეთში 8%-ით, შვედეთში კი 10%-ით. ამ სცენარიებიდან რეალობასთან მეტ-ნაკლებად მიახლოებულად დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის ვარიანტი გამოიყურება. რუსეთის ვარიანტი აშკარად გადაჭარბებულია, ხოლო აშშ-ს ვარიანტი კი ფანტასტიკის საზღვრებში გადადის. საქმე ისაა, რომ უმუშევრობის საშუალოდ 6%-იანი დონის პირობებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1986-2000 წლებში აშშ-ში [7], ყოველწლიურად მშპ-ს 70%-იანი ზრდა შესაძლებლობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ (3)-(4) მოდელი შემდგომ სრულყოფას საჭიროებს, რადგანაც, ცალკეულ შემთხვევაში, მის საფუძველზე მიღებული შედეგები შეიძლება რეალობისაგან ძალიან შორს აღმოჩნდეს.

ერთობლივი გამოშვების საწარმო-ინსტიტუციური მოდელი

მოდელის აღწერილობა და თვისებები. ერთობლივი გამოშვების მოდელის აგებისას ორი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. პირველი, ნებისმიერ ეკონომიკაში პროდუქციის გამოშვების სიდიდე დამოკიდებულია არსებული ეკონომიკური რესურსების მოცულობაზე, ხარისხსა და ტექნოლოგიის დონეზე. ეს ფაქტორები ეკონომიკის საწარმო-ტექნოლოგიურ შესაძლებლობას განსაზღვრავს და, მათი საუკეთესო განაწილებისა და სრული გამოყენების შემთხვევაში, გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, რომელსაც სხვანაირად **პოტენციურ დონეს** ვუწოდებთ. მეორე, ეკონომიკაში არანაკლებ როლს ინსტიტუციური გარემო ასრულებს, რომლის შექმნაც სახელმწიფოს ფუნქციაში შედის. იმაზე დამოკიდებულებით, რამდენად სრულყოფილია ინსტიტუციური გარემო, ერთი და იმავე საწარმო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში გამოშვების მოცულობა განსხვავებული იქნება ნებისმიერი ორი ეკონომიკისათვის ან დროის ნებისმიერი ორი პერიოდისათვის. საუკეთესო, ანუ იდეალური ინსტიტუციური გარემოს შემთხვევაში ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვებები ერთმანეთს ტოლია. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, რეალურად არსებული ინსტიტუციური გარემო განსხვავდება მისი იდეალური ვარიანტისაგან, ამიტომ ეკონომიკის ფაქტობრივი ერთობლივი გამოშვების დონე პოტენციურს ჩამოუვარდება. უდავლაა, რომ ინსტიტუციური გარემოს შექმნაში, სხვა მრავალ მომენტთან ერთად, მნიშვნელოვან როლს დაბეგვრის არსებული სისტემა ასრულებს. მოდელურ დონეზე შეიძლება გავამარტივოთ სიტუაცია და დავეუშვათ, რომ სწორედ დაბეგვრის სისტემა არის ინსტიტუციური გარემოს შექმნის მთავარი ფაქტორი და ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევის განმსაზღვრელი. თუ ასეთ დაშვებას მივიღებთ, მაშინ ერთობლივი გამოშვების ფუნქცია $Y(t)$, ზოგად შემთხვევაში, შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ

$$Y(t) = Y_{pot} f(t), \quad (10)$$

სადაც Y_{pot} ეკონომიკის საწარმო-ტექნოლოგიური შესაძლებლობის გამომსახველი შედეგია. ფორმალური თვალსაზრისით, ამ უკანასკნელში განიხილება რაიმე სტანდარტული საწარმოო ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობა ოპტიმალური ინსტიტუციური გარემოს პირობებში. უფრო კონკრეტულად, Y_{pot} გამოსახავს პოტენციური გამოშვების მოცულობას არსებული ტექნოლოგიის პირობებში ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენების დროს. შემდგომ ვიგულისხმებთ, რომ ოპტიმალური ინსტიტუციური გარემო მიიღწევა საშუალო საგადასახადო განაკვეთის t^* მნიშვნელობისათვის. ასეთ განაკვეთს და მის შესაბამის დაბეგვრის რეჟიმს ოპტიმალურს ვუწოდებთ. გარდა ამისა, ყურადღებას მხოლოდ ორ აგრეგირებულ რესურსზე – შრომასა (L) და კაპიტალზე (K) გავაკეთებთ. მათი სრული გამოყენების მნიშვნელობებს შესაბამისად \bar{L} -ით და \bar{K} -ით აღვნიშნავთ. მაშასადამე, $Y_{pot} = Q(K, L)$, სადაც $Q(K, L)$ საწარმოო ფუნქციის ზოგადი ჩანაწერია;

$f(t)$ არის ინსტიტუციური ასპექტის ამსახველი ფუნქცია, ანუ ფუნქცია, რომელიც აღწერს გადასახადების ჯამური ეფექტის გაღვინას გამოშვებაზე. ეს ქცევის ფუნქციაა და მისი შინაარსიდან გამომდინარე, შემდეგ თვისებებს უნდა ფლობდეს:

1. $f(t)$ ზრდადია $[0, t^*]$ შუალედში და კლებადია $(t^*, 1]$ შუალედში. სხვანაირად, იგულისხმება, რომ საშუალო საგადასახადო განაკვეთის 0-დან t^* -მდე ზრდა ხელს უწყობს ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას და ეკონომიკური აქტიურობის ამადლებას, ხოლო t^* -დან 1-მდე ზრდა კი – გაუარესებას და შემცირებას;

2. ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთისათვის $f(t^*) = 1$. ეს მეტად მნიშვნელოვანი თვისება იმაზე მიუთითებს, რომ დაბეგვრის საშუალო განაკვეთი t^* ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნის საშუალებას იძლევა, რომლის დროსაც პროდუქციის გამოშვების ეფექტიანობას მთლიანად წარმოების ტექნოლოგიური ასპექტები განსაზღვრავს. მაშასადამე, ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთისათვის გამოშვება მაქსიმალურია და (10) შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Y(t^*) = Y_{pot} = \max Q(K, L) = Q(K, L).$$

3. აღსანიშნავია კიდევ ერთი თვისება, რომელიც სასურველია, რომ $f(t)$ -ს გააჩნდეს. კერძოდ, გადასახადების არარსებობისას, ე.ი. $t = 0$ -სათვის $f(0) = 0$, ხოლო თუ შექმნილი შემოსავალი მთლიანად ამოიღება გადასახადების სახით, ე.ი. თუ $t = 1$, მაშინ $f(1) = 0$. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მე-3 თვისებას მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება არ აკმაყოფილებდეს $f(t)$. მაგალითად, $t = 0$ შემთხვევისათვის $f(0)$ ნულისაგან განსხვავებული იქნება, თუკი ვიგულისხმებთ, რომ სახელმწიფოს საკუთარი საწარმოები გააჩნია და მათი მოგებიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე იგი ეკონომიკური ფუნქციების შესრულებას ახერხებს.

მოვიყვანოთ (10)-ის შესაბამისი ერთობლივი გამოშვების ფუნქციის მაგალითი, რომელშიც $f(t)$ -ს ექნება ზემოთ აღნიშნული თვისებები. ამ მიზნით პოტენციური გამოშვების Y_{pot} -ის როლში განვიხილოთ, მაგალითად, სტანდარტუ-

ლი მაკროეკონომიკური საწარმოო ფუნქციის მნიშვნელობა $Q(K, L)$ რესურსების სრული გამოყენების შემთხვევისათვის⁷, ხოლო $f(t)$ -ს ასაგებად კი გამოვიყენოთ (1)-ში შემავალი ენტროპიული ფუნქციის $(-t \ln t)$ განზოგადებული ვარიანტი

$$f(t) = -st^\delta \ln t^\delta, \quad (11)$$

მაშინ გვექნება:

$$Y(t) = Y_{\text{pot}} f(t) = Y_{\text{pot}} (-st^\delta \ln t^\delta) = Q(K, L) (-st^\delta \ln t^\delta), \quad (12)$$

სადაც δ სტატისტიკურად შესაფასებელი დადებითი პარამეტრია; e - ნეპერის რიცხვი (ნატურალური ლოგარითმის ფუძე).

აღვიღად შევნიშნავთ, რომ აღნიშვნის $Y_0 = Q(K, L) e\delta$ შემოდებით (12) გარეგნულად ზემოთ განხილულ (3) მოდელს დაემსგავსება. ამის მიუხედავად, ერთობლივი გამოშვების ეს ორი მოდელი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. საქმე ისაა, რომ (3)-ში მოცემულ Y_0 სიდიდეს (შესაბამისად, (12)-ში $Q(K, L) e\delta$ სიდიდეს) და $-t^\delta \ln t$ ფუნქციას კონკრეტული შინაარსი არ გააჩნია, მაშინ, როცა (12)-ში შემავალი როგორც Y_{pot} , ისევე $f(t) = -st^\delta \ln t^\delta$ ცხადი ეკონომიკური შინაარსის მქონეა.

(12)-ის შესაბამის საბიუჯეტო შემოსავლების ფუნქციას შემდეგი სახე გააჩნია

$$T(t) = tY_{\text{pot}} f(t) = Q(K, L) (-st^{\delta+1} \ln t^\delta). \quad (13)$$

შეიძლება ვახევნებთ, რომ (12)-(13) მოდელის პირობებში ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილების t^* -ს და t^{**} -ს მნიშვნელობები შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$t^* = \exp(-1/\delta), \quad t^{**} = \exp(-1/(\delta+1)).$$

გარდა ამისა, სამართლიანია შემდეგი პირობები:

$$\lim_{t \rightarrow 0} f(t) = 0, \quad f(t^*) = 1, \quad f(1) = 0.$$

ამიტომ, ერთობლივი გამოშვების (12) ფუნქციისათვის გვექნება:

$$\lim_{t \rightarrow 0} Y(t) = 0, \quad Y(t^*) = Y_{\text{pot}} = Q(K, L), \quad Y(1) = 0.$$

ხოლო საბიუჯეტო შემოსავლების (13) ფუნქციისათვის კი

$$\lim_{t \rightarrow 0} T(t) = 0, \quad T(t^{**}) = \frac{1}{\delta+1} Y_{\text{pot}} = \frac{1}{\delta+1} Q(K, L), \quad T(1) = 0.$$

როგორც ვხედავთ, t^* და t^{**} მთლიანად δ პარამეტრზეა დამოკიდებული. თუ δ პარამეტრი განისაზღვრება ეკონომეტრიკული ანალიზით დროითი მწკრივების საფუძველზე, მაშინ δ -სთან ერთად t^* და t^{**} დროის გარკვეული შუალედისათვის მუდმივი სიდიდე იქნება. უნდა აღვნიშნოთ, რომ დროის გარკვეული ხანგრძლივობისათვის t^* და t^{**} სიდიდეების უცვლელობა ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს, ვინაიდან ოპტიმალური საგადასახადო რეჟიმის ჩამოყალიბება გულისხმობს არა მარტო დაბეგერის შესაბამისი განაკვეთის დადგენას, არამედ ამ განაკვეთისათვის ეკონომიკური სუბიექტების შეგუებას, მის აღქმას იმ პარამეტრად, როგორადაც იგი უნდა მოგვევლინოს. ამავე დროს, არ

⁷ კერძო შემთხვევაში ასეთს შეიძლება წარმოადგენდეს კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის მნიშვნელობა $Q(K, L) = \gamma K^\alpha L^\beta$.

გამოვრიცხავთ δ , t^* და t^{**} სიდიდეების ცვლილების შესაძლებლობას მოკლევადიან პერიოდშიც. ეს განსაკუთრებით მაშინაა მისაღები, როცა ეკონომიკური აქტიურობის ხარისხზე, ფისკალურთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას სხვა ფაქტორებიც ახდენს.

მოდელის იდენტიფიკაცია. (12) ფუნქციის იდენტიფიკაციისათვის, რაც δ პარამეტრის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, საჭიროა გავგანხედეს დავირვების მონაცემები მოთიანი გამოშვების – $Y(t)$ -ს, საგადასახადო განაკვეთის – t -ს და გამოშვების პოტენციური დონის – Y_{pot} -ის შესახებ. ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი (Y_{pot}) არადაკვირვებადი, ანუ ლატენტური სიდიდეა, ამიტომ მისი მნიშვნელობის დადგენა გარკვეული მეთოდის შემუშავებას მოითხოვს. უმარტივეს შემთხვევაში შეიძლება მივმართოთ ოუკენის ფორმულას [13, გვ. 197], რომელიც ამყარებს შესაბამისობას უმუშევრობის დონესა და მიუღებელი მშპ-ს სიდიდეს შორის:

$$\frac{Y_{pot} - Y(t)}{Y_{pot}} = \lambda(u - u^*), \quad (14)$$

სადაც u უმუშევრობის არსებული (ფაქტობრივი) დონეა; u^* – უმუშევრობის ბუნებრივი დონე; λ – ოუკენის პარამეტრი. (14) შემდეგნაირად გარდავაქმნათ

$$Y(t)/Y_{pot} = 1 - \lambda(u - u^*). \quad (15)$$

(15)-ისა და (12)-ის შეჯვრებით მივიღებთ განტოლებას

$$\delta t^\delta = \frac{\lambda(u - u^*) - 1}{e \ln t}, \quad (16)$$

რომელშიც საძიებელი ცვლადია δ . ცხადია, (16) განტოლების გამოყენებას აზრი იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც ცნობილია λ -სა და u^* -ს მნიშვნელობები. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. როგორც წესი, უმუშევრობის ფაქტობრივი დონე u უმუშევრობის ბუნებრივ დონეს u^* -ს აღემატება. გამონაკლის შემთხვევაში ადგილი აქვს უტოლობას $u^* > u$, რაც, იმავდროულად, ნიშნავს, რომ გარკვეულ პერიოდებში ფაქტობრივი გამოშვება პოტენციურთან შედარებით უფრო მეტია. ასეთი სიტუაციის გათვალისწინება (16) განტოლების შემდეგ დაზუსტებულ ვარიანტს მოგვცემს

$$\delta t^\delta = \frac{\lambda(u - u^*) - 1}{e \ln t}, \quad u > u^*; \quad \delta t^\delta = -\frac{1}{e \ln t}, \quad u \leq u^*. \quad (16a)$$

δ პარამეტრის შეფასების ორი გზა არსებობს. ერთი მათგანი გულისხმობს (16) განტოლების განხილვასა და ამოსხნას ცალკე აღებული ყოველი საანალიზო წლისათვის. ამ შემთხვევაში, ყოველი წლისათვის მიიღება δ -ს შესაბამისი მნიშვნელობა. ასეთნაირად გამოთვლილ δ -ს, მის შესაბამის ფისკალურ t^* და t^{**} წერტილებს, აგრეთვე, ელასტიკურობის ϵ_t^Y და ϵ_t^T კოეფიციენტებს, რომლებიც შემდეგნაირად განისაზღვრება⁸

⁸ ელასტიკურობის აქ მოყვანილი ფორმულები ცოტა განსხვავებული სახითაც შეიძლება ჩავეწერთ. ამ მიზნით გავითვალისწინოთ მათში δ -ს მნიშვნელობა ჩვენთვის ცნობილი ტოლობიდან $t^* = \exp(-1/\delta)$. მივიღებთ

$$a_t^Y = \frac{\partial Y}{\partial t} \cdot \frac{t}{Y} = \delta + \frac{1}{\ln t}; \quad a_t^T = \frac{\partial T}{\partial t} \cdot \frac{t}{T} = (\delta + 1) + \frac{1}{\ln t},$$

პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მოკლევადიანი ფისკალური მახასიათებლები.

δ პარამეტრის შეფასების მეორე გზა ეკონომეტრიკულ მიდგომაზეა დაფუძნებული. მისი გამოყენებისათვის საჭიროა, (16) რეგრესიულ მოდელად გარდავიქნათ, რომელსაც შემდეგი არაწრფივი სახე გააჩნია

$$z_t^\delta = \delta t_t^\delta + \theta_t, \quad t = 1, 2, \dots, n, \quad (17)$$

სადაც θ_t შემთხვევითი სიდიდეა; n დაკვირვების რიცხვია; z_t მოდელში შემავალი მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრული ეგზოგენური სიდიდეა:

$$z_t = \frac{\lambda(u_t - u^*) - 1}{e \ln t_t}, \quad u_t > u^*; \quad z_t = -\frac{1}{e \ln t_t}, \quad u_t < u^*,$$

რომელიც (17)-ში დამოკიდებული, ანუ ასახსნელი ცვლადის როლს ასრულებს.

ცხრილი 2

აშშ-ს ეკონომიკის მოკლევადიანი ფისკალური მახასიათებლები

წელი	t	$\lambda = 3; u^* = 0.04$			$\lambda = 3; u^* = 0.06$		
		δ	t^*	t^{**}	δ	t^*	t^{**}
1986	0,2710	1,1515	0,4196	0,6283	0,9700	0,3567	0,6019
1987	0,2789	1,0200	0,3752	0,6095	0,8670	0,3156	0,5853
1988	0,2762	1,0368	0,3812	0,6120	0,7772	0,2762	0,5697
1989	0,2789	1,0210	0,3755	0,6067	0,7831	0,2789	0,5707
1990	0,2770	1,0515	0,3864	0,6142	0,7790	0,2770	0,5700
1991	0,2767	1,1552	0,4208	0,6288	0,9689	0,3563	0,6018
1992	0,2761	1,2010	0,4349	0,6349	1,0363	0,3810	0,6120
1993	0,2797	1,1700	0,4254	0,6308	0,9850	0,3623	0,6042
1994	0,2825	1,1120	0,4069	0,6228	0,8546	0,3103	0,5832
1995	0,2861	1,0757	0,3947	0,6177	0,7991	0,2861	0,5736
1996	0,2904	1,0710	0,3931	0,6170	0,8087	0,2904	0,5753
1997	0,2933	1,0220	0,3759	0,6098	0,8153	0,2933	0,5765
1998	0,2976	0,9770	0,3593	0,6030	0,8251	0,2976	0,5782
1999	0,3006	0,9310	0,3416	0,5958	0,8320	0,3006	0,5793
2000	0,3063	0,8480	0,3075	0,5821	0,8452	0,3063	0,5816

(17)-ის საფუძველზე შეფასებულ δ -ს, მის შესაბამის ფისკალურ t^* და t^{**} წერტილებს, აგრეთვე, საშუალო ელასტიკურობის კოეფიციენტებს

$$a_t^Y = \delta + \frac{1}{\ln t}; \quad a_t^T = (\delta + 1) + \frac{1}{\ln t},$$

$$a_t^Y = \frac{1}{\ln t} - \frac{1}{\ln t^*}; \quad a_t^T = 1 + \frac{1}{\ln t} - \frac{1}{\ln t^*}.$$

როგორც ვხედავთ, განხილული მოდელის პირობებში საგადასახადო ტვირთის მიმართ გამოშვებისა და საბიუჯეტო შემოსავლების ელასტიკურობა მთლიანად დამოკიდებულია ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთსა და ფაქტობრივ საგადასახადო განაკვეთს შორის არსებული განსხვავების ხარისხზე. ადვილად შევნიშნავთ, რომ, როცა $t^* \geq t$, მაშინ $a_t^Y \geq 0$ და $a_t^T \geq 1$. პირიქით, როცა $t^* < t$, მაშინ $a_t^Y < 0$ და $a_t^T < 1$.

სადაც $\bar{\pi}$ აღნიშნავს π -ს საშუალო პერიოდულ მნიშვნელობას, პირობითად გრძელვადიანი ფისკალური მახასიათებლები ვუწოდოთ.

(16) და (17) განტოლებებით (12) მოდელის აპრობაციისათვის და მოკლე და გრძელვადიანი ფისკალური მახასიათებლების გამოთვლის საილუსტრაციოდ, მივმართოთ, მაგალითად, აშშ-ს ეკონომიკის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს. ისევე, როგორც (3) მოდელის განხილვისას, ამ შემთხვევაშიც საანალიზო პერიოდად 1986-2000 წლები ავიღოთ. აშშ-ს ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური ინტერნეტსაიტი არ შეიცავს ინფორმაციას უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და ოუკეის λ პარამეტრის შესახებ, ამიტომ ამ მახასიათებლების როლში განვიხილოთ „პირობითი მნიშვნელობები“, რომლებიც მოცემულია თანამედროვე მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში. კერძოდ, ოუკენის კოეფიციენტის მნიშვნელობად ავიღოთ $\lambda = 3$, ხოლო უმუშევრობის ბუნებრივ დონედ კი – ორი მნიშვნელობა $u^* = 0,04$ და $u^* = 0,06$ (4%-იანი და 6%-იანი დონეები)⁹.

მე-2 ცხრილში მოყვანილია (16) განტოლების საფუძველზე გაანგარიშებული მოკლევადიანი ფისკალური მახასიათებლები უმუშევრობის 4%-იანი და 6%-იანი ბუნებრივი დონეების შემთხვევისათვის. აქვე მოცემულია საშუალო საგადასახადო განაკვეთის π -ს ფაქტობრივი მნიშვნელობები. მთლიანობაში, ცხრილში მოცემული ინფორმაციის ანალიზი რამდენიმე საინტერესო გარემოებაზე მიგვანიშნებს.

პირველი, უმუშევრობის ბუნებრივი დონის ორივე მნიშვნელობისათვის განხილულ პერიოდში აშშ-ს ეკონომიკაში არსებული საშუალო საგადასახადო განაკვეთის სიდიდე π არ აღემატება ამ განაკვეთის არც ოპტიმალურ სიდიდეს π^* -ს და არც მაქსიმალურ საგადასახადო შემოსავლების მომტან π^{**} -ს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ, მოდელის მიხედვით, აშშ-ს ეკონომიკაში ცალკეულ წლებში გადასახადების გაზრდით ეკონომიკური აქტიურობისა და გამომშვების გაზრდის შესაძლებლობა არსებობდა.

მეორე, არსებობს ფაქტობრივი და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაახლოების ტენდენცია. პირველ რიგში ეს იმით აიხსნება, რომ, საანალიზო პერიოდში, აშშ-ში მშპ-ს ზრდის პარალელურად, ადგილი ჰქონდა საგადასახადო ტვირთის ზრდას. ამის თვალსაჩინო ილუსტრირებას მე-2 ცხრილში მოყვანილი π -ს მნიშვნელობების ცვლილების კანონზომიერება იძლევა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ 15 წლიან პერიოდში π სისტემატურად იზრდებოდა და 2000 წლისათვის მატებამ, საწყის 1986 წელთან შედარებით, დაახლოებით 3 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფაქტობრივი და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაახლოებაში არანაკლები როლი შრომის ბაზარზე განვითარებული ტენდენციებმა ითამაშა. საქმე ისაა, რომ 1986-2000 წლებში უმუშევრობის დონე u საგადასახადო განაკვეთის საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლებოდა. თანდათანობით u -ს მნიშვნელობა იმდენად შემცირდა, რომ ეკონომიკა სრული დასაქმების მდგომარეობას მიუახლოვდა, რომელსაც, მოდელში მიღებული დაშვების თანახმად, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი π^* შეესაბამება. თუ ავაგებთ u -სა და π -ს შორის არსებული დამოკიდებულების ამსახ-

⁹ ლიტერატურის მიხედვით, განსახილველ პერიოდში აშშ-სათვის უმუშევრობის ბუნებრივი დონე 6%-ს შეადგენდა. ეს მნიშვნელობა დაახლოებით ემთხვევა 1986-2000 წლების უმუშევრობის დონის საშუალო წლიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება 4%-იან დონეს, მისი განხილვა მხოლოდ საანალიზო მიზნით განხორციელდა.

ველ რეგრესიის განტოლებას, მაღალი სტატისტიკური მნიშვნელოვნების მქონე შემდეგ მოდელს მივიღებთ

$$u = 0,30016 - 0,85396 t ; R^2 = 0,7204, F = 33,49, \\ (7,129341) \quad (-2,78742)$$

სადაც კოეფიციენტების ქვეშ მიწერილ ფრჩხილებში მოცემულია სტიუდენტის სტატისტიკის მნიშვნელობები. ის ფაქტი, რომ t -ს ზრდას შეესაბამება უმუშევრობის დონის შემცირება, სავარაუდოდ, შეიძლება მივიჩნიოთ მიწოდების თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატის – ოპტიმალურ დონემდე საგადასახადო ტვირთის ზრდა ეკონომიკურ აქტიურობაზე დადებითად აისახება – დამამტკიცებელ გარემოებად.

მესამე, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა t^* , სხვა თანაბარ პირობებში, დადებითად არის დამოკიდებული ციკლური უმუშევრობის დონეზე $(u - u^*)$ -ზე, რომელიც უმუშევრობის ფაქტობრივი და ბუნებრივი დონეების სხვაობით მიიღება: ერთი და იმავე t -ს პირობებში ციკლური უმუშევრობის მაღალ მნიშვნელობას t^* -ს მაღალი მნიშვნელობა შეესაბამება და, პირიქით, დაბალი $(u - u^*)$ -სათვის t^* -ს მნიშვნელობაც დაბალია. ამ კანონზომიერების ლოგიკური ახსნა ადვილია. საქმე ისაა, რომ მაღალი ციკლური უმუშევრობის დროს არსებული საგადასახადო განაკვეთისათვის ფაქტობრივი გამოშვების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება პოტენციურს, რომელიც სრული დასაქმების, ანუ ბუნებრივი უმუშევრობის მდგომარეობას შეესაბამება. ცხადია, ასეთ პირობებში წარმოების პოტენციური დონისა და სრული დასაქმების მისაღწევად საჭიროა საგადასახადო ტვირთის შესამჩნევი გაზრდა, რასაც t^* -ს მაღალ მნიშვნელობამდე მიყვავართ. სწორედ ამ ფაქტის დადასტურებაა ის გარემოება, რომ მე-2 ცხრილში უმუშევრობის ბუნებრივი დონის 4%-იან მნიშვნელობას t^* -ს უფრო მაღალი მნიშვნელობა შეესაბამება, ვიდრე 6%-იან მნიშვნელობას¹⁰.

განვიხილოთ ახლა (17) მოდელის იდენტიფიცირებული ვარიანტი, რომლითაც გრძელვადიანი ფისკალური მახასიათებლები განისაზღვრება. ამ მოდელის იდენტიფიკაციისას უმუშევრობის ბუნებრივი დონისათვის კვლავ ზემოთ აღნიშნული ორი მნიშვნელობა (0.04 და 0.06) განვიხილეთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ (17) თავისი ფორმით მიეკუთვნება არაწრფივ ეკონომეტრიკულ მოდელთა ჯგუფს, რომელთა შეფასებაც გაწრფივების პროცედურის გამოყენებით შეუძლებელია. ამიტომ (17)-ის შეფასებისათვის საჭიროა სპეციფიკური მიდგომის გამოყენება. კერძოდ, შეიძლება მივმართოთ

$$\phi = \sum_{t=1}^n (x_t - \beta t^{\phi})^2$$

ფუნქციას და მოვახდინოთ მისი მინიმიზება. რადგანაც ეს ფუნქცია ჩახნექილია β პარამეტრების მიმართ, ϕ -ს მინიმიზება შეიძლება იტერაციული პროცედურით განხორციელდეს. ამ მეთოდით, უმუშევრობის 4%-იანი ბუნებრივი დონის შემთხვევისათვის, (17)-ის შემდეგი იდენტიფიცირებული ვარიანტი მიიღება

$$\hat{x}_t = 1,0194t^{1,02184}, \quad t = 1, 2, \dots, n; \quad I = 0,81152, \quad A = 3,445\%.$$

¹⁰ უმუშევრობის მოცემული დონისათვის, რაც მცირეა u^* , მით დიდია ციკლური უმუშევრობის დონე.

იმავე მოდელს 6%-იანი უმუშევრობის ბუნებრივი დონისათვის შემდეგი სახე აქვს

$$\hat{x}_t = 0,9663x_t^{0,9663}, \quad t = 1, 2, \dots, n; \quad I = 0,86149, \quad A = 1,948\%$$

სადაც I დეტერმინაციის ინდექსია, ხოლო A – აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა.¹¹

მე-3 ცხრილში მოცემულია (17) მოდელის საფუძველზე მიღებული გრძელვადიანი ფისკალური მახასიათებლები. შედარებისათვის აქვე მოყვანილია (3)-(4) მოდელიდან მიღებული ანალოგიური მახასიათებლები. შეგახსენებთ, რომ \bar{E} აღნიშნავს \bar{x} -ს საშუალო პერიოდულ მნიშვნელობას, ხოლო $\frac{\sigma_{\bar{x}}}{\bar{x}}$ და $\frac{\sigma_{\bar{E}}}{\bar{E}}$ კი \bar{x} -ს მიმართ გამომშვებისა და საბიუჯეტო შემოსავლების საშუალო ელასტიკურობის კოეფიციენტებია.

ცხრილი 3

აშშ-ს ეკონომიკის გრძელვადიანი ფისკალური მახასიათებლები

	(17) მოდელის მიხედვით		(3)-(4) მოდელის მიხედვით
	$\lambda = 3$; $u^* = 0.04$	$\lambda = 3$; $u^* = 0.06$	
δ	1,0194	0,9663	1,91739
\bar{E}	0,28475	0,28475	0,28475
t^*	0,37495	0,35527	0,593604
t^{**}	0,60945	0,60136	0,7098
$\frac{\sigma_{\bar{x}}}{\bar{x}}$	0,22331	0,17021	1,1213
$\frac{\sigma_{\bar{E}}}{\bar{E}}$	1,22331	1,17021	2,1213

პირველი, რაც ამ ცხრილში ყურადღებას იქცევს, არის ის, რომ (3)-(4) და (17) მოდელებიდან მიღებული შედეგები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. უბრალო ვიზუალური ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ (3)-(4) მოდელი, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულად წარმოგვიდგენს საგადასახადო ტვირთის როლს ეკონომიკური აქტიურობის ამღვლეებისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის საქმეში. ამაზე საუბარი ზემოთ უკვე გვქონდა (3)-(4) მოდელის დახასიათებისას, ამიტომ აქ მეტს აღარ შევჩერდებით. რაც შეეხება (17) მოდელის (ანუ (12) მოდელის) შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ზომიერების ფარგლებშია მოქცეული. მართლაც, ეკონომიკისათვის, რომელშიც საშუალო საგადასახადო განაკვეთის ფაქტობრივმა მნიშვნელობამ 30%-ს გადაამეტა, სრულიად დასაშვებია, რომ, მაგალითად, 35-37%-ანი განაკვეთი იყოს ოპტიმალური. მით უმეტეს, რომ საგადასახადო ტვირთის ასეთი გადიდებისას წარმოების მოცულობის ზრდა არცთუ ისე დიდი იქნება. თუ ვისარგებლებთ მე-3 ცხრილში მოყვანილი მონაცემებით და (17) მოდელის მიხედვით გამოვითვლით თანაფარდობას მთლიანი გამომშვების ოპტიმალურ და ფაქტობრივ დონეებს შორის, მივიღებთ, რომ,

¹¹ ეს მახასიათებლები დაკვირვების მონაცემებთან შეფასებული განტოლების შესაბამისობის ხარისხს გამოსახავს, ამასთან

$$I = \sqrt{1 - \frac{\sum_{t=1}^n (x_t - \hat{x}_t)^2}{\sum_{t=1}^n (x_t - \bar{x})^2}}; \quad A = \frac{100}{T} \sqrt{\frac{1}{n} \sum_{t=1}^n (x_t - \hat{x}_t)^2}$$

I -ს და A -ს მიღებული მნიშვნელობები შეფასებული განტოლებების მონაცემებთან კარგ შესაბამისობაზე მიუთითებს.

ბუნებრივი უმუშევრობის 6%-იანი დონის შემთხვევაში, ოპტიმალური დაბეგვრის პირობებში (ანუ $t^* = 0,35527$ განაკვეთისათვის), გამოშვების მოცულობა არსებულთან შედარებით საშუალოდ 2,03%-ით გაიზრდებოდა, რაც, ჩვენი აზრით, რეალობასთან ახლოს მდგომი სიდიდეა¹².

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arthur B. Laffer, "The Laffer Curve: Past, Present, and Future," Heritage Foundation Backgrounder #1765 (1 June 2004).
2. Гусаков С. В. Жак С.В. Оптимальные равновесные цены и точка Лаффера. Экономика и математические методы. 1995, № 4.
3. Балацкий Е.В. Эффективность фискальной политики государства. Проблемы прогнозирования. 2000, № 5.
4. Балацкий Е.В. Анализ Влияния налоговой нагрузки на экономический рост с помощью производственно-институциональных функции. Проблемы прогнозирования. 2003, № 2.
5. Папава В. Г. Лафферов эффект с последствием. Мировая экономика и международные отношения, 2001, № 7.
6. ლოლაძე გ. ლაფერის მრუდის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. მიკრო-მაკრო ეკონომიკა, 2002, №9.
7. www.bea.gov – აშშ-ს ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტი.
8. www.statistics.gov.uk – დიდი ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკური სამსახურის ოფიციალური საიტი.
9. www.scb.se – შვედეთის სტატისტიკური ბიუროს ოფიციალური საიტი.
10. www.minfin.ru – რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური საიტი.
11. Балацкий Е.В. Оценка влияния фискальных инструментов на экономический рост. Проблемы прогнозирования. 2004. № 4.
12. ანანიაშვილი ი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე. ეკონომიკა და ბიზნესი. 2008, №6.
13. Макроэкономика. Под ред-ей Тарасевича Л. С. СПбГУЭФ, 1999.

Iuri Ananiashvili

Doctor of Economic Sciences, Professor

MODELS OF FISCAL PARAMETRES ESTIMATION

Summary

In the article are analyzed the definition models of first and second type Laffer's fiscal points. Theoretical conclusions are proved by calculations which were made on the basis of the statistical data of the USA, the Great Britain, Sweden and Russia. For calculation of the optimum tax rate, is offered and approved the model of following kind

$$Y(t) = Y_{pot} f(t),$$

where $Y(t)$ is gross output function, dependent on tax rate; Y_{pot} is potential level of gross output, which is defined by industrial-technological possibilities of economy; $f(t)$ is institutional function, which characterises the influence of summed tax effect on gross

¹² ეს მახვენებელი ბუნებრივი უმუშევრობის 4%-იანი დონის შემთხვევისათვის 3,4%-ს შეადგენს.

output. $f(t)$ function is equal to 1 and actual output reaches the level of potential output when tax rate is optimal. In other cases $0 \leq f(t) < 1$. Econometric calculations have shown, that $f(t) = 2,62668t^{0,9668} \ln t$ for the USA during 1986-2000 years, herewith optimum value of tax rate made 0,35527 and exceeded to its average actual level a little. Therefore, by our calculations, in the considered period the USA annually received less on the average about 2 % of gross domestic product because of the wrong fiscal policy.

მენეჯმენტი

აზიკო სისვაძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი
დიდა ოქროპირიძე
ბიზნესის მართვის მაგისტრი*

მოტივაცია – წარმატებული მენეჯმენტის საფუძველი

პრობლემის აქტუალობა. თანამედროვე ბიზნესში წარმატებული საქმიანობის ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფენ: პირველი, გამართული მენეჯმენტი და მეორე, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების უწყვეტი დანერგვა. მათ შორის პრიორიტეტი მენეჯმენტს ეკუთვნის, რადგან ყოველგვარი, თვით უნიკალური ტექნიკა ადამიანური ფაქტორისა და ეფექტიანი მენეჯმენტის გარეშე უსიცოცხლო ნივთების გროვას წარმოადგენს. მენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია კი მოტივაციაა, რომელიც ადამიანებს წარმატებული შრომისათვის შინაგანად განაწყოებს. ამ გარემოების უგულვებელყოფას შეუძლია, ბიზნესის სრული კრახი გამოიწვიოს.

მოტივაციის ფაქტორი არა მარტო ბიზნესის ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის შედეგებს განსაზღვრავს, არამედ ქვეყნის ეკონომიკის პროგრესული განვითარების შესაძლებლობასა და მის ბედსაც კი. როდესაც ქვეყანაში დამკვიდრებული ეკონომიკური სისტემა ამოწურავს სამეურნეო აქტიურობის, მათ შორის შრომის მოტივაციის შესაძლებლობას, იგი ევოლუციური ან რევოლუციური გზით გარდაუვალად იცვლება ახალი პროგრესული ეკონომიკური სისტემით, რომელიც უფრო ეფექტურ მოტივაციას უზრუნველყოფს. იგივე ითქმის ცალკეული სამეურნეო სუბიექტების მიმართაც – მართვის პროცესში გამოყენებული მოტივაციის მექანიზმის ეფექტიანობის დონე ბიზნესის გაკოტრებას ან აყვავებას განაპირობებს.

ქართულ ბიზნესსა და მენეჯმენტში დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოტივაციის თანამედროვე მეთოდები ხშირად უგულვებელყოფილია და ყურადღება მხოლოდ შიშველ ადმინისტრირებას ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოტივაციის უკვე მოძველებულ ეკონომიკურ მეთოდებზეა გადატანილი. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ და მოტივაციის თანამედროვე მეთოდების შესწავლამ დაასაბუთა, რომ ეკონომიკური მოტივაცია ნაყოფიერი შრომის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს. დასახული მიზნის მისაღწევად, ბიზნესში შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქნილ სისტემასთან ერთად, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მოტივაციის არა-ეკონომიკური მეთოდებიც.

მოტივაციის ბუნება. მოტივი მოთხოვნილებებით გამოწვეული ადამიანის ისეთი ფსიქოლოგიური განწყობაა, რომელიც, შინაგანი ობიექტური იძულების ფორმით, მის მრავალფეროვან სამეურნეო ქცევათა კომპლექსს განსაზღვრავს. მოტივები ადამიანთა სულის უფაქიზესი მგრძნობიარე სიმებია, რომელზე ზემოქმედებითაც ადამიანთა უზარმაზარი კოლექტივების ყველაზე ეფექტიანი ნებაყოფლობითი მართვაა შესაძლებელი. მოტივი შეიძლება შეგადართო მხეს, რომლის გარშემო მთელი კაცობრიობა ტრიალებს. იგი ადამიანებს მუხტავს ამოუწურავი ენერგიით, რომლის საშუალებით ისინი თავიანთ დიად მატერიალურ და სულიერ საქმეებს სწადიან. ამ პირობებში მოტივაცია გვევლინება, როგორც საკუთარ და სხვა ადამიანთა მრავალფეროვან ინტერესებზე ზემოქმედების გზით განსაზღვრული სამეურნეო მიზნების მისაღწევად წარმართული უადრესად ჰარმონიული და ორმხრივ სასარგებლო პროცესი.

ადამიანთა ქცევის მოტივები, ერთი მხრივ, მათი მოთხოვნილებათა შედეგია, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონაა მიზეზი ადამიანის შემდგომი ფსიქიკური

და სამეურნეო ქმედებისა: იგი იწყებს ინტენსიურ ეკონომიკურ აზროვნებას, ეუფლება შრომით ჩვევებს და სათანადო ცოდნას, ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას და ხდება ქონების მესაკუთრე, რომლის ერთ ნაწილს აგროვებს, ხოლო მეორე ნაწილს მოიხმარს. მაგრამ ეს პროცესი ამით არ მთავრდება. უსაზღვრო მოთხოვნილებები და არასაკმარისი მოხმარება მუდმივი დაუკმაყოფილებლობის მძაფრ ფსიქოლოგიურ განცდას ბადებს, რაც ადამიანის სამეურნეო ქცევათა ახალი უწყვეტი ჯაჭვის წარმოშობას განაპირობებს [3, გვ. 107-111].

მოტივაციის საფუძველი ადამიანთა ეგოისტური მოთხოვნილებებია, რაც ყოველდღიურ ყოფაში ხშირად უარყოფით მოვლენად აღიქმება. მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, თვალსაზრისი კი ამ საკითხზე სრულიად განსხვავებულია. ქცევის ეგოისტური მოტივი ძირითად ნაწილში ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ინდივიდის, თანდაყოლილი ბუნებრივი ინსტინქტია, რომელიც თვითშენარჩუნებაზე, პირად გამორჩენასა და სხვებთან შედარებით საკუთარი ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებაზეა მიმართული. მაგრამ, თუ ასეთი ინტერესები სხვებისათვის სამსახურის გაწევით კმაყოფილდება, ეს არა მარტო ბუნებრივი, არამედ, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, სასიცოცხლოდ აუცილებელი მოვლენაცაა. ეგოიზმი იმ შემთხვევაში ხდება უზნეო და სახიფათო, როდესაც იგი ზიანს აყენებს სხვა ადამიანებს და მთლიანად საზოგადოებას.

ეგოიზმი ხშირად ამბიციებთან და ლიდერობისაკენ სწრაფვასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ესეც არ არის საშიში, თუ ეს ადამიანის პიროვნულ მონაცემებს არ აღემატება. პირიქით, ჭკვიანმა მენეჯერმა ხელქვეითთა ასეთი მიდრეკილებები ყოველმხრივ უნდა წახალისოს და მოტივაციის ინსტრუმენტად გამოიყენოს. შესაბამისად, დასაბუთებული ამბიციურობა და ძალაუფლების მოთხოვნილება არ უნდა გავაიგივოთ კარიერის მიზანით მისი უარყოფითი მნიშვნელობით [6, გვ. 347]. კარიერის მიზანით ძალაუფლებისაკენ მიდრეკილების მქონე პიროვნების ბუნებრივი და, ამავე დროს, საზოგადოებრივად სასარგებლო თვისებაა, რადგან ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობის კოორდინაცია და სასურველი მიმართულებით წარმართვა მხოლოდ შესაბამისი მოტივაციის მქონე ლიდერის შემთხვევაშია შესაძლებელი. იგი უზნეობად და საშიშად მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც ადამიანები ძალაუფლების მოპოვებას ამორალური, უკანონო, ავანტიურისტული მეთოდებით ცდილობენ და მისაღწევი თანამდებობა მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და განათლების დონეს მნიშვნელოვნად აღემატება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ძალაუფლების მოყვარული პიროვნებათა ინტელექტი, განათლების დონე, ზნეობრივი თვისებები და მისაღწევი თანამდებობისადმი წაყენებული მოთხოვნები ერთმანეთთან ჰარმონიაშია, ორგანიზაციამ მათ სწრაფვას მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი და საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს.

თუ კარიერისტული მიდრეკილებების მქონე თანამდებობის პირი არაკვალიფიციურია, ადგილის დაკარგვის შიშით იგი შეეცდება, ხელქვეითებად თავისზე დაბალი დონის ინტელექტისა და განათლების მქონე თანამშრომლები აიყვანოს. ცხადია, ამ პირობებში წარმატებული მენეჯმენტის არსებობა და ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობა გამორიცხებულია. ამიტომ ორგანიზაციამ ასეთი კადრების დაწინაურებისაგან არა მარტო თავი უნდა შეიკავოს, არამედ ისინი სასწრაფოდ უნდა ჩამოაშოროს მმართველობას.

მოტივაციის კონცეფციათა ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოტივაციის მრავალი ეფექტური კონცეფციაა დამუშავებული, მოტივაციის ერთიანი, ყველა ქვეყნისათვის მისაღები სისტემა არ არსებობს, რადგან მოტივაციის ცალკეული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, ეროვნულ თავისებურებებსა და ადამიანთა ინდივიდუალურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. ცალკეულ ადამიანთა მოთხოვნილებების სტრუქტურა და შესაბამისი მოტივები ისევე განსხვავებული და სპეციფიკურია, როგორც მათი თითის ანაბეჭდი [2, გვ. 613]. ამიტომ მოტივაციის პროცესში მე-

ნეჯერმა თითოეული ადამიანის პრიორიტეტული მოთხოვნილებები და ქცევის სპეციფიკური მოტივები ინდივიდუალურად უნდა შეისწავლოს. ეს კი მოტივაციის არსებულ კონცეფციათა საფუძვლიან ანალიზს მოითხოვს, პირველ რიგში კი საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიღწეული დონის გათვალისწინებით.

თანამედროვე მენეჯმენტში მოტივაციის კონცეფციათა ორ მიმართულებას გამოყოფენ: შინაარსობრივს და პროცესუალურს [6, გვ. 340]. შინაარსობრივი კონცეფციების საფუძველია ადამიანთა ის შინაგანი ობიექტური მოთხოვნილებები, რომლებიც მათ კონკრეტულ სამეურნეო ქცევას განსაზღვრავს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. მასლოუს, დ. მაკკლელანდის და ფ. ჰერცბერგის შრომები. პროცესუალური კონცეფციები ემყარება ადამიანთა ქცევას მათი სუბიექტური აღქმისა და ცნობიერების შესაბამისად.

შინაარსობრივი კონცეფციებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მასლოუს კონცეფცია, რომელიც უკვე გასცდა მენეჯმენტის თეორიის საზღვრებს და სხვა სოციალურ მეცნიერებებშიც წარმატებით გამოიყენება.

მასლოუს კონცეფციის შესაბამისად არსებობს მოტივაციის პროცესის საერთო კანონზომიერებები, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა ემორჩილება. კერძოდ, მათი მოთხოვნილებები და შესაბამისი ქცევის მოტივები შემოსავლებზე დამოკიდებული. დაბალი შემოსავლების პირობებში ადამიანებს ძირითადად მატერიალური მოტივები ამოძრავებთ, ხოლო მაღალი შემოსავლების პირობებში სოციალური და სულიერი მოტივები ხდება პრიორიტეტული. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ერთი და იმავე შემოსავლების პირობებში ცალკეულ პიროვნებებს შეიძლება სრულიად განსხვავებული მოთხოვნილებები ჰქონდეთ.

შემოსავლების ზრდის კვალობაზე ადამიანთა მოთხოვნილებები განსაზღვრული თანმიმდევრობით წარმოიშობა. ინდივიდთა უმრავლესობას, უპირველესად დაბალი დონის მატერიალური მოთხოვნილებები უზნდება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი დაკმაყოფილდებიან, პრიორიტეტული თანმიმდევრობით უფრო მაღალი დონის სოციალური და სულიერი მოთხოვნილებები და მოტივები უზნდებათ. შემოსავლების კლების პირობებში კი ეს პროცესი უკუმიმართულებით წარიმართება.

ამდენად, მასლოუს კონცეფციის თანახმად არსებულ მოტივთა შორის პირველადია მატერიალური მოტივები, რადგან, თუ არ კმაყოფილდება ადამიანთა დაბალი რიგის ცხოველურ-ბიოლოგიური მოთხოვნილებები, არ წარმოიშობა მაღალი რიგის ადამიანური მოტივები. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მუდმივად მშვიერ, შეციებულ ადამიანს მეგობრებთან სასიამოვნო ურთიერთობისა და თეატრში წასვლის სურვილი გაუზნდეს. აქედან გამომდინარეობს მატერიალური მოტივების პირველადობა და სოციალური და სულიერი მოტივების მეორადობა, თუმცა სწორედ ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ადამიანთა ცივილიზებულიობის და განვითარების დონის შეფასების კრიტერიუმს.

მაკკლელანდის მოთხოვნილებათა კონცეფციით ადამიანთა ქცევის განმსაზღვრელია სამი სახის სოციალური მოთხოვნილება: ძალაუფლების, წარმატების და თანამონაწილეობის.

ძალაუფლების მოთხოვნილება განიხილება, როგორც ადამიანთა ისეთი შინაგანი განწყობა, რომელიც სხვა ადამიანებზე ზემოქმედებისაკენაა მიმართული. მმართველობაში სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ მოზიდული, რადგან ეს ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, მიადწიოს საკუთარ მიზანს მენეჯერთა შინაგანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობებში, რაც ორივე მხარის ინტერესთა ერთიანობას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კანდიდატურას უხეში ავტორიტარიზმისაკენ არ აქვს მიდრეკილება.

წარმატების მოთხოვნილება კმაყოფილდება არა მარტო მატერიალური წახალისებითა და ხელმძღვანელთა მხრიდან ხელქვეითთა დამსახურებისა და სტატუსის აღიარებით, არამედ სამუშაოს წარმატებული დასრულების შედეგად მიღებული შინაგანი სიამოვნებით. ასეთი ადამიანები სრული დატვირთვით არასოდეს იმუშავებენ, თუ არ მიეცემათ ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობა და არ მიიღებენ ღირსეულ ჯილდოს მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

თანამონაწილეობის მოთხოვნილება პიროვნებებს განაწყოებს, იყენენ გარკვეული წრის წევრები, დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები და დაეხმარონ ერთმანეთს. ორგანიზაციამ ასეთი ადამიანები ჯგუფურად უნდა დაასაქმოს ისეთ სამუშაოებზე, სადაც მათ სოციალური ურთიერთობებისა და პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის შესაძლებლობა ექნებათ.

ჰერცბერგის კონცეფცია თვლის, რომ ადამიანის აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილება შრომაა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს და ხელს უწყობს მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ამასთან, შრომით დაკმაყოფილებას და ნაყოფიერების ზრდას ხელს უწყობს მაღალი ანაზღაურება, დამსახურების აღიარება, შრომის პროცესით ტკბობა, სამსახურებრივი და პროფესიული ზრდა, საკუთარი უნარის გამოვლენის შესაძლებლობა, შემოქმედებითი სამუშაო, შრომის ესთეტიკური გარემო, კოლექტივში დამკვიდრებული მეგობრული ურთიერთობები და სხვა.

შრომით დაკმაყოფილებას და მის შედეგიანობას ხელს უშლის მართვის უხეში ავტორიტარული სტილი, სამუშაოს დაკარგვის შიში, შრომის ცუდი პირობები და არაესთეტიკური გარემო, ხელმძღვანელობის მხრიდან უპატივცემლობა, უსამართლობა, კოლექტივში დამკვიდრებული დაძაბული ურთიერთობები, დაბალი ხელფასი და სხვა.

თუ მოტივაციის შინაარსობრივი კონცეფციები თვითონ მოტივაციის ბუნებასა და მოთხოვნილებებზე ამახვილებს ყურადღებას, პროცესუალური კონცეფციები მოტივაციის წარმოშობის მექანიზმს ხსნის და ამ საფუძველზე მოტივაციის უფრო სრულყოფილ მეთოდებს გვთავაზობს. ეს კონცეფციები არ უარყოფს ადამიანთა ობიექტური მოთხოვნილებების მნიშვნელობას მოტივაციის პროცესში, მაგრამ თვლის, რომ გადამწყვეტ როლს თამაშობს სუბიექტური ფაქტორები, როგორცაა პიროვნული თავისებურებები, ორგანიზაციაში თანამშრომლის მიერ დასახული მიზნების აღსრულების შესაძლებლობა, ანაზღაურებისა და დაჯილდოების მექანიზმის სამართლიანობა, ნაყოფიერად დახარჯული შრომისათვის დამსახურებული და თანაც მხოლოდ სასურველი ჯილდოს მიღების მოლოდინი და სხვა.

მოტივაციის პროცესუალურ კონცეფციებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მოლოდინის თეორია, სამართლიანობის თეორია და პორტერ-ლოუერის მოდელები.

მოლოდინის კონცეფციის ავტორად ითვლება ვ. ვრუმი, რომლის მიხედვით, ადამიანთა სამეურნეო ქცევის ძირითადი მოტივატორია რაიმე სასურველი მიზნის მიღწევის მოლოდინი. ეს უკანასკნელი კი განიხილება, როგორც დასახული მიზნის მიღწევის ალბათური შესაძლებლობის პიროვნებისეული შეფასება, რაც მოვლენათა განსაზღვრული ჯაჭვით ვამოისახება:

შრომის დანახარჯები → შედეგი → ჯილდო → კმაყოფილება (ვალენტობა).

პროცესის –**შრომის დანახარჯები → შედეგის** მოლოდინის არსი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი თავისი ძლისხმევის შედეგად რაიმე ცხოვრებისეულ მიზანს, მაგალითად, აღიარებას და მაღალ თანამდებობას მიაღწევს.

პროცესის დროს –**შედეგი → ჯილდო**, პიროვნება ელოდება, რომ კეთილსინდისიერი შრომის შედეგად მისი ღვაწლი დაფასდება და იგი ღირსეულ ფულად ანაზღაურებას მიიღებს.

პროცესში – ჯილდო → კმაყოფილება (ვალენტობა), პიროვნება ელოდება არა რაღაც აბსტრაქტულ ჯილდოს, არამედ ისეთს, რომელიც მის მიზნებსა და გემოვნებას შეესაბამება.

ამ თეორიის თანახმად, მოტივაციის პროცესი მხოლოდ მაშინ შედგება, როდესაც მოვლენათა მთელი აღწერილი ჯაჭვი შეუფერხებლად ფუნქციონირებს და არ არსებობს სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე მას ხელს შეუშლის.

სამართლიანობის კონცეფციის შესაბამისად, თანამშრომლები თავის ძალისხმევას ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევაზე ორი ფაქტორის გათვალისწინებით წარმართავენ:

პირველი, მათი სუბიექტური შეფასებით რამდენად შეესაბამება მიღებული ჯილდო დახარჯულ შრომას;

მეორე, თანამშრომლის აზრით, რამდენად სამართლიანად გაიცემა ჯილდო სხვებზე, რომელთა მიერ დახარჯული შრომა მისი ძალისხმევის ტოლფასია.

თუ თანამშრომელი აღმოაჩენს, რომ მის მიერ დახარჯული შრომა მიღებულ ჯილდოს მნიშვნელოვნად აღემატება ან ტოლფასი შრომისათვის სხვები იმავე კვალიფიკაციის პირობებში გაცილებით მეტ გასამრჯელოს იღებენ, მას დაეუფლება უსამართლობის ფსიქოლოგიური განწყობა და შეეცდება, შრომის ტემპი და ხარისხი შეამციროს. ეს კი ორგანიზაციის ეფექტიანობის დონეს მნიშვნელოვნად დასცემს. ამ შემთხვევაში ორგანიზაციას ერთადერთი გამოსავალი რჩება – მან ყოველი კონკრეტული თანამშრომლისათვის სრულ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს მის მიერ დახარჯული შრომა და მიღებული გასამრჯელო და, ამასთან, სხვა თანამშრომლებთან მიმართებით არ დაუშვას უსამართლობა მეტი ანაზღაურების თვალსაზრისით. ასევე არასასურველ შედეგებს იძლევა ჭარბი ანაზღაურება გაწეული შრომის გადამეტებით. ამ შემთხვევაშიც თანამშრომელს უფრო ნაყოფიერი შრომის მოტივები უქრება – იგი ეცდება შრომის ტემპი უწინდელ დონეზე შეინარჩუნოს. ამდენად, სამართლიანობის თეორიის ძირითადი პრინციპია: თანაბარი ანაზღაურება – თანაბარი კვალიფიკაციისა და ტოლფასი დახარჯული შრომისათვის.

პორტერ-ლოულერის მოდელში გაერთიანებულია მოლოდინის და სამართლიანობის თეორიების ძირითადი შედეგები, რომლის შესაბამისად, თანამშრომლის მიერ მიღწეული შედეგები განსაზღვრულია მისი პროფესიონალიზმით, დახარჯული შრომით და ორგანიზაციაში თავისი როლის აღქმით. თავის მხრივ, გაწეული ძალისხმევის ოდენობა დამოკიდებულია მისაღები ჯილდოს მისეულ შეფასებასა და რწმენაზე, რომ ეს ძალისხმევა ღირსეულად დაფასდება. მოტივაციის გამართული მექანიზმის პირობებში ადამიანის მოთხოვნილებები ორგანიზაციის კმაყოფილდება. ჯერ ერთი, იგი სიამოვნებას განიცდის მიღწეული წარმატებების გამო და, მეორე, მისი წარმატებები სათანადოდ ჯილდოვდება ხელმძღვანელობის მიერ. შესაბამისად მიღებული ჯილდო ორმხრივია:

პირველი, შინაგანი ჯილდო, რომელიც მიიღწევა საკუთარი წარმატებით სიამოვნების, კომპეტენტურობის განცდისა და თვითპატივისცემის გამო;

მეორე, გარეგანი ჯილდო, რომელიც მან დაიმსახურა ხელმძღვანელობის მხრიდან მაღალი ხელფასის, პრემიის, დამსახურების აღიარების თუ დაწინაურების ფორმით.

პორტერ-ლოულერის მოდელის თანახმად, მოტივაციის აღწერილი მექანიზმი წარმატებით და შეუფერხებლად იმუშავებს მხოლოდ მაშინ, თუ თანამშრომლის მიერ მიღებული ჯილდო მისი სუბიექტური აღქმითა და შეფასებით სამართლიანია და, ამავე დროს, ღირებული. ამ კონცეფციით შრომის მაღალი შედეგიანობა ადამიანთა მოთხოვნილებების სრული კმაყოფილების მიზეზი და არა პირიქით, როგორც ეს მასლოუს კონცეფციით იგულისხმება – მაღალი სა-

მეურნეო შედეგები მხოლოდ ადამიანთა პრიორიტეტული მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად მიიღწევა.

მოტივაციის არსებული კონცეფციების განხილვა გვიჩვენებს, რომ შესაბამისი მეთოდის არჩევა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებასა და, შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლების დონეზეა დამოკიდებული. კერძოდ, დაბალ-განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც შემოსავლები შედარებით მცირეა, ეფექტურად იმოქმედებს მოტივაციის ეკონომიკური მეთოდები, რომელთა საფუძველი მასლოუს და პროცესუალური კონცეფციებია, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ადამიანთა მატერიალური მოთხოვნები საკმაოდ მაღალ დონეზე კმაყოფილდება, უპირატესობა არაეკონომიკური მოტივაციის მეთოდებს ენიჭება, რომლებიც ადამიანთა სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებებზე ზემოქმედებას ემყარება. ამ შემთხვევაში უფრო ეფექტურია მაკლელლანდის და ჰერცბერგის კონცეფციათა გამოყენება. თუმცა აღნიშნული კონცეფციები, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, კომპლექსურადაც შეიძლება დაინერგოს.

მოტივაციის ეკონომიკური მეთოდები და მათი ეფექტიანობა. ეკონომიკური მოტივაციის მთავარი იარაღის – ხელფასის – ჩამოყალიბების საბაზრო მექანიზმის შესწავლა გვიჩვენებს, რომ დროის მოკლევადიან მონაკვეთში მისი ოდენობა ორგანიზაციის ნება-სურვილზე კი არაა დამოკიდებული, არამედ, ამ სფეროში არსებულ იურიდიულ ნორმებსა და შრომის ბაზრის საკმაოდ მკაცრ პირობებზე. კერძოდ, ხელფასი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმუმზე ნაკლები, ხოლო ფაქტობრივი ხელფასის გაზრდას საბაზრო წონასწორული ხელფასის ზემოთ, შეუძლია ფირმის ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა და, შესაბამისად, მისი ზარალიანობის გამოწვევა. იმ შემთხვევაში კი, თუ ორგანიზაციაში დაწესებული ხელფასის განაკვეთები შრომის საბაზრო ფასზე ნაკლები იქნება, ეს მაღალკვალიფიციური კადრების გადინებას და შესაბამის დანაკარგებს გამოიწვევს [4, გვ. 174-180].

დროის გრძელვადიან მონაკვეთში ხელფასის ზრდას ზღუდავს საკმაოდ მკაცრი პრინციპი, რომლის შესაბამისად ორგანიზაციაში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს არ უნდა აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითღირებულებაში შრომის დანახარჯები იმდენად გაიზრდება, რომ ეს წარმოების ეფექტიანობის და შესაბამისად მოგების მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს. ამდენად, როგორც დროის მოკლევადიან, ისე გრძელვადიან მონაკვეთში მხოლოდ ხელფასის საშუალებით შრომის მოტივაციის შესაძლებლობები შეზღუდულია.

ამ პირობებში დროის მოკლევადიან მონაკვეთში რჩება ეკონომიკური მოტივაციის ყველაზე ეფექტიანი საშუალება – ზემოგების ნაწილის გამოყოფა პრემირების მოქნილი სისტემის დასაწერად, სადაც თითოეული თანამშრომლის წვლილი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. ამასთან, იმისათვის, რომ მოტივაციის მექანიზმმა მაქსიმალური უკუგებით იმუშაოს, ზემოგებაში პრემირების ფონდის წილი არ უნდა იყოს ორგანიზაციის ნორმალური მოგებისა და ხელფასის ფონდის ჯამში ხელფასის ფონდის ხვედრით წილზე ნაკლები. მაგრამ აქ თავს იჩენს საკმაოდ წინააღმდეგობრივი პრობლემა – პრემირების სისტემის დანერგვისათვის ორგანიზაციამ ზემოგება უნდა მიიღოს, ხოლო ზემოგების მიღება თანამშრომელთა აქტიური მოტივაციის გარეშე უაღრესად ძნელია.

ამ პირობებში ორგანიზაციას შემდეგი გამოსავალი რჩება:

პირველი, პრემირება უნდა განხორციელდეს ბიზნესმენის საკუთარი შემოსავლის ხარჯზე, რომელიც მისი კუთვნილი კაპიტალის გამოყენებიდან მიიღება. ამას კი ის საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს;

მეორე, გამოყენებულ იქნეს მოტივაციის არაეკონომიკური მეთოდები;

მესამე, ორივე ეს ღონისძიება ერთდროულად დაინერგოს.

ცხადია, პირველი და მეორე ღონისძიება ცალ-ცალკე ნაკლებად შედეგიანი იქნება. მაქსიმალური ეფექტი მხოლოდ მოტივაციის ეკონომიკური და არა-ეკონომიკური მეთოდების კომპლექსური გამოყენებით მიიღწევა.

ორგანიზაციაში მოტივაციის რაციონალური სისტემის დანერგვა ეფექტიანობის შესაბამისი მანქვანებლების არსებობას მოითხოვს, რაც ჯერ კიდევ დასამუშავებელია. ამიტომ სტატიის ავტორები შეეცადნენ, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაედგათ. ეფექტიანობის თეორიის უზოგადესი პრინციპებიდან გამომდინარე, რაიმე ღონისძიების ეფექტიანობა გამოითვლება ამ ღონისძიების განხორციელებით მიღებული შედეგის შეფარდებით გაწეულ დანახარჯებთან. ჩვენს შემთხვევაში მოტივაციაზე, კერძოდ ზემოგებიდან პრემირებაზე გაწეული დანახარჯები განიხილება, როგორც მოკლევადიანი ინვესტიციები, რომელმაც ორგანიზაციას განსაზღვრული შედეგი – დამატებითი მოგება უნდა მოუტანოს. ამ პირობებში მოტივაციის ეფექტიანობა გამოითვლება დროის ერთეულში ამ ღონისძიების შედეგად მიღებული მოგების შეფარდებით გაწეულ დანახარჯებთან:

$$fm = \frac{TP}{Cm} = \max$$

სადაც fm არის მოტივაციაზე გაწეული ხარჯების ერთეულზე მიღებული მოგება;

TP – მოტივაციის შედეგად მიღებული მოგება;


Cm – მოტივაციაზე გაწეული ხარჯები.

მოტივაციის ბუნებიდან გამომდინარე, შესაბამისი სისტემა ეფექტიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დროის ერთეულში მოტივაციის შედეგად მიღებული მოგება მასზე გაწეულ დანახარჯებს აღემატება, რადგან ამ შემთხვევაში ხარჯები მოგების ხარჯზე ფინანსდება. ხოლო თუ ამ ხარჯებმა კი თავისზე მეტი მოგება არ მოიტანა, მოტივაციის სისტემის არსებობას აზრი არ აქვს. ე.ი. $TP > Cm$ და აქედან გამომდინარე, $fm > 1$.

მას შემდეგ, რაც დადგინდა მოტივაციის ეფექტიანობის ქვედა საზღვარი, საკითხი დგება იმის შესახებ, არსებობს თუ არა მისი ზედა ზღვარი. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოტივაციაზე გაწეული ხარჯების უსასრულო ზრდის პირობებში, მოგებაც შესაბამისად გაიზრდება თუ არა?

ამ პრობლემის გადასაწვევად გრაფიკულად გამოვსახოთ დამოკიდებულება მოტივაციაზე გაწეულ ხარჯებსა და მოტივაციის შედეგად მიღებულ მოგებას შორის (იხ. გრაფიკი 1). გრაფიკიდან ჩანს, რომ საწყის ეტაპზე ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით $0-Cm_1$ შუალედში მოგება ნელი ტემპით იზრდება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ გაწეული მცირე ხარჯები მოტივატორის როლს ჯერ კიდევ სუსტად ასრულებს, რის გამოც იგი უმნიშვნელო მოგებას იძლევა. მოტივაციის ხარჯების Cm_1-Cm_2 შუალედში მოგება უკვე სწრაფი ტემპით იზრდება, რადგან საკმაოდ მაღალი წამახალისებელი პრემიის პირობებში მისი მოტივაციური როლი ძლიერდება. ხარჯების Cm_2-Cm_3 შუალედში მოგების ზრდა ნელდება და ბოლოს უცვლელ, სტაბილურ მნიშვნელობას ინარჩუნებს. ამის შემდეგ როგორადაც არ უნდა გაიზარდოს მოტივაციისათვის გამოყოფილი თანხები, მოგება აღარ გაიზრდება, რადგან, საკმაოდ მაღალი შემოსავლების პირობებში, ეკონომიკური მოტივები თავის მომხიბვლელობას თანდათანობით კარგავს და ადამიანები უპირატესობას სოციალურ და სულიერ მოტივებს ანიჭებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არა მარტო ლოგიკური თეორიული მოსაზრებაა, არამედ მისი ჭეშმარიტება განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული მრავალრიცხოვანი და მრავალწლიანი ექსპერიმენტებითაა დადასტურებული.

დამოკიდებულება მოტივაციაზე გაწეულ ხარჯებსა და მიღებულ მოგებას შორის



გრაფიკი 1

მოტივაციის ეფექტიანობის ანალიზი მოტივაციის ხარჯებისა და შესაბამისი მოგების აბსოლუტური სიდიდეების მიხედვით ჩავატარეთ. მაგრამ გაცილებით ღრმა და საფუძვლიან შედეგებს იძლევა მათი ნამატი (საზღვრითი) სიდიდეების ანალიზი. ამ გარემოების გათვალისწინებით მოტივაციის ეფექტიანობის ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Fm = \frac{\Delta TP}{\Delta Cm} = \max$$


სადაც Fm არის მოტივაციაზე გაწეული ნამატი ხარჯების ეფექტიანობა;

ΔTP – მოგების ნამატი;

ΔCm – მოტივაციაზე გაწეული ხარჯების ნამატი.

ამ პირობებში დამოკიდებულება მოტივაციაზე გაწეული ხარჯების ნამატსა და მოგების ნამატს შორის გამოსახულია მე-2 გრაფიკზე, საიდანაც ჩანს, რომ მოტივაციის ხარჯების ნამატის ზრდასთან დაკავშირებით მოგების ნამატი ჯერ იზრდება, აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას, ხოლო შემდეგ მცირდება და ნულისაკენ მიისწრაფის. ეს იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, მატერიალურ მოტივებს გააჩნია ეფექტიანობის ზედა ზღვარი და, მეორე, არსებობს მოტივაციის ხარჯების ისეთი ოპტიმალური სიდიდე, რომლისთვისაც მისი შედეგი მაქსიმალურია.

დამოკიდებულება მოტივაციაზე გაწეული ხარჯების ნამატსა და მოგების ნამატს შორის



ასეთი დამოკიდებულების არსებობა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს საშუალებას აძლევთ, ჯერ ერთი, განსაზღვრონ მოტივაციის სისტემის ოპტიმალური პარამეტრები და, მეორე, დაადგინონ ის საზღვარი, რომლის შემდეგ მოტივაციის ეკონომიკური მეთოდები ძალას კარგავს და მოქმედებას იწყებს არაეკონომიკური, კერძოდ სოციალური და სულიერი მოტივები. არაეკონომიკური მეთოდებით მოტივაცია საკმაოდ ეფექტური და ადვილად განხორციელებადია, რადგან ისინი დამატებით ფინანსურ დანახარჯებთან არაა დაკავშირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, დროის გრძელვადიან მონაკვეთში ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ოდენობის ზრდისა და თანამშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამადლების კვალობაზე, მატერიალური მოტივები თანდათანობით დაკარგავს ძალას და, შესაბამისად, მოტივაციის არაეკონომიკური მეთოდების უპირატესი გამოყენება სულ უფრო აქტუალური გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბილისი, 2007.
2. რ. ლ. დაფტი. მენეჯმენტი (თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე). მოსკოვი, 2007.
3. ა. სისვაძე. ეკონომიკური თეორია. ნაწილი I. თბილისი, 2006.
4. დ. სლომანი. ეკონომიკის საფუძვლები (თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე). მოსკოვი, 2004.
5. თ. ხომერიკი. მენეჯმენტი. თბილისი, 2006.
6. მ. ხესკონი, მ. ალბერტი, ფ. ხედოური. მენეჯმენტის საფუძვლები (თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1992.
7. ჯ. ქოული. მენეჯმენტი: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2002.

Aziko Sisvadze

Academic Doctor of Economics, Full Professor

Lida Oqropiridze

Master of Business Management

MOTIVATION – THE BASIS OF SUCCESSFUL MANAGEMENT

Summary

Motivation problem actuality comes from the fact that key factor of successful functioning of modern business affairs is absolute management, which itself is based on using up-to-date methods of motivation. Hence, subject of article is critical analysis of modern concepts of motivation, studying of their usage possibilities in business practice and determination of optimal parameters of motivation mechanism.

Based on this subject, article reviews role and meaning of motivation in the system of organization management, merits of motivation, principle concepts of motivation and characteristics of their introduction to Georgian business surroundings. As research results proved, existing motivation system considerably lags behind present-day achievements of management theory and by using them practically business efficiency will increase significantly. Thereby, new method is offered, which gives us possibility to determine such optimal value of motivation expenses for which receivable profit rate is maximal.

აბრარული პრობლემები

ვახტანგ ბურკაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წვრილი ფერმერული მეურნეობების კოოპერირება მსხვილი სასაძონლო მეთარმეობის განვითარების საშუალები

მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, მეწარმე კი – საბაზრო ურთიერთობის მთავარი სუბიექტი, რომელიც მოქმედებს პირადი და საზოგადოების ინტერესებით, იგი აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელზეც არის საზოგადოების მოთხოვნილება და მისი რეალიზაცია მოგებას აძლევს მას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად მეწარმეობა სამი მიმართულებით ვითარდება: პირველი არის მიწის მესაკუთრის წვრილი კომლური მეურნეობები, რომლებიც კერძო საკუთრებაში ფლობენ საშუალოდ 0,77 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, რომელთა რიცხვი ყველა სხვა სახის მეურნეობებზე მეტია (მილიონ 20 ათასს აღემატება) და აწარმოებენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 85%-ს. თავისი შინაარსით მათ შორის ისინი განასხვავებენ ნატურალურ და ნახევრად ნატურალურ, არარენტაბელურ მეურნეობებს; მეორე, მიწის კერძო და არენდით აღებული მიწის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მეურნეობები, რომლებიც, საშუალოდ, 4,9 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულით სარგებლობენ. ასეთი მეურნეობები 41 ათასამდეა და ისინიც ნატურალური და ნახევრად ნატურალური მეურნეობებია. მათი საქონლიანობის დონე 40%-მდეა, ხოლო წარმოებული პროდუქცია ქვეყანაში შექმნილი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების მხოლოდ 8%-ს შეადგენს. ეს მეურნეობებიც ძირითადად არარენტაბელურია; მესამე იურიდიულ პირთა არენდით აღებულ მიწაზე შექმნილი შედარებით მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია, რომელთა სიდიდე საშუალოდ 100 ჰა-ზე მეტია. ასეთ მეურნეობათა რიცხვი დაახლოებით 5,5 ათასამდეა, მათი საქონლიანობის დონე კი 90%-ს აღემატება და აწარმოებენ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების მხოლოდ 7%-მდე.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ის მეურნეობები, რომლებიც დღეს სოფლადაა, არც ერთი არ ვითარდება ნორმალურად, ე.ი. ნამდვილი მეწარმე სუბიექტი არ ყალიბდება. არადა მათ უნდა უზრუნველყონ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. შეძლებენ კი ისინი ამ გზით მის განხორციელებას? პასუხი ცალსახაა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებენ.

ამჟამად არსებული ფერმერული (გლეხური) მეურნეობები ეკონომიკურად დამოუკიდებელი არიან, რომლებიც თავისი შეხედულებით განსაზღვრავენ მეურნეობის სპეციალიზაციას, წარმოების მოცულობას და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას.

ფერმერული (გლეხური) მეურნეობა, როგორც კერძო მესაკუთრე, წარმოებულ პროდუქციასა და ფულად-მატერიალურ საშუალებებს თავისი შეხედულებებისამებრ იყენებს და განკარგავს.

ფერმერული (გლეხური) მეურნეობის მფლობელი ვალდებულია, დაიცავს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნები და არ დაუშვას ნიადაგის ნაყოფიერების გაუარესება. მაგრამ დღეს არსებულ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებს, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, საშუალოდ 0,77 ჰა მიწა გააჩნიათ. ამასთან, მასივში თითოეულისათვის გამოყოფილი კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთის მისასვლელი გზისა და შემოღობისათვის 25 % ფართობი იკარგება, სასაქონლო პროდუქცია შედარებით მცირე რაოდენობით იწარმოება. ამის გამო ის თვითდაკმა-

ყოფილებაზე, საკუთარი პროდუქტებით თვითუზრუნველყოფაზე გადასული და ამიტომ ნატურალურ და ნახევრად ნატურალურ მეურნეობას ეწევა. თუ დღეს გლეხი ბაზარზე მაინც გამოდის, იგი ყიდის არა ზედმეტ (ნამეტ) პროდუქციას, არამედ მისთვის აუცილებელ პროდუქტს და ამას აიძულებს მისთვის საჭირო სამრეწველო პროდუქციის შექმნის აუცილებლობა. ამიტომ საჭიროა, ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებს საფუძველი შეექმნათ მსხვილი სასაქონლო მეურნეობის წარმოებისათვის.

ამჟამად სოფლად მცხოვრები სოფლის მეურნეობის მეწარმისათვის მსხვილი ფერმერული სასაქონლო მეურნეობის გასავითარებლად ყველაზე მისაღებ ფორმად უნდა მივიჩნიოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი, მართალია იგი ჰგავს ყოფილ კოლმეურნეობას, მაგრამ, არ შეიძლება ამ ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის მასთან გაიგივება, რადგანაც, როგორც ცნობილია, ყოფილი კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეწეოდნენ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე, ხოლო ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს კერძო საკუთრებაში არსებულ ან არენდით აღებულ მიწაზე. ამასთან ერთად, ყოფილი კოლმეურნეობების ქონება ირიცხებოდა განუყოფელ ფონდში, რის გამოც კოლმეურნეობის წევრს კოლმეურნეობიდან გასვლისას საერთო ქონებიდან არაფრის გატანა არ შეეძლო, ხოლო ამ ახალი ტიპის საწარმოში, სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივში, იქმნება საპაიო ფონდი და მის წევრებს კოოპერატივიდან გასვლისას შეუძლიათ მიიღონ ფული ან ქონება შეტანილი პაის ანგარიშში. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი ისეთი იურიდიული პირი, ანუ ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს თავისი ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, პასუხს აგებს ამ ქონებით თავის ვალდებულებებზე, სასამართლოში შეუძლია იყოს მოპასუხეც და სარჩელის შემტანიც.

საწარმოო კოოპერატივი ითვლება კომერციულ ორგანიზაციად, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება.

ამასთან, კოოპერატივის ქონების კონკრეტულ ნაწილს თავისი კერძო მესაკუთრე ჰყავს. პრინციპული განსხვავება საწარმოო კოოპერატივსა და სხვა კომერციულ ორგანიზაციებს შორის ისაა, რომ საწარმოო კოოპერატივში მისი წევრები აერთიანებენ საპაიო შენატანებს თავიანთთვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად, რათა შემოსავალი ჰქონდეთ შრომის ანაზღაურების სახით. საწარმოო კოოპერატივის მიერ მიღებული მოგება ძირითადად წევრთა მიერ დახარჯული შრომის პროპორციულად ნაწილდება. სხვაგვარ კომერციულ ორგანიზაციებში მესაკუთრე კაპიტალს აბანდებს ყოველგვარი შრომითი მონაწილეობის გარეშე მაქსიმალური მოგების მისაღებად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი არის მოქალაქეთა მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე, საპაიო შენატანებით, ერთობლივი საქმიანობისათვის ჩამოყალიბებული საწარმოო, რომლის წევრებისათვის აუცილებელია კოოპერატივის საქმიანობაში პირადი შრომითი მონაწილეობა. ამრიგად სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივი იქმნება ფერმერთა კოოპერირებით მიწის დასამუშავებლად, მეცხოველეობის პროდუქციის საწარმოებლად ან ნებისმიერი სხვა ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოებას უკავშირდება. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატიულ მეურნეობაში გაერთიანებული ფერმერული მეურნეობები და პირადი დამხმარე მეურნეობები თავიანთი მიწის მესაკუთრეებად რჩებიან და ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. კოოპერატიულ მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია ფერმერული მეურნეობების საკუთრებაა, ხოლო კოოპერატიული მეურნეობა იღებს კომპენსაციას მის მიერ გაწეული ხარჯებისათვის. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივში ფერმერთა გაერთიანების ძირითადი მიზანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთობლივი წარმოება, გადამუშავება და მისი რეალიზაციაა.

საწარმოო კოოპერატივში გაერთიანების ძირითადი პრინციპებია:

1. ნებაყოფლობითი გაერთიანება – ცალკეული მეწარმე ფერმერი (გლეხი) დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივში შესვლაზე და შეუძლია ნებისმიერ დროს გამოვიდეს იქიდან;
2. კოოპერატივის წევრისათვის აუცილებელია კოოპერატივში შრომითი მონაწილეობა;
3. კოოპერატივის წევრები გარანტირებული არიან სამუშაოს მიღებით;
4. კოოპერატივში არის თანასწორუფლებიანობის პრინციპი – თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ეს უფლება დაცულია იმ შემთხვევაშიც, როცა კოოპერატივის წევრების საპაიო შენატანების ოდენობა არსებითად განსხვავებულია;
5. შრომითი პრიორიტეტი შემოსავლების განაწილებისას – შრომის ანაზღაურება წარმოებს კოოპერატივში შრომითი მონაწილეობის პროპორციულად. მიღებული მოგება და დივიდენდები მის წევრებზე ნაწილდება მათ მიერ დახარჯული შრომის პროპორციულად;
6. პასუხისმგებლობა – კოოპერატივის წევრი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მხოლოდ თავისი საპაიო შენატანებით;

ამ პრინციპებმა ერთობლივად უნდა განაპირობოს კოოპერატივის ნორმალური ფუნქციონირება, ხოლო მისმა წევრებმა თავიანთი შრომით უნდა უზრუნველყონ შემოსავლის გარკვეული დონე და მოგების მიღება.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივს აფუძნებენ სოფლად მცხოვრები მეწარმეები. დამფუძნებელთა რაოდენობა ხუთზე ნაკლები არ უნდა იყოს. კოოპერატივის დამფუძნებლებს იგივე უფლებები აქვთ, რაც კოოპერატივის ყველა წევრს. სოფლად მცხოვრები ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, შეიძლება იყოს წევრი, რომელიც აღიარებს კოოპერატივის წესდებას; შეიტანს სავალდებულო საპაიო შენატანს; პირადი შრომით მონაწილეობს კოოპერატივის საქმიანობაში. კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები ასოცირებული წევრების სახით. ასეთ წევრებად ითვლებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შეიტანენ საპაიო შენატანებს. ისინი ნამდვილი წევრებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ასოცირებულ წევრებს კოოპერატივის ყველა საკითხის განხილვისას არ აქვთ ხმის უფლება, გარდა წესდებით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევისა.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივის მართვის ორგანოდ ითვლება წევრთა საერთო კრება. საერთო კრებაზე ყველა წევრს აქვს ერთი ხმა. იმ წევრს კი, რომელსაც შეტანილი არ აქვს საპაიო შენატანი, უფლება არ აქვს, მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემაში. გარდა საერთო კრებისა, მართვის ორგანოდ ითვლება გამგეობა, რომელსაც პყავს თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც ირჩევს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევენ, თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა აღემატება 50 წევრს.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივში მართვის ორგანოებს ირჩევენ ძალიან დემოკრატიულად და, საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლაც ძალიან დემოკრატიულად ხდება.

საერთო კრება იხილავს და იღებს კოოპერატივის წლიურ ანგარიშს, ბალანსს. ასევე იხილავს წევრად შემოსვლის კანდიდატთა განცხადებებს და ამტკიცებს მათ. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა ხდება გამგეობის ინიციატივით, კოოპერატივის საერთო წევრთა სულ ცოტა 10%-ის მოთხოვნით ანდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, თუ დროებით შეჩერებულია გამგეობის უფლებები.

საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები კოოპერატივის საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე. მას შეუძლია შეცვალოს გამგეობის, თავმჯდომარის ანდა სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება.

სამეთვალყურეო საბჭოში შედის კოოპერატივის სამი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს კოოპერატივის გამგეობის საქმიანობაზე. გამგეობა არის კოოპერატივის აღმასრულებელი ორგანო. გამგეობა კოოპერატივის საქმიანობას ხელმძღვანელობს საერთო კრებებს შორის პერიოდში. გამგეობის წევრები აირჩევიან კოოპერატივის წევრებიდან. გამგეობის კომპეტენციაში არ შედის საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის საკითხები. გამგეობა თავის სხდომებზე იკრიბება საჭიროების შემთხვევაში და გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით იღებს. გამგეობას არ შეუძლია, გამოვიდეს კოოპერატივის ვალების გარანტად ან დააგირაოს კოოპერატივის ქონება საერთო კრების თანხმობის გარეშე. გამგეობა ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და საერთო კრების წინაშე.

საერთო კრებას შეუძლია, კოოპერატივის თავმჯდომარედ აირჩიოს კოოპერატივის რომელიმე წევრი, რომელიც, ამავე დროს, იქნება კოოპერატივის გამგეობის წევრი. კოოპერატივის თავმჯდომარე ასრულებს კანონით და კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს. თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს, გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რომელთა შესრულება სავალდებულოა კოოპერატივის წევრებისათვის. თავმჯდომარე პასუხს აგებს კოოპერატივის წინაშე მისთვის მიყენებული ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია მისი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულებით.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა ასრულებდეს მთელი სამუშაოს არანაკლებ 50%-სა. კოოპერატივის წევრების დივიდენდის გადახდისათვის შეიძლება კოოპერატივის მოგების არაუმეტეს 30%-სა. კოოპერატივის ნახესხები საშუალებების თანხა არ უნდა აღემატებოდეს საკუთარი საშუალებების თანხის 60%-ს.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივის დამფუძნებელთა კომიტეტმა უნდა დაამუშაოს კოოპერატივის წესდება, ეცადოს, მოიზიდოს წევრები და ჩაატაროს კოოპერატივის დაფუძნებისა და მართვის ორგანოების ფორმირებისათვის საჭირო სამუშაოები. არჩეული მართვის ორგანოები ვალდებული არიან, რეგისტრაციაში გაატარონ სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივი და უზრუნველყონ მისი შემდგომი ფუნქციონირება. სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივის შექმნას წინ უნდა უძღოდეს ბიზნესგეგმის შედგენა, ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობის გათვალისწინებით, რომელშიც უნდა აისახოს მეურნეობის სპეციალიზაცია. საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა დაამუშაოს კოოპერატივის წესდების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული პირობები.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივის ინტერესებს სახელმწიფოსთან, სხვა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, გამოხატავს კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივი იურიდიული პირია და მის საქმიანობაში სხვისი ჩარევა დაუშვებელია.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრინციპით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი ყველაზე მისაღები ფორმაა სოფლად მცხოვრებთათვის, რადგანაც იგი ქმნის საუკეთესო პირობებს ფერმერული (გლეხური) მეურნეობების ნებაყოფლობის პრინციპით გამსხვილებისათვის, რაც, თავის მხრივ, მტკიცე საფუძველია მსხვილი მომგებიანი სასაქონლო წარმოებისა და სოფლის საქონელმწარმოებელთა ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოში მიწის პრივატიზაციის შედეგები და გადასაწყვეტი პრობლემები. აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული. ტ.5, 2004.
2. ფერმერულ (გლეხური) მეურნეობათა კოოპერირების საფუძვლები. ბროშურა (დაიბეჭდა 2004 წელს „შალომ კლუბი“-ის მიერ სამხრეთ კავკასიაში ფერმერული მეურნეობების სახელმწიფო გრანტით №C03-4049“).
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების ღონისძიებები (აგრარული ეკონომიკის მთავრე). სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ.1, 2007.

Vakhtang Burkadze

Doctor of Economic Sciences, Professor

**COOPERATING OF SMALL FARMS IS BASEMENT FOR DEVELOPING OF
LARGE – SCALE PRODUCTS PRODUCTION**

Summary

Today in Georgian agriculture producing is led by small farms which essentially are natural or demy-natural nonprofit able farms. That's why they produce small size of products. If today a farmer sells his production in the market, it is not over-produced production but evitable one for him. which makes him to buy necessary industrial production. So, it is clear necessity of making basement to farmers for producing of large-scale production. In this case the most considerable form is the volunteer unification in agricultural cooperatives. So agricultural cooperatives producing agricultural products founded on above mentioned principles is stable basement for producing of large profitable production and for improvement of its members economical and social conditions.

მონოგრაფია აქტუალურ პრობლემატიკაზე

(მოსაზრებანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლეო ჩიქავას გამოკვლევაზე "დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა"- თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი", 2008. 585 გვ.)

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია წარმოდგენილი ნაშრომის კომპლექსური, ყოველმხრივი შეფასების პრეტენზია იმდენად, რამდენადაც კვლევის პრობლემატიკა ძალზე დიდია, ობიექტი დისციპლინათა შორისა და განხილულ საკითხთა წრე ფართოა. ავტორის ასეთი მიდგომა კვლევის ობიექტისადმი სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან კვლევის მიზანს წარმოადგენს ისეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და ახსნა, რომელიც მოითხოვს საკითხთა ფართო წრის (დემოგრაფიის, სოციოლოგიის, სტატისტიკის და სხვ.) განხილვას.

ამგვარი ამოცანის გადაწყვეტას ხელს უწყობს მონოგრაფიის არქიტექტონიკა და გამოყენებული მეცნიერული აპარატი – დემოლოგიის ცოდნის საფუძველზე მოცემულია დემოლოგიის კანონების თვისებრივი და რაოდენობრივი დახასიათება. სავსებით მართებულად მიგვაჩნია ავტორისეული მეთოდოლოგიური მიდგომა საზოგადოებრივი განვითარების (ამ შემთხვევაში დემოლოგიის) კანონების დახასიათებისადმი – საზოგადოებრივ მოვლენათა შორის მდგრადი, მიზეზ-შედეგობრივი, მუდმივად განმეორებადი ურთიერთკავშირების დადგენის საფუძველზე კანონთა სისტემის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა საკითხი განხილულია ისტორიული განვითარების კონტექსტში, რაც უფრო სისტემურს ხდის გამოკვლევას.

მოსახლეობის შესახებ ყველაზე კომპლექსური და სისტემური ცოდნის წყაროს წარმოადგენენ მოსახლეობის საყოველთაო აღწერები (გვ.9). მოსახლეობის შესახებ მდიდარი ინფორმაციის არსებობამ მნიშვნელოვანი ბიჭი მისცა დემოგრაფიის განვითარებას და მეცნიერების ცალკე დარგად მის ჩამოყალიბებას. უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პირველად მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2002 წლის 17-24 იანვარს, რის შედეგად მიღებულ იქნა სრული ინფორმაცია მოსახლეობის საერთო რაოდენობის შესახებ და მისი მდგომარეობა სხვადასხვა ჭრილის მიხედვით (სქესისა და ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ქალაქად და სოფლად ცხოვრების, ეროვნების, მიგრაციის, განათლების და სხვ.).

ავტორი ნაშრომის პირველ თავში მართებულად აღნიშნავს, რომ "დემოგრაფია თავიდან წარმოდგენილი იყო, როგორც ერთი დამოუკიდებელი მეცნიერება, მაგრამ განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის მოხდა მისი ახალ თვისებრივ საფეხურზე ასვლა, ძირითადი მეცნიერული მიმართულებების მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინების სახით (დემოგრაფიული სტატისტიკა, მათემატიკური დემოგრაფია, რეგიონული დემოგრაფია, გამოყენებითი დემოგრაფია და სხვ.) გამოყოფა, აგრეთვე, მონათესავე მეცნიერებათა მიჯნაზე ახალი დემოგრაფიული დისციპლინების (ეკონომიკური დემოგრაფია, სოციოლოგიური დემოგრაფია, ეთნიკური დემოგრაფია, სამხედრო დემოგრაფია, სამედიცინო დემოგრაფია და ა.შ.) წარმოქმნა" (გვ.12).

ავტორი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ დემოგრაფიულ მეცნიერებათა კლასიფიკაციის მის მიერ "შემოთავაზებული სქემა პირობითია, რამდენადაც არც ერთი მათგანი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ იმ ბლოკისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, რომელსაც ისინი მივაკუთვნე"(გვ.49) და "ყველა მათგანს ჯერ კიდევ არ მიუღია ჩამოყალიბებული (დამოუკიდებელი) მეცნიერული დისციპლინის სახე და საყოველთაო აღიარება, მაგრამ თვით ფაქტი არსებობისა ეჭვს არ იწვევს (იქვე). ჩვენი მხრივ კი აღვნიშნავთ, რომ ამა თუ იმ მეცნიერების ძირითადი მიმართულების განშტოების ფაქტი საკუთრივ მეცნიერ-

რების განვითარებას ნიშნავს. ასეთ მეთოდოლოგიურ წანამდგარზე დაყრდნობით ავტორი არგუმენტირებულად ემხრობა მოსაზრებას, რომ სახელწოდება "დემოგრაფია" (რაც მოსახლეობის, ხალხის – დემოს ემპირიულ აღწერილობას, აღწერას – გრაფოს-ს ნიშნავს) შეიცვალოს სახელწოდებით "დემოლოგია" (რაც ნიშნავს – ლოგოს არსის ცოდნას მოსახლეობის შესახებ) (იხ.გვ.50).

მონოგრაფიის ავტორის მთავარი ამოცანაა იმ მუდმივგანმეორებად, არსებით შინაგან მიზეზშედევობრივი კავშირების, ტენდენციების დადგენა, რაც, საბოლოო ჯამში მას მათი კანონის ფორმით და შინაარსით წარმოდგენის საშუალებას მისცემს.

ამ შემთხვევაშიც ავტორს არ დალატობს სწორი მეთოდოლოგიური პოზიცია და მკვლევარისადმი დამახასიათებელი მიზანმიმართულება და იგი თავის კვლევას განაგრძობს ჯერ ზოგადი (საერთო) დემოლოგიური კანონების შინაარსის დადგენით, ხოლო შემდგომ იკვლევს სპეციფიკურ და კერძო დემოლოგიური კანონების ბუნებას.

რაც შეეხება ზოგად (საერთო) დემოლოგიურ კანონებს (გვ.60-132), ავტორის შეხედულებით, აქ სისტემაშემქმნელი კანონია "თაობათა მუდმივი განახლება – მოსახლეობის უწყვეტი აღწარმოება" (გვ.60), და ეს მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ ხასიათს ატარებს (გვ.61), ხელს უწყობს ყოველი მომდევნო თაობის სრულყოფას (გვ.67). დემოლოგიური გადასვლის, მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი ზრდის, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის და სქესთა თანაფარდობის კანონები არსებითად გამომდინარეობს ძირითადი დემოლოგიური კანონიდან და მისი ცალკეული მხარეების რეალიზებას ასახავს პრაქტიკაში.

რაც შეეხება სპეციფიკურ დემოლოგიურ კანონებს – შობადობის კლების კანონი, ოჯახებში შვილიანობის გამოთანაბრების კანონი, დემოლოგიური დაბერების კანონი (ჩვენი აზრით, ალბათ, უფრო უპრიანია ვიხმართ მოსახლეობის დაბერების კანონი – თ.ბ.) – ისინი ასახავენ დემოლოგიის სპეციფიკურ მხარეებს (გვ.133-197). შობადობის კლების კანონის განხილვისას ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს ოჯახის ფუნქციას, მის ძირეულ ტრანსფორმაციას (გვ.147).

რაც შეეხება კერძო დემოლოგიურ კანონებს – მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების კანონი, მოსახლეობის მარტივი აღწარმოების კანონი, მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონი, დემოლოგიური კომპენსაციის კანონი (გვ.198-221). მართებულადაა აღნიშნული, რომ კერძო კანონების მოქმედება განპირობებულია არა მათი გარდუვალობითა და განმეორებადობით, არამედ სათანადო წანამდგარების არსებობით. მაგალითად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თუკი შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე აღემატება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეს (გვ.198), შობადობის ჯამური კოეფიციენტი ერთ ქალზე საშუალოდ შეადგენს არანაკლებ 2.1-ს (210 ბავშვს ყოველ 100 ქალზე საშუალოდ ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე) (გვ.205) და შობადობის ჯამური კოეფიციენტი ერთ ქორწინებაზე 2,6-ზე მეტი ადგილი აქვს გაფართოებულ აღწარმოებას. ამრიგად, კერძო დემოლოგიური კანონების მოქმედებას ადგილი აქვს მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში.

შკითხველს გვინდა მოვახსენოთ ერთი მოსაზრების შესახებ – კატეგორიის, კანონის, კანონზომიერების გამოვლინების ფორმა ყოველთვის არ ემთხვევა აბსოლუტურად მის არსს. ასეთ მოვლენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ცალკეულ, კერძო შემთხვევებში, რაც, ბუნებრივია, გავლენას ვერ მოახდენს კანონის ზოგად ტენდენციაზე (მაგალითად, რიგ შემთხვევებში, ცალკეულ რეგიონებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის შენელებას). ამაზე გარკვეულწილად ავტორიც მიუთითებს, როდესაც აღნიშნავს, რომ "მოვლენები და პროცესები...უმრავლეს შემთხვევაში გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და უერთმანეთოდ არ არსებობენ" (გვ.54).

სპეციალური აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მონოგრაფიაში გამოკვლეულ და ჩამოყალიბებულ კანონებს აქვთ არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც – მათი მოთხოვნების გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში არსებული მწვავე დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორებას და საბოლოოდ ქვეყნის წინსვლას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით კიდევ ერთხელ აღნიშნოთ პროფესორ ლეო ჩიქავას მონოგრაფიის აქტუალურობა და პრაგმატული მნიშვნელობა, რადგან დღევანდელ საქართველოში მოსახლეობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს – მიგრაცია, შობადობა, მოკვდაობა, ცხოვრების დონე და სხვა, არ ექცევა ფეროვანი ყურადღება, არადა, ადამიანისეული ფაქტორი არის ქვეყნის მთავარი კაპიტალი, რომლის მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა მხარეს.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ნაშრომის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს მონოგრაფიის ბოლო ნაწილში მოცემული ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები და ნარკვევები განხილულ საკითხებზე, რაც მკითხველს აძლევს საშუალებას, სრულად მიიღოს წარმოდგენა იმ წვლილის შესახებ, რომელიც შეიტანა პროფესორმა ლეო ჩიქავამ დემოლოგიის მეცნიერების განვითარებაში.

ჩვენი ღრმა რწმენით, სარეცენზიო მონოგრაფიული გამოკვლევა – "დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა", როგორც მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი ქართული (და არა მარტო ქართული, რამდენადაც მასთან ერთვის ვრცელი რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე) დემოგრაფიული ლიტერატურის საუკეთესო შენაძენია.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის
საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი თეიმურაზ ბერიძე

საჭირო ნაშრომი ეკონომიკის დარგში

(გამოხმაურება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **როზეტა ასათიანის** წიგნზე: "თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი". თბილისი, საგამომცემლო ფირმა "სიანლე", 2009. - 440 გვ.).

თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი მოიცავს საბაზრო ეკონომიკის ორი ათასამდე ტერმინს. მასში მოცემული ტერმინები და ცნებები, როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, ეხება არა მხოლოდ ეკონომიკის ერთ რომელიმე სფეროს, არამედ მთელ ეკონომიკას, როგორც მიკრო-, ისე მეზო-, მაკრო- და მეგაეკონომიკას.

ლექსიკონი შედგენილია იმის გათვალისწინებით, რომ მკითხველისათვის ადვილად მისაწვდომი იყოს მისთვის საინტერესო ტერმინის და ცნების მონახვა და განმარტების გაცნობა.

განმარტებითი ლექსიკონი უდავოდ დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს, გაეცნოს საბაზრო ურთიერთობების თანამედროვე რთულ საკითხებს.

ლექსიკონი განკუთვნილია როგორც მეცნიერთათვის, ისე პრაქტიკოსებისათვის. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტურანტურის სტუდენტებს.

ზემოაღნიშნული ნაშრომის მიმართ შეიძლება გამოითქვას ცალკეული შენიშვნები, მაგრამ, ლექსიკონის შინაარსის თვალსაზრისით, ისინი არ არის პრინციპული ხასიათის, რის გამოც მასზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

მთლიანობაში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის წიგნი: "თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი", უდავოდ საჭირო ნაშრომია ეკონომიკის დარგში და, შესაბამისად, მისი გამოცემა დადებით შეფასებას იმსახურებს.

აღფრედ კურატაშვილი ემდ, პროფესორი

მეცნიერული ღონისძიება

2008 წლის 25 დეკემბერს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარდა საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. კონფერენცია გახსნა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ემდ, პროფ. რ. აბესაძემ.

კონფერენცია საქმიანობდა ხუთ სამეცნიერო სექციად: ეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკა, ფინანსები, საერთაშორისო ეკონომიკა, ბიზნესის პრობლემები და რეგიონული ეკონომიკა. სექციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და მოხსენება წაიკითხა 70-მდე მეცნიერ-ეკონომისტმა.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ და საქართველოს ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გააშუქეს ქვეყანაში ცნობილმა მეცნიერ-ეკონომისტებმა.

გამომსვლელების ძირითად თემას წარმოადგენდა პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებებისა და გზების ძიება. განსაკუთრებით ხაზი გაესვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეტაპების მეცნიერულ ანალიზს (ემდ, პროფ. რ. აბესაძე), ომის შემდგომი საქართველოს ძირითად ეკონომიკურ პრობლემებს (ემდ, პროფ. ვლ. პაპავა), დემოლოგიურ კანონთა გამოვლენას და სისტემატიზაციას (ემდ, პროფ. ლ. ჩიქავა), მონეტარული პოლიტიკის ახალი სტრატეგიის საკითხებს (ემდ, პროფ. ი. მესხია), გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის პრობლემებს (ემდ, პროფ. ე. მექვაბიშვილი), შერეული საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების საკითხებს (ემდ, პროფ. გ. პაპავა), წონასწორული ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის პრობლემებს (ემდ, პროფ. ი. ანანიასვილი), ეკონომიკური სინთეზისა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს საქართველოში (ემდ, პროფ. თ. შენგელია), საქართველოს ეკონომიკისა და რუსეთის „ლიბერალური“ იმპერიის ანალიზს (აკადემიური დოქტორი ნ. ხადური), საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ვალების პრობლემებს (აკადემიური დოქტორი მ. გველეხიანი) და სხვ.

სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა პროფესორებმა თ. ჩხეიძემ, გ. ბერულავამ, ვ. ბურდულმა, აკადემიურმა დოქტორებმა ნ. ხადურმა და თ. ლაზარაშვილმა სექციების მუშაობის შეჯამებისას ყურადღება გაამახვილეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთელ რიგ პრობლემაზე, რომლებიც წამოჭრეს მომხსენებლებმა. მათ მაღალი შეფასება მისცეს კონფერენციის საქმიანობას.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა ემდ, პროფ. რ. აბესაძემ დადებითად შეაფასა კონფერენციის მუშაობა და აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციები ინსტიტუტში რეგულარულად ჩატარდება.

თინა ჩხეიძე

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პროფ.

ლინა დათუნაშვილი
სამეცნიერო საბჭოს სწავლული
მდივანი, აკადემიური დოქტორი

ინფორმაცია

გამოიცა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის I ტომი. კრებული გამოვა პერიოდულად, წელიწადში ერთხელ.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტი. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ვერსიებში: ზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN). ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economisti1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

შელავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება
გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები

- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

36 94 77; 93 22 60; 99 66 46; 8(55) 33 01 38.

ელ.ფოსტა: gamomcemloba@rambler.ru

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სასწავლო ცენტრი

იღებს მსმენელებს ტრენინგებზე, შემდეგი სასერტიფიკატო სპეციალობების მიხედვით:

- საბანკო საქმე (მოლარე, ოპერატორი, საკრედიტო ექსპერტი, ფინანსური ანალიზი, საერთაშორისო და ლოკალური გადარიცხვები, საბანკო პროდუქტები, საოპერაციო მოქმედებები და ა.შ.)
- საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია
- კომპიუტერული ბუღალტერია (ორისი, სუპერფინი, ინფო)
- თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (HR - მენეჯმენტი)
- ტურისტული ფორმის მენეჯმენტი
- სასტუმროს მენეჯმენტი
- ფინანსური მენეჯმენტი
- პიარმენეჯმენტი
- ოფისმენეჯმენტი
- პრაქტიკული მენეჯერული უნარ-ჩვევები (საქმიანი ეტიკეტი, პრეზენტაციის წარმართვა, დროის მენეჯმენტი და სხვა)
- პროექტის მენეჯმენტი
- მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი
- გაყიდვების მენეჯმენტი
- ბრენდინგი
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები
- საგადასახადო საქმე
- როგორ დავიწყოთ ბიზნესი (ბიზნესის მართვა, ბიზნესის წარმოების ხელშეწყობა)
- მარკეტინგი
- საბაჟო საქმე
- სადაზღვევო საქმე
- გამოყენებითი ეკონომიკა
- უნარ-ჩვევები (მოსამსახურეთათვის და დასაქმების მსურველთათვის)
- უცხო ენა
- კომპიუტერული პროგრამები (Windows, Word, Excel, Internet, Photoshop, Pagemaker და სხვა).

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14
93 22 60; 99 68 53; 99 66 46; (893) 76 85 45.

ელ.ფოსტა: ganatleba@rambler.ru

შურნალ ეკონომისტში სტატიების წარმოდგენის წესები

1. შურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. შურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთმოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება. **ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.**

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economisti1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და შურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამათაბითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ. 99-66-46, 99-74-09.

INFORMATION

“Collection of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics” has been published. It will be published periodically, once a year.

In the collection of works to gether with the papers of scientific workers of the

<p>სს ”საქართველოს ბანკში” კლიენტის ანგარიშზე თანხების ეროვნულ ვალუტაში (ლარი)</p> <p>ჩარიცხვისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები</p> <p>მიმღების ბანკი: სააქციო საზოგადოება “საქართველოს ბანკი” ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502 მიმღების დასახელება: სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი მიმღების ანგარიშის ნომერი: 247786300</p>
<p>ტელ: +995-32-444444-7842 ფაქსი: 444176 ელ.ფოსტა: tmetreveli@bog.ge</p>

Institute there will be of scientists economists of our ++country (doctors of sciences, academic doctors, masters). There will also be published the papers of bachelors, masters, doctorants and practitioner-economists having relevant scientific level.

* * *

In December 25, 2008 at Paata Gugushvili Institute of Economics was held scientific-practical Conference of Georgian economists on the theme: “Actual problems of economic development at current stage”. The conference was opened by the director of Paata Gugushvili Institute of Economics, doct. of econ. sc., prof. R. Abesadze.

The conference was divided into five sections: economic theory, macroeconomics, finances, international economics, business problems and regional economy. About 70 scientists-economists took part and in the work of sections made reports.

THE RULES OF HANDING-IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMISTI”

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: economist1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 99.66.46,

**BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR
IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA**

Intermediary Bank

Citibank N.A., New York, USA

SWIFT: CITIUS33

Account With Institution

Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22

3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

Beneficiary: LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

Account: 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: tmetreveli@bog.ge

**BANK DETAILS FOR TRANSFERS IN EURO
IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA**

Intermediary Bank

Commerzbank, Frankfurt, Germany

SWIFT: COBADEFF

Account With Institution

Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22

3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

Beneficiary: LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

Account: 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: tmetreveli@bog.ge

ჟურნალი "ეკონომისტი"

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.

E-mail: economist1@rambler.ru

Journal "Economisti"

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.

E-mail: economist1@rambler.ru

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

Redactor of Publishing House **Sesili Khandjaladze**